XIV

კარი მეთოთხმეტე

ქუჩუკ

# ყარამანიანი

სპარსულიდამ ქართულად ნათარგმნი, სახლთ-ხუცის და სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან. „საამოთ სასმენელი.

გამოცემა მეორე.

გამოცემული დ. ა. ლაზარევის-მიერ.

ტფილისი

სტამბა „პროგრესსი" დვორცოვის ქუჩა, სათავად-აზნაურო სახლში.

1911.

# XIV

# კარი მეთოთხმეტე

## ყარამანიანი

როდესაც ქუჩუკ ყარამანმა ბაუბაუ დევი მეორეთ დაამარცხა თავისის გამოჩენილის სარდლებით, გუდებათ დაახდევინა, ციხეებზედ გადმოაკიდინა და ბაუბაუ დევის საქმეც გაათავა. შემდეგ თავის საყვარელ ფალევნებთან ესე იგი ყოვლიბანთან, ხოსროვშირთან, ყათრანთან, ბარამჯიბილთან და ფალევანთა შვილებთან, აგრეთვე ახალ ფალევნებთან: ბეგზადშაჰასთან, ხოსროვშაჰზადასთან, გორშარაბშაჰასთან და ბარზინთან ერთათ შექცევოდნენ. მერე ესენიც დაეთხოვნენ და თავთავიანთის სახელმწიფოებში წავიდნენ.

განვლო ამაში მრავალი დრო და ჟამი, რომ არდევან შაჰს და ქუჩუკს მტერი აღარავინ გამოუჩნდათ, ხშირათ ერთათ შეიყრებოდნენ არდევან შაჰსთან ეს ზემოხსენებული ხელმწიფეები თავიანთის შვილებით და აგრეთვე როვშანბახტით და აგრეთვე ყველას დაიბარებდნენ თავიანთ სახელმწიფოებიდან ვისაც გამოჩენილი ფალევნები ყვანდათ და დიდს შექცევაში და სიამოვნებაში ატარებდნენ დროს.

რამდენიმე თვემ რომ განვლო და ზემოხსენებული ხელმწიფეები აღარ მოვიდნენ, ქუჩუკ ყარამანი ძრიელ სწუხდა იმათის ხანგრძლივის უნახაობისთვის. მაშინვე შვიდის იყლიმის ხელმწიფეს არდევან შაჰს მოახსენა: ხელმწიფეო! დიდი ხანი არის რაც ჩვენი საყვარელნი ფალევანნი და გმირნი აღარ მოსულან და აღარც ფარვან დევი და საჰმანი თავისის ამხანაგებით სჩანანო და არც ინდოეთის ხელმწიფე როვშანბახტი და ინდოეთის დედოფალი რუიზანნარა მოსულა, ამიტომ თუ თქვენი ნებაც იქნება მე

დიდათ მსურს დავიბაროთ, ყველანი ერთათ შევიყაროთ და უცხო დროება გავატაროთ. არდევან შაჰამ რა ესე მოისმინა, ბძანა, დიახ დიდათ სასიამოვნოთ მივიღებ, რომ ის უცხო გმირნი ფალევანნი თავიანთის შვილებით დავიბაროთ და ერთათ დროებს გავატაროთო.

რა ქურუკმა არდევან შაჰისაგან ესე მოისმინა, მაშინვე ათი უცხო მალეთ მავალნი ფაიკები გაგზავნეს და წიგნები გაატანეს და დაიბარეს. რა ცოტა დრომ განვლო, ყოველთა წიგნები მიუვიდათ არდევან შაჰისა და საამყირანისა (ესე იგი ქურუკისა), მაშინვე ეს უცხო გმირნი ფალევნები თავიანთის შვილებით წამოვიდნენ დიდის საჩუქრებით და ჯარებით, აგრეთვე როვშანბახტი და რუიზანი, ფარვან დევი, საჰმან თავისის ამხანაგებით, კოჭლი დევი მაღრიბის ხელმწიფე, თეთრი დევი თავისის ასირ ჯადოთი, ზანგ დევი, ანქირ დევი და გარდანქეშანი, ესენიც სულ ერთიანათ წამოსასვლელათ დაემზადნენ; რაკი ბძანებები მიუვიდათ მაშინვე საჩქაროთ წამოვიდნენ და სულ ერთიანათ უშანგბათში არდევან შაჰასთან შეიყარნენ. მაშინვე ერთმანერთს სიხარულით მიეგებნენ და ღმერთს მადლობას სწირავდნენ მშვიდობით ნახვისთვის. შემდეგ უცხო მეჯლისი გამართეს და ლხინობდნენ. ამა მშვენიერთა ამხანაგთა და ხელმწიფეთა უცხოს ლხინში დავუტეოთ და ეხლა სხვა ამბავი მოვიხსენიოთ.

## აქ დაბადება ქურუკ ყარამანის შვილისა.

ეს ზემო ხსენებულნი ხელმწიფენი და სარდლები რომელიც დიდს შექცევაში იყვნენ, იმ დროს ნახეს რომ ყარამანის ქალაქიდან სამნი ფერიანი მოფრინდნენ და სარვიხურამანის და უსნიარას წიგნები ქურუკ ყარამანს მოართვეს. რა ქურუკმა წიგნები დახსნა და წაიკითხა, ასეთი მხიარულება მიეცა, რომ მეტის სიხარულით და ახტაცებით ენას ვერ იგნებდა. მაშინვე უბძანა სამხიარულო ნაღარას ჰკარითო. წერილი იყო შემდეგის შინაარსით: „შვილო ქურუკ! მომილოცავს პირველათ გულიჯანის მშვიდობით გადარჩენა და შემდეგ ვაჟი შვილისა; მოგეცა ყოვლად მშვენიერი გმირი ვაჟი შვილი, გარდა ამისა უნდა ნახო, სამის დღის ყმაწვილი სამის თვის ყმაწვილს ჰგავს, მეტადრე ამის ტირილი სწორეთ ცის ქუხილს ჰგავს. ჩემო შვილო, სხვა რაღა მოგწერო, ერთის სიტყვით რაც ღმერთს ქვეყანასა ზედა სიმშვენიერე გაუჩენია, ყოველივე ამის ტანზედ და სახეზედ იმყოფება. რა თქმა უნდა მობძანდებით და ნახავთ“.

რა ესეთი სამხიარულო ამბავი მოისმინეს, მაშინვე მახარობლებს ესე იგი ფერიებს იმდენი საჩუქარი მისცეს რომ, წაღება ეზარებოდათ. ესენა

მაშინვე აიყარნენ უშანგბათიდან და წამოვიდნენ. რაკი ერთიანათ ყარამანის ქალაქისაკენ გამგზავრდნენ მაშინვე წინაწინვე ფერიები გაგზავნეს და თავიანთ მომავლობა აცნობეს. რაკი ფერიებმა ხელმწიფეთა და გმირთა ყოველთა თავიანთ სარდალ-ფალევნებით მომავლობა გაიგეს მაშინვე ბანოვანნი წინ მოეგებნენ დიდის სიხარულით. რაკი სალმობა გაათავეს მაშინვე უცხოს მორთულს დარბაზსა შევიდნენ, სადაც უცხოთ მოერთო სალვიხურამანის სახელმწიფო ტახტებით და აგრეთვე საფალევნო სკამებით. ამათ ყველა თავთავიანთ განწესებულს ალაგს დასხდნენ. ამ დროს არდევანშაჰმა ბრძანა ახლად შობილ ყმაწვილის შემოყვანა. მაშინვე აღასრულეს ხელმწიფის ბრძანება და შემოიყვანეს. რა წამს შეხედეს იმისს მშვენიერებას თვალი ვეღარ გაუმართეს, ასეთი საფალევნო სახე ედვა ყმაწვილს რომ იმის ყურებას შვიდთავიანი ვეშაპი ვერ გაუძლებდა. რა არდევან შაჰმა, ფალევანთა და ხელმწიფეთა კარგათ გასინჯეს მაშინვე ყოვლად შემძლებელს ღმერთს თაყვანი სცეს. მაშინვე არდევან შაჰა ტახტიდან ძირს ჩამოვიდა, დაიჩოქა და ღმერთს დიდი მადლობა შესწირა და შეევედრა: გმადლობ შენ ყოვლისა შემძლებელო ღმერთო, ვმადლობთ შენს მოწყალეებასა რომ გებრალებით და ჩემის სახელმწიფოს და ტახტის საფერი ასეთი ყრმა ფალევანი გვიბოძე. შემდეგ იმა ყმაწვილს იმდენი თვალ-მარგალიტი გადააყარეს, რომ რიცხვი აღარ შეიძლებოდა, მერე გულიჯანის სანახავად შევიდნენ და მშვიდობით განთავისუფლება მიულოცეს და მრავალი თვალი და მარგალიტი გადაუყარეს, შემდეგ დიდებულნი ქალნი ძიძებათ მოგვარეს და თვით გამობრუნდნენ და დარბაზსავე მოვიდნენ.

შვიდის იქლიმის ხელმწიფე არდევან-შაჰი დაბძანდა და ქუჩუკ თავის სასპირანის სკამზედ დაჯდა, ხელმწიფე არდევან შაჰის ქვემოდ შაჰპალ-შაჰი დაჯდა, იმის გვერდით როვშანბახტი, შემდეგ ბურჯვეზირი, გარდასიძნშანი თავისის ამხანაგებით, მასთან ანბირ და ზანგ დევნი დასხდნენ და ქუჩუკის ერთსული საყვარელი კოჭლი მათუზ დევი, არდევან შაჰის პირდაპირ ყოვლიბანი დაჯდა, იმის გვერდით ხოსროვშირი, ყათრან და ბარამჯიბილის გვერდით თეთრი დევი, ფარვან დევი, ერთის სიტყვით რომელნიც სხდომის ღირსნი იყვნენ ყველანი თავთავიანთს ალაგს დასხდნენ. მხოლოდ ქუჩუკის პირდაპირ ოთხი საფალევნო სკამი იდგა და იმაზედაც ოთხნი ყრმა ფალევანნი დასხდნენ: ბეგზადშაპი, ხოსროვშაჰზადი, გორშარაბშაჰი და ბარზინი ისე რომ იმათ მაყურებელს თავის დღეში ნაღველი არ მიეცემოდათ. შუაგურ აიარიც იდგა ნაჯას მოწვდილი. შემდგომათ დიდი ალა ფარდა იყო გაბმული და იქით ბანოვანნი ისხდნენ. ერთის სიტყვით ასეთი მეჯლისი ჰქონდათ, რომ როგორც სპარსთა აღუწერიათ, «ცაში ან-

გელოზნიც მხიარულობდნენო».

## ესენი ამ ლხინში დაუტევოთ და ეხლა ფაშკუნჯის ამბავი მოვიხსენიოთ.

რა ქუჩუკმა ბაყბაყ დევის საქმე გაათავა და თავისის ხელმწიფის არდევან შაჰასთან თვის უცხოს ფალევნებით და ხელმწიფეებით უშანგბათს მოვიდნენ, იმ დროს ფაშკუნჯიც იქ იყო და მერე ხომ დაეთხოვა კიდეც და თავისს ხსელმწიფოს წავიდა. ამის შემდეგ დიდმა ხანმა განვლო რომ არდევან შაჰისა და ქუჩუკ ყარამანისა ვეღარაფერი შეიტყო ამისთვის დიდათ სწუხდა. ფაშკუნჯმა მაშინვე თავის ბარტყებს საზრდო გაუჩინა და თითონ აღფრინდა და უშანგბათისაკენ წამოვიდა. ერთი კვირა რომ იარა თავისსა წესისამებრ უშანგბათში მოახწია და ჩამოხტა. მაშინვე იკითხა ხელმწიფის და ქუჩუკის ამბავი, მცველებმა მოახსენეს: ფრინველთა ხელმწიფეო, დღეს სამი კვირა არისო რაც რომ სრულად თავისი სახელმწიფოს სარდალ ფალევნებით გაემგზავრნენ ყარამანია ქალაქში და შექცევიანო, ამასთან ქუჩუკის ვაჟის მიცემაც უამბეს. რა ფაშკუნჯმა ესე მოისმანა, დიდათ ესიამოვნა, მერე ცოტა რამ სასმელი მოითხოვა, მაშინვე მოართვეს დალია და საჩქაროდ ჰაერში აფრინდა და ყარამანია ქალაქში მივიდა. ამ დროს ასიმ და სიროვანჯა აიარნი კარზედ ისხდნენ, ამ დროს შეხედეს ნახეს რომ აღმოსავლეთის მხრივ ერთი უშველებელი რაღაც მოფრინავს, მაშინ ასიმმა თვალი დააკვირვა და იცნა რომ ფაშკუნჯი იყო, საჩქაროდ გატრიალდა და შევიდა, შვიდის იყლიმის ხელმწიფეს მოახსენა: საბჟირანნო და ხელმწიფენო, გვიხარიან თქვენთვის, რომ ფარვან ბარუუში სწრაფის ფრენით მოდისო.

რა ესე ამბავი მოისმინეს, საჩქაროდ ყველანი დიდის სიხარულით კარში გამოვიდნენ და შეხედეს ნახეს, რომ ჰაერიდან ძირს ჩამოსულა და ისეთის ყოფით მოგოგავს, რომ მისი მაყურებელნი გაკვირდნენ, მაშინვე საბჟირანმა თეთრ დევს, ფარვან დევს. საჰმანს და გარდანქეშანს წინ მაგებება უბძანა, საჩქაროთ წინ მიეგებნენ და მდაბლათ თავი დაუკრეს.

რა ფაშკუნჯმა იცნა თეთრი დევი, ფარვან დევი და აგრეთვე იმათთან საჰმან და გარდანქეშანი, მაშინვე შემოსძახა, მშვიდობა თქვენი ნახვაო აგრეთვე თეთრმა და ფარვან დევებმაც მიუგეს, მშვიდობა თქვენი მობძანებაო, მერე მივიდნენ კლანჭებზედ და ფრთებზედ აკოცეს. ფაშკუნჯმა მადლობა უბძანა და საჩქაროდ შვიდის იყლიმის ხელმწიფის და ქუჩუკის ამბავი ჰკითხა, თეთრმა დევმაც მშვიდობით ყოფნა მოახსენა და სთქვა ისინაც

თქვენკენ წამოვიდნენო. ფაშკუნჯმა მიხედა მარჯვნივ ნახა რომ, არდევან შაჰა, ქურუკი, ულვლიბანი, ხოსროვშირი, ყათრანი, ბარამჯიბილი და როშანბახტი მოდიან, თითონაც იმათკენ გაეშურა და როცა ერთმანერთს დაუახლოვდნენ, მათ დიდის ხმით შემოსძახეს, მშვიდობა თქვენი მობძანებათ ფრინველთა ხელმწიფეო. ფაშკუნჯმაც მდაბლათ თავი დაუკრა და მოახსენა: შვიდის იულიმის ხელმწიფეო, მე არა ვღირსვარ თქვენგან მაგვარის პატივის ცემასაო, მივიდა და ფრთაზედ აკოცა, აგრეთვე ქურუკიც და იმ ოთხთა გმირთა ფალევანთა და ხელმწიფეთა მივიდნენ და მათაც ფრთათა აკოცეს. რა ერთმანერთის სალმობა დაასრულეს, იმ დროს ის ოთხნი ახალნი ფალევანნი მოვიდნენ და ფაშკუნჯს თითო თეფში ალმასი გადააყარეს და ფრთაზედ აკოცეს, რა ფაშკუნჯმა ბეგზადშაჰი, ხოსროვშაჰზადი, გორშარაბი და ბარზინი იხილა დიდათ იამა, მივიდა ჯერ ფალევნობა უქო და შემდეგ ოთხნივ გულზედ მიიკრა, მერე გამობრუნდნენ ერთათ და უცხო მეჯლისი გამართეს და დიდათ შეექცნენ. ბოლოს რა ღვინის სმამ თავი მოაბეზრა, გამობრუნდნენ და მოსვენებას მიეცნენ.

რა დილა გათენდა და ღმერთი ახსენეს, ისევ ერთათ შეიყარნენ. ამ დროს ფაშკუნჯი წინ წამოდგა და ქურუკ ყარამანს ვაჟიანობა მიულოცა და მოახსენა: სააბყირანო არ შეიძლება რომ ის ყმაწვილი ვნახოთო? ქურუკმა მაშინვე შუთურ აიარს უბძანა და დარბაზი მოამზადებინა, შემდეგ ძიძებმა ყმაწვილი გამოიყვანეს და ასეთს ტახტსედ დასვეს რომ, ფასი არ დაებადებოდა და ბანოვანნიც იქ გამოვიდნენ. რა ფაშკუნჯი დარბაზში შევიდა, ქალებმა ერთობრივ მოახსენეს: მშვიდობა თქვენი ნახვაო ფრინველთა ხელმწიფეო, მაშინ ფაშკუნჯმა მდაბლათ თავი დაუკრა ბანოვანთა და მოკითხვის მადლობა მოახსენა: შემდეგ ტახტზედ მჯდომს ახლად შობილს შეხედა, მივიდა, პირზე აკოცა და ყურება დაუწყო დიდხანს შემდეგ ქურუკს უბძანა, სააბყირანო წინ წამოდექითო, რა ქურუკიც წინ მოეგება, ფაშკუნჯმაც ხან მამას შეხედა და ხან ყმაწვილს, შემდეგ თავის მარჯვენის ფეხის ფრჩხილში ჩაიხედა და ყოველივე ნახა იმ ყმაწვილის გარდასავალი რაც მოსასვლელი იყო ბედნიერება თუ უბედურება ყოველი სწორეთ შეიტყო, მერე გულიჯანთან მივიდა და მიულოცა ჯერ მშვიდობით განთავისუფლება და შემდეგ მოახსენა, დედოფალო თქვენ ღვთისაგან ასეთი შვილი გბოძებიათ რომ, ცათა ქვეშეთ ამისთანა არც სიმშვენიერებით, არც ფალევნობით ამისთანა აღარავინ დაიბადება ამათ ჩამომავლობაში ეს დაიპყრობს ყოველ ცათა ქვეშეთსა, მხოლოთ ერთს დიდს განსაცდელს შეხვდება და დიდს ხანს იმ საჭიროებაში იქნება და მერე ღვთის ძალით განთავისუფლდება. რა ეს სიტყვა დაასრულა, შემდეგ გამობრუნდა და არ-

დევან შაჰას მიულოცა: ხელმწიფეო შვილის იულიმისაო, თქვენს სახელმწიფოს და თქვენს ტახტს ისეთი ფალევანი აღიზრდება, რომ არას ქვეყანაში არ დაბადებულიყოს და იცოდეთ—ყოველს ქვეყანას დაიპყრობს... ეს იქნება ქაჯთა და მდევთა ამომწყვეტი. მერე კიდევ სახის მეტყველება გაუსინჯა და მოახსენა: ხელმწიფეო, ამ ყმაწვილს სახელად უნდა მანუჩშაჰარ დაერქვას და როგორც თქვენ მე ფალევნობით მჯობიხართ, ისეც ეს ახალი შობილი თქვენ გემჯობინებათო. რა ესე დაასრულა სიტყვა, ამოიღო ერთი უცხო ბეჭედი და მიართვა, როდესაც ათის წლისა შესრულდესო, მაშინ ნეკზედ წაუგეთ რომ აღარ მოიშოროს და როდესაც დიდს გაჭირვებაში ჩავარდება, ამ ბეჭედს პირში ჩაიდებს ენის ქვეშ და მე მაშინვე იქ ამასთან აღმოვჩნდებიო და ღვთისა ძალით ბევრს შემწეობას მივცემ.

მაშინ ბანოვანთა და ხელმწიფეებმა დიდი მადლობა მოახსენეს. ფაშკუნჯი კიდევ ყმაწვილს მიუბრუნდა და ისევ ხილვა დაუწყო და ძრიელ უკვირდა ამის სიმშვენიერე და საფალევნოთ მოსულობაზე. ყმაწვილი როცა ხმას ამოიღებდა სწორეთ ცის გრგვინას მოგაგონებდათ. იმ დროს სულ ორი წლისა იყო და რომ შეგეხედნათ ხუთის წლისას გვანდა. ბოლოს ყველანი დასხდნენ, უცხო მეჯლისი გამართეს და მხიარულათ შექცეოდნენ.

რა ლხინს და შექცევას მორჩნენ, ფაშკუნჯი და ბურჯვეზირი ერთს ხალვათში შევიდნენ და რამლი ჰყარეს, მაშინვე შეიტყეს იმ ყმაწვილის თავგარდასავალი რომ მაღალი ეტლისა იყო და დიდს და ძრიელს ფალევნობას გამოიჩენს, ისე რომ ათის ზომით ქუჩუკს დაემჯობინება, მხოლოდ ოთხს კუთხიდამ დიდი მტრის ჯარები მოუხდებიან. რა ეს ესრედ შეიტყეს, მაშინვე გამოვიდნენ და შვილის იულიმის ხელმწიფეს ეახლნენ და კიდევ მეჯლისი გამართეს და ხელმეორეთ შექცნენ. ამათ ესე შექცევაში თითქმის სამმა და ოთხმა წელიწადმა განვლო და მანუჩარშაჰაც მალე წამოიზარდა. რა ხუთის წლისა შეიქმნა, ასეთი მრისხანე სახე ჰქონდა, რომ მამალი ვეშაპი პირსა ვერ შეხედავდა, ამასთან იმის მკერდს ათი მწყრთა ჰქონდა. თითონ წლოვანობით პატარა იყო, მაგრამ ოცდა ათი მწყრთის მქონებელი იყო. როდესაც სანადიროთ წამოვიდოდნენ მამა და შვილნი, ყველანი ხედავდნენ, რომ მანუჩარშაჰი ქუჩუკს ყველაფერში სჯობნიდა. დიდათ მხიარულებდნენ. ერთს დღეს ერთის კვირის სავალს სანადიროთ წავიდნენ, შვილის იულიმის ხელმწიფე არდევან შაჰა, ქუჩუკ ყარამანი თავისის შვილი მანუჩარშაჰით, ნარიმანი, ყოვლიბანი, ხოსროვშირი, ყათრანი, და ბარამჯიბილის შვილი, ფარვან დევი, საჭმან თავისის ამხანაგებით. ამათ სულ ერთად დაიწყეს ნადირობა. ამ დროს არდევანშაჰამ უბრძანა ფარ-

ვან დევს შენ წადი და ერთს მძლავრთ სამშარს ნადირათ ეჩვენეთ, ვნახოთ მანუჩარშაჰა როგორს გულადობას გამოიჩენსო. მაშინ ფარვან დევმა მოახსენა: ხელმწიფეო, ჩემი სიკვდილი თუ გნებავთო, თორემ მაგას რას მიბძანებოთ? რაც უნდა მძლავრი მხეცი შეხვდეს უიარაღოთ იმ წამსვე შუა გაგლეჯსო და უეჭველია შემიპყრობსო. ხელმწიფემ მაინც უბძანა, როგორც იყოს უნდა ეჩვენოვთ და თავიც მოირჩინოვო ისე რომ ხელთ არ ჩაუვარდეო. მაშინვე ფარვან დევი უჩინოთ იქმნა ამ დროს ქუჩუკი და მანუჩარშაჰა ერთს მაღლობზედ იდგნენ და ამ ფალევანთა ნადირობას უყურებდნენ. მაშინ მანუჩარშაჰამ თვალი შეასწრო რომ ოთხნი ახალნი ფალევანნი, უცხოთ ფალევნურათ მოყვანილნი და ამასთან მრავალი ნადირიც დაუხოცნიათ. ამ ოთხთა ფალევანთა გარდა ერთი მომცროს ტანისა და მელასავით ცქვიტი და მარდის ყოფით იქცევა, რომ მოინდომოს თავისის სისწრაფით, ციდამ ვარსკლავს ჩამოიღებსო და ამასთან ძალიან მშვენიერი სახისაც არის. დიდხან უყურა, ძალიან უკვირდა. ამას გარდა მხარზედ ისეთი ნაჯახი უძევს რომ, იალბუზის მთას რომ დასცეს, შუა გაჰკვეთს. დიდათ მოეწონა და კიდეც შეუყვარდა, შემდეგ იმ ოთხთა ფალევანთ შინჯვა დაუწყო ესე იგი ბეგზადშაჰას, ხოსროვშაჰზადას, გორშარაბშაჰას და ბარზინს დიდათ მოსწონდა და ამბობდა: ღმერთო ამათთანა ფალევანნი საიდან მომეჩვენაო, მერე მარჯვნივ უყურება დაუწყო, ნახა რომ იქაც ოთხნი, ხანში შესულნი არც ბერნი არიან და არც თუ ყმაწვილნი და დიდი ფალევანნი. მაშინ სთქვა: ამათ რა მტერი გაუძლებსთო, მხოლოთ ამათ გარემოება კი არ იცოდა თუ ვინ იყვნენ. მივიდა და თავის მამა ქუჩუკს მოახსენა: მამაო გთხოვთ ამ მოხსენებისათვის არ გამიწყრეთო და ხელზედ აკოცა, გთხოვთ მიბძანოთ, ეს ოთხნი ახალი ფალევანნი ვინ არიანო? ან ის მხარზედ გადაგდებული ნაჯახი რომ აქვს ან ის ვინ არისო და ან ის ოთხნი მოხუცნი ფალევნები ვიღა არიანო? რომელნიც ჩვენის შვილის იულიმის ხელმწიფეს გვერდით უსხედანო. მაშინვე ქუჩუკმა თავის შვილს მანუჩარ შაჰას გადაეხვია ორსავ თვალებში აკოცა და უბძანა: შვილო, ის ოთხნი რომელნიც ხელმწიფეს ახლავანო ისინი არიან პირველი ყოვლიბანშირვანი ჰქვიანო, ჩემის პაპის ყარამანის დისწული არისო, ასეთი ძლიერი ფალევანი არისო, რომ ქვეყანაზედ ჯერ არ გამოჩენილან მაგის მსგავსიო. აგრეთვე ხოსროვშირისა უმეტესი ფალევნობა უბძანა, როგორც ზარბაქ დევის ომში გამოეხსნა თითონ ქუჩუკი და ან როგორც სამსურცხენი შეეპყრა ყველა უამბო და ყათრანისა თავის პაპიშვილობა და ბარამჯიბილისაც თავისი ცოლის ძმობა და დიდი ფალევნობა. როცა ესენი ყათრანის და ბარამის ლაპარაკში იყვნენ, ის ოთხნი ახალნი ფალევანნი მო-

ვიდნენ ამათ შუთურ აიარიც წინ მოუძღოდათ. დიდის ყოფით მოვიდნენ და ქუჩუკს ხელზედ აკოცეს და მანუჩარ შაჰასაც პირზედ. რა მანუჩარ შაჰამ მათ ყურება დაუწყო, დიდათ იამა და ძრიელაც მოიწონა მაშინ ქუჩუკმა უბძანა: შვილო მანუჩარ ეს ოთხნი — ახალი ფალევანნი არიან, ერთი ყოვლიბანის შვილი ბეგზადშაჰა, მეორე ხოსროვშირის შვილი ხოსროვშაჰზად არის და ის ორნიც ერთი ყათრანის შვილი არის და მეორე ბარამჯიბილისა. აგრეთვე უამბო მათი ვაჟკაცობა და რაც ბაებაჲ დევის ომში ფალევნობა გადაეხადათ ყველა უამბო, ამაზედ დიდათ მოეწონა, ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ამ დროს შუთურ აიარი წარმოდგა და მოახსენა: საბურანის შვილო და უცხო ფალევანო, მე გახლავარ შუთურ აიარი გარდანქეშან აიარის შვილი, თქვენი ფეხის მიწა და მტვერიო. ესე სთქვა და მაშინვე ოცდაოთხნაირ ასეთის საშიშარის სახით შეიცვალა რომ თვით გარდანქეშანსა და ფარვან დევსაც გაუჭირდებოდათ გაბრუნდა და იმ ახალ ფალევნებთან მივიდა. მაშინ მანუჩარშაჰამ დიდათ აქო შუთურ აიარი და დაიწყეს კიდევ ნადირობა. მხოლოდ მანუჩარშაჰამ კი ის ოთხნივ ახალნი ფალევანნი აღარ მოიშორა გვერდიდგან ისინი სულ ერთათ ცალკე ნადირობდნენ.

## ამათ აქ ნადირობაში თავი დავანებოთ და ახალი ამბავი მოვიხსენიოთ ფარვან დევისა.

რა არდევანშაჰამ უბრძანა რომ ასეთ საშიშარს მხეცათ უნდა ეჩვენეთ მანუჩარშაჰას, რომ არამც თუ მარტო, ვინც გნახოსო, შიშით იღეოდნენო, არამედ თვით მანუჩარშაჰიც შეაფიქრიანოვო და ამასთან ვნახოთ თუ როგორი გულისა არისო, ე. ი. მამასავით ფალევანიაო თუ არა?

ამ დროს ფარვან დევი ერთს საშინელს მთაზედ ავიდა, იქიდან გადმოხედა, ნახა რომ ქუჩუკი, თავისი შვილი მანუჩარშაჰა და ოთხნი ახალნი ფალევანნი დგანან, მარჯვენა მხარესაც არდევანშაჰა ბრძანდებოდა, ამათთანაც ფაშკუნჯი და ის ოთხნი გმირნი ფალევანნი ე. ი. ყოვლიბანი, ხოსროვშირი, ყათრანი, ბარამჯიბილი და ნარიმან ხელმწიფე.

მაშინ ფარვან დევმა იფიქრა, რაც უნდა საშიშარ მხეცათ შავიმალოვო, მე მანუჩარშაჰს ვერ მოურჩებიო და თუმცა იმას გადაურჩეო, ის ოთხნი ახალნი ფალევანნიც იქ არიან და ხომ ვერ მიცნობენო უთუოდ მომკლავენო. მაგრამ რაკი არდევანშაჰამ უბძანა, მეტი ღონე არ იყო, უნდა ისე ასრულებინა, ეს საჩქაროდ ერთს საშინელს მხეცათ შაიცვალა, ისე რომ არც თუ მხეცს მიემსგავსებოდა და არცარა ვეშაპსა: თავი ოთხი აბია, ერთი

ლომისა, მეორე სპილოსი, მესამე დათვისა, მეოთხე საშინელის ნიანგისა და ყოველსავე თავზედ ოც-ოცი მწვრთა ასეთი რქები აბია, რომ რაც უნდა მთას დასცეს შუა გაარღვევს ოცი ფეხი ასი ხელი და თითო ხელი თითოს ჯანდრისა სიმსხოები; თითო ხელში სხვა და სხვა იარაღი უჭირავს. ასეთი საშინელი და საძაგელი სანახავი რამ არის რომ მნახავს შიშით გული გაუსქდებოდა. ამან ერთი ასეთი დიდის ხმით შესძახა რომ, ცისა ქვეყანაზედ დაცემის ხმას მიემსგავსებოდა, ამასთან ასეთის საშინელის ქარით წამოვიდა რომ სულ დიდროვანს ხეებს ამსხვრევდა. მიმავლობის ხმაზედ ქურუკმა, მანუჩარშაჰმა და იმ ოთხთა ფალევანთა ყურება დაუწყეს და ნახეს რომ ერთი საშინელი მხეცია, არც თუ ვეშაპია და ვერცარას მიამსგავსეს. დიდათ გაუკვირდათ და ბოლოს ქურუკმა სთქვა: ეს რა მხეცი უნდა იყოსო? რა ამ ყრმა ფალევანმა მანუჩარშაჰმაც დაინახა, დიდათ გაიკვირვა, იმ დროს იგი შვიდი წლისა იყო და პირველად ხედავდა იმნაირს საკვირველებას და ამიტომაც ცოტა არ იყოს შეფიქრიანდა და ასეთი საშინელი საშიშარი ფერი დაედვა რომ, თვალი ვერვინ გაუსწორა და შიშით გულები დაუსკდათ და ასეთი გულის ძგერა დაუწყო რომ ათს ფარსანგზედ გაიგონებოდა. რა კარგათ გაარჩიეს, მაშინვე ეს ოთხნივე ბეგზადშაჰა, ხოსროვშაჰზად, გორშარაბი და ბარზინმა ქურუკს სთხოვეს: ნება გვიბოძეთო, რომ ჩვენ შავებათო. ამ დროს რადგანაც ქურუკმაც არ იცოდა რომ ის არდევანშაჰისაგან იყო გამზადებული მანუჩარშაჰს გამოსაცდელათ, ამიტომ მათ ნება არ მისცა, იმ ფიქრით რომ ჯერ ისევ ყმაწვილები იყვნენ იგინი და არ შეეშინდეთო ამიტომ თითონ გაემზადა საომრად. მაშინ მანუჩარშაჰმა მოახსენა: სააპყირანო, ნება მომეცი მე შავებმევიო. რა ქურუკმა შემოხედა, ჩაფიქრდა და დიდათ გაუკვირდა მისი გულოვნობაზე და უბძანა: შვილო, ჯერ შენი დრო არ არის ბრძოლისაო, ჯერ ისევ ყმაწვილი ხარო.

როცა ქურუკი მანუჩარშაჰს ამას ელაპარაკებოდა, ამ დროს ის ოთხნი ახალნი ფალევანნი ქურუკს გაეპარნენ და ერთის მხრიდან მისვლას აპირებდნენ, ღმერთი ახსენეს და ამ მხეცს ოთხკუთხივ ალყა შემოარტყეს. რა ქურუკმა მიიხედ-მოიხედა და იგინი ვეღარ ნახა, დიდათ შესწუხდა და დიდს ფიქრს მიეცა. ამ დროს მანუჩარშაჰაც უცებ გაეპარა და პირდაპირ იმ მხეცს მიუხტა და ისე საშინლად შესძახა რომ იმის ხმაზედ, რამდენიმე გორები დასქდა.

რა ფარვან დევმა ამ ყმაწვილის ეს გულოვნობა იხილა, დიდათ მოეწონა და სთქვა, შაბაშ შენსა ყმაწვილს ფალევნობას. შემდეგ იმის შეტყვაზე ფარვანმა რყევა შექმნა. რა ქურუკმა მოიხედა და ნახა რომ, აღარც

მანუჩარშაჰი იყო, მაშინ უფრო ძალიან შეწუხდა და სჩქაროდ იმათ საძებრათ გასწია. რა ეს ყმაწვილების ნარის ხმა ამ ოთხთ გმირთა ფალევანთაც გაიგონეს მაშინვე განკვირვებას მიეცნენ და სთქვეს: ნეტავი ისეთი რა გამოუჩნდათო რომ ასეთი საშინელი ხმები ასტეხესო. ესა სთქვეს და წამოსვლა დააპირეს. მაშინ არდევანშაჰამ უბრძანა: ფალევანნო ნუ შეწუხდებით, ეს ამბავი სულ ფარვან დევის მოქმედება არისო — მე უბძანე რომ ქრის საშინელს მხეცათ მოსჩვენებოდა მანუჩარშაჰს და ამით გამეგო მისი ფალევნობა და გულმაგრობა და უთოოდ იმ ყმაწვილებმა ნახესო და შეუტევდნენო, ეს ხმაურობა და ქუხილი იმისი არისო, თქვენ ნურას იფიქრებთო, გარდა ამისა არც ქურუკმა იცისო ეს საიდუმლება და ამისთვის საჭიროა იმასაც ვამცნოთო როგორმე. მაშინვე ერთს მახლობელს მდგომს აიარს უბძანა: წადი სჩქაროდ, ფარვან დევიც მანდ იქნება და ქს ამბავიც აცნობეო, რომ გული დაიმშვიდოსო. სჩქაროდ მივიდა და ყოველივე აცნობა ქურუკ ყარამანს. რა ქურუკმა ეს ამბავი გაიგონა, დიდათ იამა და შორიდან ყურება დაუწყო. იმ დროს მანუჩარშაჰამ მასამ ის ოთხნი ყოვლიბანის, ხოსროვშირის, ყაითარსის და ბარამჯიბილის შვილები მივიდოდნენ, მან მიუსწრო, შესედა, ნახა რომ თავმა ტკივილი დაუწყო. ფარვან დევმაც შამოხედა, ნახა რომ, მანუჩარშაჰს ხელში გურზი უჭირავს და საშინელის მრისხანებით მოდის ისე რომ, იმის გულის ძგერა ორს ფარანგს ისმის. მარცხნივ მიიხედა ნახა რომ ის ოთხნი ახალი ფალევანნიც სჩქაროდ იმაზე იერიშით მიდიან, მაშინ სთქვა, თუ ჩემს თავს არ უშველე რამ, ესენი მე მოუკლავს არ გამიშვებენო. ესა სთქვა და ერთი საშინლად დაიღრიალა და თავის ოთხსავე რქებით მანუჩარშაჰს შამოუტია. რა მანუჩარმა იმ საძაგლის მხეცისაგან ესე შამოტევა ნახა, მაშინვე ერთი მაღალის ხმით ღვთის სახელი ახსენა, რამდენსამე მხარეს გადახტა და ლახტი შესტყორცნა, რა იმ მხეცმა მანუჩარშაჰისაგან ესეთი ფალევნობა დაინახა, დიდათ გაუკვირდა და სთქვა, ამისთანა ყმარწვილისაგან ესეთი მხნეობაო? იმ დროს როგორც იყო მანუჩარ-შაჰის ლახტი აიცდინა და რა მანუჩარშაჰამ დაინახა რომ თავის ნასროლი ლახტი დააცდინა, დიდათ ეწყინა, მაშინვე ზედ მივარდა და იმ რქებში ხელი სტაცა, უნდოდა ცოცხალი შეეპყრა. რა ფარვან დევმა თავისი თავი ამისთანა მახეში იხილა, მაშინვე უჩინარი იქმნა. უნდა მოგახსენოთ მკითხველო, თუ რომ მანუჩარს ხელით შერჩენოდა, ერთის მუშტით გაათავებდა. რა მანუჩარშაჰამ ნახა რომ, აღარც ის მხეცი იყო და ხელშიც ორი დიდროვანი რქები ეჭირა, დიდათ გაიკვირვა და კარგა ხანს ყურება დაუწყო და ამასთანაც დიდათ დაღონდა. იმ დროს ის ოთხნი ფალევანნიც მივიდნენ და

ნახეს რომ მანუჩარშაჰას ორი დიდროვანი რქები ხელთ უჭირავს და საშინლადაც გული უცემს. ყველანი გაიკვირვეს და ყურება დაუწყეს. ამ დროს ქურუკიც მივიდა, გადაეხვია შვილს და ორსავ თვალებში აკოცა, მერე უთხრა: ბარაქალა შენს ფალევნობას რომ იმისთანა მხეცს ომი შაბედეო. მანუჩარშაჰამ მოახსენა: მამა ჩემო, მე რა ქება მეთქმისო რომ ასე შაგრცხვიო. იმ მხეცისა ამ ორის რქების მეტი არა დამრჩარაო, ხელმწიფევ რადას მიბრძანებსო? მაშინ ქურუკმა სიცილი დაიწყო და მოახსენა: ნუ სწუხარ შვილო, იმ მხეცს ამალამვე გაჩვენებთ. რა ესე სთქვა ქურუკმა, მაშიივე ყველანი დაბრუნდნენ შინისკენ. მანამ ესენი მოვიდოდნენ, ფარვან დევმა მიუსწრო და ესე მოახსენა ხელმწიფეს: შვილის იულიმის ხელმწიფეო, თუ წინიდამ არ მოვშორებოდით, იმისი ნასროლი ლახტი სულ მტვრათ მაქცევდაო, მაგრამ რა კი ნახა რომ თვისი ნასროლი ლახტი დამაცდინაო, საჩქაროდ ზედ მომვარდაო და რქებში ხელი მტაცაო, მაშინვე რქები იმას დაუტოვეო და მე უჩინრათ ვიქმენიო. ამ დროს მარცხენის მხრიდანაც ის ოთხნი გმირნი ახალი ფალევანნი მოვიდნენ და უფრო იმაზედ ავჩქარდიო. თუ რომ იმათ ხელში ჩავარდნოდი, ცოცხალს აღარ გამიშვებდნენო. ამაზედ მრავალი იცინეს, ამათ სიცილზედაც ქურუკი, მანუჩარშაჰი და ის ოთხნი გმირნი და გმირთა შვილებიც შემოვიდნენ. პირველად ქურუკმა შვილის იულიმის ხელმწიფეს გამარჯვება მიულოცა, მაშინვე მანუჩარი გაექანა და მეფეს მუხლსა აკოცა და გამარჯვება მიულოცა, შემდეგ ის ოთხნი ახალნი ფალევანნიც შემოვიდნენ და ხელმწიფეს მუხლთა აკოცეს და გამარჯვება მიულოცეს. მერე მანუჩარშაჰა წამოდგა და ხელმწიფეს მოახსენა: შვილის იულიმის ხელმწიფეო, ჩვენ არაფერი გამარჯვება არ მოგვსვლიარაო, მეც და ეს უცხო ფალევანნიც, დიდის ფალევნის შვილებიც თქვენს ხელმწიფობასთან შერცხვენილები ვართო, რომ იმისთანა მხეცი ხელიდან წაგვივიდაო და ამ ორის რქის მეტი არაშაგვრჩარაო. ამ ლაპარაკის დროს თან ასეთი მრისხანე სახე დაედო რომ, შიშით პირზედ ვეღარავინ შეხედეს. ამაზედ ხელმწიფე არდევანშაჰა წამოდგა და ორსავ თვალებში აკოცა და თან უბძანა: შვილო მანუჩარშაჰ! შენ ის ასეთი მხეცი გჩვენებიაო, რომელიც პაპიშენის ნარიმანის მამას ეჩვენაო, რომელიც იმისთანა საბუირანი ქვეყანაზედ არ დაბადებულაო, იმ მხეცმა ისიც კი მოატყუაო, შენ ხომ უფრო მოგატყუებდაო, ჯერ შვიდის წლისა ახლა შესრულდიო და ჯერ გამოუცდელიხარო. მაშინ მანუჩარმა მოახსენა: შვილის იულიმის ხელმწიფეო, განა ის რა არის, და ან იმისთანა ძლიერება სადამ აქვსო რომ იმათთანა დიდროვანი საბუირანები მოატყუოსო? თან დაუწყო გულმა ძგერა, შემდეგ კიდევ განაგრძო: ხელმწიფევ, გიხოვთ რომ

ნება გვიბოძოთ ამ ოთხის ფალევნით გიახლოთ და სადაც იყოს ვიპოვნით და საბაოთ ღვთის ძალით აქ მოგართმევთო. ამაზე ხელმწიფემ სიცილი დაიწყო, ამას მოჰყვნენ დანარჩენნიც და დიდათ აქეს იმისი გულოვნობა და ფალევნობა.

არდევანშაჰმ უბძანა: ახალო ფალევანო და დიდის ფალევნის შვილო, იქ ნულარ წახვალ იმისსა საძებნელად და ჩვენ აქვე გაჩვენებთო. მაშინ ხელმწიფემ ფარვან დევი წინ წამოაყენა და უთხრა: ახალო ფალევანო რომელიც მხეცათ გეჩვენეთ და რქებიც თქვენ დაგანებათ და თითონ უჩინარი იქმნა აი ეს გახლავთ ის მხეციო, შემდეგ ფარვან დევის ამბავი სულ დაწვრილებით უთხრა. რაკი მანუჩარშაჰმ გული დააჯერა, მაშინ დიდათ გაახარა და ფარვან დევს მაშინვე ხელზე აკოცა, მერე გამობრუნდნენ და უცხო მეჯლისი გამართეს. ამ დროს სარვიხურამანი და უსნიარა დედოფლები გამობრძანდნენ და ყველა ეს ფალევნები შუაში ჩაისხეს და დიდს სამხიარულეში ატარებდნენ დროს.

## ესენი აქ ლხინში დავტოვოთ და ეხლა სხვა ამბავი მოვიხსენიოთ.

როდესაც ქურუკ ყარამანმა გმირ ფალევნებით ბაუბაუ დევი, შავი დევი, ხაზარან დევი, არჯავ დევი და შაქუტ დევი დაიმორჩილა, და გუდებათ დაახდევინა, იმათი სახელმწიფოებიც გაანაწილა და ახალ ფალევანთა უბოძა, და იმათმა ქვეშევრდომებმაც საბაოთ ღმერთი იწამეს, ამაობაში მრავალმა წელიწადმა განვლო რომ ყველანი დამშვიდებულნი იყვნენ.

იმ ჟამად როდესაც შავი დევი და ხაზარან დევი დახოცა და ამათივე ამბავი ბაუბაუ დევის სიკვდილი, ყოველსა დევთა ქვეყანას მოეფინა, აგრეთვე ამ დევთა შვილებსაც გაეგოთ მამების სიკვდილი, რომელნიც იმ ჟამათ ჯერ პატარები იყვნენ. როცა ესენი წამოიზარდნენ და ნახეს თავიანთ ქვეყნები იმ გვარათ აოხრებული, გულები ასტკივდათ და მაშინვე გამოჰკითხეს თავიანთ მოხუცებულთ დევთა თუ სარდალთ, ესე იგი თუ როგორაა რომ, ჩვენი მამა-პაპის მამული ესრე გაოხრებულა. მაშინ ერთმა ბერმა დევმა რომელიც ბაუბაუ დევთან ნაახლები იყო, მოუყვა და თავიდან ბოლომდის რასაც საქმეს გაევლო, ყოველივე დაწვრილებით უამბო; ჯერ პირველად მარტო ბაუბაუ დევის შებმა უამბო, თუ როგორ დამარცხდნენ თავისის სარდლებით ქურუკისაგან, მერე იმათი პატიჟბა ქურუკისაგან და თავიანთის ქვეყნების უკანვე დაბრუნება. დიდის სჩუქრებით და თავიანთ ქვეყნებშივე გამოსტუმრება. შემდეგ თურქმანის ხელმ-

წივთ შვილების და ბნელეთის ხელმწიფების მოსვლა, ბაყბაყ დევთან და შემწეობის თხოვნა და ხელმეორედ წასვლა მერე კიდევ ქუჩუკისაგან ხელმეორედ შეპყრობა და დახოცვა. ერთის სიტყვით რაც კი მომხდარიყო, ყოველივე უამბეს. მაშინვე ამ სამთა მდევების შვილებმა იფიქრეს — ჩვენი ამდენი ხაზინები, სახელმწიფოები და ჩვენის მამა-პაპათა ამოწყვეტა უნდა მოვიკითხოთო და სისხლი უნდა ავიღოთო. ადგნენ ესე სამნივენი და წამოსვლა დააპირეს, მაშინ იმ ბერმა დევმა უთხრა: ოკიანეს ზღვის ძირას კუნძულში ერთი მძლავრი დევი მკვიდრობსო, სახელათ ამიან დევი ეწოდება. რაც რომ ღმერთს ქვეყანაზედ დევნი გაუჩენია, მაგისთანა მძლავრი და ძრიელი დევი არ დაბადებულაო, თითონ სამასის მწყრთის მქონებელი არისო, ორმოცი ხელი ასხია და ოთხი ფეხი, ხუთი თავი — ერთი თავი ლომისა აქვს, მეორე სპილოსი, მესამე დათვისა, მეოთხე მამლისა და მეხუთე მგლისა, ერთის სიტყვით ასეთის საშინელის სანახავისა არის რომ იმის ყურებას ვერა სულიერი ვერ გაუძლებსო, ამასთან თითოს თავზედ თითო რქა უდგასო, რომ ყაფის მთას დასცეს შუა გაარღვევსო, ასი მწყრთა მკერდი აქვსო, რაც გაჩენილა მასაქეთ ზღვაში იმყოფებაო და თავის სიცოცხლეში ხმელეთი არ უნახავსო, სულ ზღვის ნიანგსა სჭამსო და მთელი ზღვის ნიანგნი და ანუ ცხოველნი იმისაგან შეზიზღებულნი არიანო. ეს ბაყბაყ დევიც და ზარბაქ დევიც იმასთან ცხოვრობდნენ. ერთს დღეს რაღაც ეწყინა ბაყბაყ დევისაგან და ზარბაქ დევისაგან, ორივე დაიჭირა და მეორეს დღეს სიკვდილით დასჯას უპირებდა, მაგრამ ამათ ერთ ღამეს დრო აირჩიეს და გამოეპარნენ და ამით დაიხსნეს თავები. იმ დევს ერთი თეთრი მხეცი ჰყავს, ისეთი მეომარია რომ მთელ დედამიწის ზურგზე არ იქნებაო — სიდიდით ერთი ჯორის ტოლა არისო, რვა ფეხი აქვსო და რაც ზღვაში დევნი არიან სულ იმისი მონანი არიანო, ამას გარდა ერთი სხვა ამისთანა საშინელი დევიც არისო, ისიც იმის დისწულიაო — სახელათ სილან დევი ჰქვიანო, უფრო ამიან დევზედ ძრიელი არისო, იმათ სურთ ხმელეთზე გამოვიდნენ, მაგრამ მიზეზი რომ არ არის რა იმისათვის არ გამოდიანო — თითოს ათჯერ ასი ათასი მეომარი ლაშქარი ჰყავთო, რაც რომ ქვეყანაზედ უმხთო გრძნეულნი არიან დევნი თუ ქაჯნი, სულ იმას ახლავანო, მრავალნი ჯადოს ლაშქარნი ჰყავთო და თითონაც ძრიელი ჯადონი არიანო და მრავალის სიმდიდრისა და ხაზინების მქონებელნი არიანო ამას გარდა დიდრონი ქალაქებიც აქვსთო. ეხლა თქვენ რადგანაც თქვენის მამა-პაპის სისხლის ძებნა გსურთ, უნდა წახვიდეთ და იმას შეეხვეწოთ, იმის მეტი თქვენი ღონე არავინ არისო და კიდეც შეგიწყნარებთო და რაკი ისინი გამოვლენ, ყოველივე ქვეყნის დევნიც და

ღონიც რაკი გაიგებენ იმათ გამოსვლას, ყველანი იმათ თავს დაუგრავენო, მაშინ თქვენც იმათ წინ ამოუდექით და ვედრავენ გამოვა რომ თქვენ გა-ჯობროთო. მაშინ მთელი ცათა-ქვეშეთა ხელთ დაიჭერთო და ვერც ქერეკა დაგაკლდებთო რამეს და ვერც სხვაო. ამის გარდა ისინი ასეთი მარდნი არიან, რომ ერთ წამს მთელს ქვეყანას მოივლიანო, იმათი ხელთ ჩაგდება არავის შეუძლიანო, ამასთანავე თითოს თავიდამ ასეთს ხმას აღმოუტევენ რომ ცას დედამიწაზედ დასცემენო და ახლა რაკი არ იშლით, მე თითონ წინაც გაგიძღვებით და ერთად წავიდეთო — მხოლოდ ცოტა რამ ფეშქაშები მოამზადეთო და ხვალ დილით გაუდგეთ გზასაო.

რა დევთა შვილებმა ესე ამბავი მოისმინეს თავიანთ ძველის სარდლისაგან, დიდათ იამათ, მაშინვე ფეშქაშები მოამზადეს და მეორეს დღესვე წასვლა დააპირეს.

## აქ ბაუბაუ დევის, შავი დ ხაზარან დევების შვილებისაგან ოკიანის ზღვაში ჩასვლა, ამიან დ სიღან დევებთან, მათგან შემწეობის თხოვნა დ სისხლის მებნა.

Რა დილა გათენდა, მაშინვე ბერი დევი წინ გაიმძღვარეს და გასწიეს. სამი თვე გზაზედ იარეს და მეოთხე თვეზედ ოკიანეს ზღვასა დაუახლოვდნენ, მაშინვე ზღვაში ჩავიდნენ და ამიან დევის და სიღან დევის ქალაქებისკენ წავიდნენ. სამი დღეც იმ ზღვაში იარეს და მეოთხე დღეს ქალაქში შევიდნენ. რა ამიან დევის სასახლესთან მივიდნენ, ნახეს რომ, ერთი უცხო და მშვენიერი ქალაქია—ქალაქის შუა ალაგას ერთი მარმარილოს ქვით ნაშენი სახლია, ამ სახლს ასეთი ელვარება ჰქონდა, რომ კაცი თვალს ვერ გაუმართავდა, ასეთი დიდი რამ იყო რომ, ორასი ათასი მხედარი დაეტეოდა, ამბობენ ის სასახლე თორმეტი მადნის ნათალი ქვიდან არის ნაშენიო. ამათ რა ეს ნახეს დიდათ გაუკვირდათ. ამ დროს სასახლის წინ დევთა ყრილობა იყო; რა ამათ შემოხედეს, ნახეს რომ აღმოსავლეთის მხრიდან ოთხნი მდევნი მოდიან დიდის ყოფით: მაშინ ამათ სთქვეს: ესენი უცხოს ქვეყნის მდევთა გვანანო და ნეტა ვინ უნდა იყვნენო? მაშინვე შიგნით შევიდნენ და ამიან დევს მოახსენეს: დევთა ხელმწიფეო, აღმოსავლეთის მხრიდამ ოთხნი დევნი მოვიდნენო და არ ვიცით ვინ არიანო. მაშინვე უბძანა წადით და ჩქარა შეიტყეთ ვინ არიანო და ამ წამსვე ჩემთან შემოიყვანეთო. ამათ ბძანებისამებრ გავიდნენ და წინ მიეგებნენ, მაშინვე ჰკითხეს მათი ვინაობა, იმათაც უპასუხეს ჩვენ ბაუბაუ დევის, შავი დევის და ხაზარან დევების შვილები ვართო ჩვენ ამიან

დევის და სილან დევის ნახვა გვსურსო. ამათ მაშინვე სასახლეში შემოიწვიეს.

რა შიგნით შევიდნენ, ნახეს რომ ასეთი დიდი სახლი იყო, რომ რაც ხმელეთ თუ ქვეშკნეთ ხალხნი არიან, სულ იმ სასახლეში დეეტევოდნენ. რა კარგად გასინჯეს, ბოლოს ნახეს რომ, ორნი დევნი სხედან და თითო დევი თითოს გორებს გვანან, ამას გარდა ძირს ფოლადის სკამები აწყვია, ორსავე მხრიდან ასი ათასი ფალევანნი დევები ისხდნენ, თითო დევი ორასის მწყერთის მქონებელნი იყვნენ. ამათ წინ მივიდნენ და პირველად ამიან დევს და სილან დევს მუხლთა აკოცეს, შემდეგ გამობრუნდნენ და სააჯო ალაგსა კისერ ჩამოგდებით დადგნენ.

ამიან დევმა ამათ დასასხდომი ალაგები მოუჩინა, ამათაც მდაბლათ თავი დაუკრეს და დასხდნენ. ერთს ჟამს შემდეგ, ამიან დევი მივიდა ამათთან და ჰკითხა: დევნო! თქვენ ვინახართო და ან რომლის ქვეყნიდან მოსულხართო და ან რა სააჯო და სახვეწარი გაქვთ ჩემთანაო? მაშინვე ბერი დევი წინ წადგა და მუხლთ ემთხვია, შემდეგ მოახსენა: დევთა ხელმწიფენო, ეს სამნი ყმაწვილნი დევნი გახლავან პირველი ბაყბაყ დევის შვილი, მეორე შავის დევის შვილი და მესამეც ხაზარან დევის შვილიო. შემდეგ მოუყვა და როგორც თავიდან მომხდარიყო და მათი თავგარდასავალი სულ დაწვრილებით და გულამოჯდომით უამბო. მერე დიდის მუდარებით მათგან შემწეობა ითხოვა.

რა ამიან დევმა და სილან დევმა ესე ამბავი მოისმინეს, დიდათ შეჰბრალდათ და ისეთი ყვირილი და ჯავრობა დაიწყეს რომ, იმათის ხმებით დედამიწა ირყეოდა. მაშინვე თავიანთ დიდებულთაგანნი შემოიყარეს და ამ საქმეზე რჩევა აღძრეს. იმათში ერთი ძრიელი ფალევანი მდევი იყო, რომელიც ორასის მწყურთის მქონებელი იყო და სამი თავი ედგა, ის წამოდგა და მოახსენა: ხელმწიფენნო! ამას ფიქრი და რჩევა აღარ უნდაო, მაინც ხმელეთზედ გასვლას აპირობდით და ესეც კარგი მიზეზი, მივწეროთ ბძანებები და თქვენს სახელმწიფოებიდან რამდენნი ფალევანი მდევნიც არიან, თავიანთ დევთა და ჯადოთა ლაშქრებით წამოვიდნენ. ამას გარდა რა ხმელზედ გაბძანდებით და ადამიანთა ქვეყნისაკენ წასვლას დააპირებთ, მაშინ მთელი ყაფის მთის დევნი შეიტყობენ და სულ თქვენ გიახლებიან. თქვენც იმათ გაჰყვებით და მთელს ქვეყანას დაიპყრობითო, მაშინ თქვენი წინაალმდეგი ველარავინ გამოჩნდებაო.

ეს რჩევა დიდათ მოეწონათ და საჩქაროთ ბძანებები დაგზავნეს და საჩქაროთ დევთა ჯარები დაიბარეს. თითონაც კარგათ მოემზადნენ და უბძანეს სარდლებს ახლო მდგომი ჯარები ხმელეთზე გადაიყვანეთო. ამათაც

ისე მოიქცნენ. რა ჯარი გაისტუმრეს: თითონაც ქალაქების პატრონები უჩინეს და ჩააბარეს. რა ამასაც მორჩნენ, მერე ესენიცთავიანთ სარდლებით და ზანგებით ხმელეთზე გამოვიდნენ. ამათ ორი თვე იარეს, ბოლოს ერთს დიდს მინდორში ჩამოხდნენ, ყველა მათი ჯარებიც იქ მოვიდნენ და დადგნენ.

ამიან და სიღან დევებისთვის იქ დიდროვანი ფოლადის ტახტები დადგეს, მათაც მივიდნენ და დასხდნენ. მერე თავიანთ სარდლებს უბძანეს: რამდენი ათასი ლაშქარი არისო შეგვატყობინეთო? იმათაც საჩქაროთ იანგარიშეს და მოახსენეს დევთა ხელმწიფეებს, ათჯერ ასი ათასი სულ ცეცხლის ფქვეველი ჯარი გვყავსო და ასი ათასიც ჯადოს ლაშქარიო. რა ესე ისმინეს, იქვე ჯარების დაბინავება უბძანეს და თითონაც დანარჩენ დაბარებულს ჯარებს მოელოდნენ.

რა ერთი კვირა გავიდა, ამათი დაბარებული ჯარებმაც დენა დაიწყეს. ესენიც ისე მრავალნი ქაჯთა და ჯადოთა ლაშქარნი იყვნენ რომ, ის მთელი არე მარე სულ მთლათ დაიჭირეს. იმათში ერთი გამოჩენილი დევი იყო, სახელათ მეხთალს უწოდებდნენ. წინ მოვიდა და პირდაპირ ამიან და სიღან დევი იკითხა. ამათაც უჩვენეს მათი სადგომი კარვები. ეს დევი ასეთი წყეული რამ იყო, თუ გაჯავრებულიყო მთლად ქვეყანას გაათხრებდა. რა ამიან და სიღან დევებმა მისი მოსვლა შეიტყეს, საჩქაროთ წინ მოუგებნენ და დიდის პატივით კარავს მიიწვიეს. რა ამათ სალმობა გაათავეს, მერე დიდი მეჯლისი გამართეს და უცხოთ შექცნენ.

ამათ ქალილში რომ იყვნენ, ის ორსავე სოფლის მაცდური რაჯიბ თავიანთ ეშმაკი რომელსაც ისინი თავიანთ ღმერთათ სდიდნენ, თეთრის ტანისამოსით მოსილი ხელშიც კრიალოსნის ჭერით ჯერ გაიარ-გამოიარა და მერე მივიდა ამიან და სიღან დევების გვერდით დაჯდა და მოახსენა: მშვიდობა თქვენთ ნახვა ჩემნო გულის ნაწილნო და სიხარულნო, როგორ მშვიდობით იმყოფებით? ამათ ვერ იცნეს და ჰკითხეს, თქვენ ვინა ბძანდებით, ან ამ ჩვენს ხალვათში როგორ შამოხველიო? რაჯიბმა ამაზედ დიდის წყრომათ უთხრა; საკვირველი არისო რომ, დევთა ფალევანთ ეგ მეტათ ცუდათ გჭირთო, რომ თქვენის ძალისა მინდობით თქვენი ღმერთი და თქვენი მწყალობელი აღარ გახსოვთო. ბაუბაუ და ზარბაქ დევნიც ეგრე ამპარტავნათ მოიქცნენ და მე არად ჩამაგდეს; მეც მათი საქმე წავახდინეო და მე როგორც გხედავთ, თქვენც ისრე დაგემართებათო. ამათ რა ესე გაიგეს, წამოცვივდნენ, ფეხს და ხელს კოცნა და ხვევნა დაუწყეს, ამასთან დიდის მოწიწებით ბოდიში მოიახოვეს. რაჯიბმა უბძანა: დასხედითო! მერე ჰკითხა, ეს ამოდენა ჯარები რომ შეგიყრიათ, ვისზედან აპირებთ გალაშქრებასო? მაშინ იმათაც მოჰყვნენ და როგორც იმ ბერ დევს გადმოე-

ცა, ყოველივე დაწვრილებით უამბეს. რაჯიბ ემშაკმა ჰკითხა, სად არიან იგი ახალგაზდა დევები და მათი ბერი სარდალიო? ამათ მაშინვე შემოაყვა-ინეს. რა ამათ თავიანთ რაჯიბ ღმერთი დაინახეს, მაშინვე ძირს დაცვივ-დნენ, მუხლს და ფეხს კოცნა დაუწყეს და დიდის ცრემლით ამასაც შემო-ჩივლეს თავიანთ ქვეყნის და მამების ამბავი. ამ დროს რაჯიბ ემშაკმა ამათ დიდი იმედი მისცა, მერე თავიანთ ადგილს ჯდომა უბძანა. რა ესენი თავ-თავიანთ ადგილს დასხდნენ, რაჯიბ ემშაკმა ჰკითხა დევთა ხელმწიფეებს: ამიან და სიდან დევნო! სულ რამდენი ჯარი გეყოლებათო? მათ მოახსე-ნეს: ამ ჟამათ ჩვენ გვყავს ასი ათასი დევი, ორასი ათასი სარდალი და ხუთასი ათასიც გამორჩენილი ფალევანი, ამას გარდა რაც ჩვენ სარდალს და სპასალარს მუხთალს ჯარები მოჰყოლია, ის თითონ მუხთალს ეცოდინებაო. რა ამათ გაათავეს თავიანთი ლაპარაკი, შემდეგ მუხთალმა მოახსენა: ასჯერ ასი ათასი სულ ცეცხლის მფრქვეველნი დევთა ჯარი მყავსო, ორმოცი ათასი სარდალი და ფალევანნი და ასი ათასიც ჯადოს ლაშქარნიო.

რაჯიბ ემშაკს დიდათ მოეწონა ეს ამბავი და სთქვა: ამდენ ჯარებს ვე-დარავინ დაუდგება წინაო. რა ხმელეთზედ თქვენი გამოსვლა შევიტყე, მა-შინვე ყაფის მთის დევთაც უბძანე, რომ ყველანი აიყარნენ და თქვენკენ წამოვიდნენ. გარდა ამისა მე დავარიგე მათ, თუ როგორ უნდა წამოვიდ-ნენ, და თუ ჩემს დარიგებას აასრულებთ, გარწმუნებთ რომ მთელს ქვე-ყანას დაიჭერთ; — უნდა იცოდეთ რომ, ქუჩუკ ყარამანი დიდათ ძრიელი ფალევანია და ძრიელი მეომრებიც ჰყავთ, გარდა ამისა ქუჩუკს ერთი მხე-ცი ჰყავს, ძალიან მძლავრი და ცქვიტია. მაგრამ უსათუოდ შენი თეთრი მხეცი შეიპყრობს; ამათ გარდა მშვენიერი ქალთა ჯარი ჰყავთ, ფარვან დევი, ფაშკუნჯი და საჰმან-ადამზადი თავისის ამხანაგებით იმათ ემსახურებიან და ამიტომ გიცხადებთ, რომ დიდი სიფრთხილე გმართებთ. მაგრამ რაკი მე თქვენთან ვიქნები, ნურაფრის ფიქრი ნუ გექნებათ; ჯერ იმედია ჩვენი მუხთალ დევი, მთელ ქვეყანას ამოაგდებს და იმათ ფალევნებსაც ყველას შეიპყრობს. პირველად თქვენ თქვენს სარდლებს ესე იგი, ჰინდან დევს, საყანჩუნ დევს და შაქ დევს თაივანთის ასოცი ათასის გამორჩენილი ჯარე-ბით ზარბაქ დევის ქალაქისკენ გაისტუმრეთ; შემდეგ სიდან დევი, მწვანე დევი და შაქან დევი, ასოცი ათასის კარგი დევთა ჯარებით და ორმოცი ათასის ჯადოს ლაშქრით თეთრი დევის ქალაქზე და მაღრიბზე მივიდნენ; მუხთალ, კახან და შაქან დევებიც თავიანთის ლაშქარ-ფალევნებით და ჯა-დოებით ინდოეთზე მივიდნენ, შემდეგ შენ, ხაზარან დევის შვილი, შავი დევის შვილი და ბაუბაჟ დევის შვილი დიდის ჯარებით სამთავისისაკენ წა-დით და როცა იქ მიხვიდეთ, საჩქაროდ ბძანებები დაუგზავნეთ ყაფის

მთის დევებს და ჯარებიც შემოიკრიბეთ. რა ჯარებიც მოგივლენ, მაშინ სამთავისიდან გაჰყევ და ფერიისტანში მიდი, ფერიისტანიც რომ აიღოთ, იქ ციხე კარგათ გაამაგრეთ, მერე სილან დევიც ჯინისტანში წავიდეს და იქაურობა სულ ხელთ იგდოს. რა ამ ადგილებს დაიპყრობთ, მერე ქაბულისკენ წასვალთ, ყარამანია ქალაქსაც აიღებთ, ციხეში შეხვალთ. როცა იქ დაბინავდებით და კარგათ შეისვენებთ, მაშინვე არდევანშაჰა თავის ფალავნებით ესე იგი, ნარიმანი, ქურუკ ყარამანი, ყოვლიბანი, ხოსროვშირი, ყათარანი და ბარამჯიბილი თავიანთ ცოლშვილით სულ ტყვეთ დაიჭირეთ. როდესაც ამ საქმესაც დაასრულებთ, შემდეგ როგორც სჯობდეს ისე დავაწყობთ; ეხლა კი ჯერ-ჯერობით ბნელეთის და თურქმანის ხელმწიფეებს ბძანებები მისწერეთ, აგრეთვე ყულუნ ჯადოსაც, და რა წამს ბნელეთის და თურქმანის ხელმწიფეების შვილები მოვიდნენ, იმათ დიდი პატივი ეცით, ისინიც დიდი ჯარების პატრონნი არიან, თითონაც ძრიელნი ფალავანნი არიან. ვინიცობაა თუ გაბრიყვდნენ და თქვენი ბძანება არ აასრულონ, მაშინვე მათი სახელმწიფოები აიკლეთ და თითონაც შეიპყარით. შემდეგ თურქმანის სახელმწიფოში ერთი დიდი ძრიელი დევი დასვით და შენი მეორე სარდალიც ბნელეთის სახელმწიფოში დასვით; თუ ვინიცობა ყულუნ ჯადოც არ დაგმორჩილდეთ, მაშინვე ისიც შეიპყარით და იმის სახელმწიფოშიც ერთი კარგი ჯადოს მცოდნე და ძრიელი სარდალი გაგზავნეთ, იმის ციხე და ქალაქებიც დაიჭირეთ.

რა ამიან, სილან და მუხთალ დევებმა თავიანთის ბილწის და საძაგლის რაჯიბისაგან ამისთანა საიმედო ნუგეშები გაიგონეს, მაშინვე პირქვე დაცვივდნენ, მუხლს ეხვეოდნენ და ემუდარებოდნენ. შემდეგ დიდი ცეცხლი დაანთეს, დიდის მოწიწებით თაყვანი სცეს და ეხვეწებოდნენ შემდეგის სიტყვებით: ჩვენო მოწყალეო ღმერთო რაჯიბ ეშმაკო! შენ მოგვიმართე ხელი, დაგვიხსენ ყოველს განსაცდელს და გასაჭირს; ჩვენს მტერზედ გაგვამარჯვებინე. ამ დროს იმ ანთებულ ცეცხლიდან შემოესმათ ხმები: ჩემო მონანო! სილან, ამიან და მუხთალ დევნო, როგორც თქვენთვის დარიგება მომიცია იმ გვარათ მოიქეცით და უთოოდ გამარჯვება თქვენ დაგრჩებათ და თუ ჩემს ბრძანებას გარდახვალთ, მაშინვე თქვენს საქმეს და მტერთან ომებს სულ წავახდენ, მე ყოველთვის თქვენთან ვარ.

ამ სიტყვებზედ ესენი ყველანი ფეხზედ წამოდგნენ და ჩქარა თურქმანის და ბნელეთის ხელმწიფეებს წერილები მისწერეს, მერე ყულუნ ჯადოსაც მისწერეს შემდეგის სიტყვებით: «მოგიწვევთ თქვენ, ბნელეთის ხელმწიფის შვილებს და აგრეთვე თურქმანის ხელმწიფეებს საომრად, — ჩვენ დიდნი დევთა, ჯადოთა და ქაჯთა ხელმწიფენნი მივდივართ დიდის

ჯარებით და სარდლებით არდევანშაჯ ხელმწიფეზე, ქურუკ ყარამანზე და მათი ქველა ქვეყნებზე, ბაყბაყ, ხაზარან და შავი დევების სისხლის ასხლებათ. თქვენც რა წამს წერილები მიიღოთ, მაშინვე ჯარები შემოიკრიბეთ და თქვენის სარდალ-ფალევნებით ჩქარის სიარულით წამოდით. აქედანაც როგორც დავაწყობთ და როგორც ჩვენმა რაჯიბ ღმერთმა დაგვარიგა ასე უნდა მოვიქცეთ. უკე თუ ჩვენს ბძანებას არ მიიღებთ, უნდა იცოდეთ რომ სულ ფეხ ქვეშ გაგსრესავთ“.

რა ეს წერილები მოამზადეს, სარქაროთ აიარი მოიხმეს და ესრე უბძანა: ეს წიგნები ყოვლის სიჩქარით უნდა მიიტანოთ და ჩააბაროთ სათითაოდ ბნელეთის და თურქმანის ხელმწიფეებს და აგრეთვე ყულუნ ჯადოს. ამასთან თვალ-ყური უნდა ადევნოთ, წერილები იმებათ თუ არა? და თუ ეწყინებათ, ვინძლო რომ მალე ამბავი მოგვიტანოთ და შემდეგ ჩვენ თითონ შევანანიებთ იმათ.

### ესენი აქ დაუტეოთ და ეხლა სხვა ამბავი მოვიხსენიოთ.

ქურუკ ყარამანის ვაჟის მიცემა და მისი სიმხიარულე უველგან მის სახელმწიფოში მოეფინა და რადგანაც ბნელეთის და თურქმანის სახელმწიფოებიც დაიპყრო და არდევანშაჯას დაუმორჩილა და აგრეთვე ისინიც ერთგულათ ემსახურებოდნენ, ამასთან ქურუკის ვაჟიანობამ იმათ სახელმწიფოებამდისაც მოახწივა, ამაზედ რასაკვირველია დიდათ ესიამოვნათ. ამათ დიდის ფეშქაშებით მოემზადნენ და აგრეთვე დიდის ჯარებით არდევან შაჯისაკენ და ქურუკისკენ წამოვიდნენ. იარეს მრავალი დღე და კვირა, ბოლოს უშანგბაითში მოახწივეს.

იმ დროს შუთურ აიარი და მისი მამა გარდანქეშანი თავისის აიარებით გარეთ ისხდნენ, ამათ შეხედეს, ნახეს რომ აღმოსავლეთის მხრიდამ დიდროვანი ღრუბლები მოჩანს, რა კარგათ თვალი დააკვირვეს, ნახეს რომ სულ ადამიანთ ჯარები იყო, მაშინვე შუთურ აიარი შევიდა და მოახსენა: შვიდის იულიმის ხელმწიფეო და საპყირანო, აღმოსავლეთის მხრიდან დიდი ძალი ჯარები მოჩანსო და არ ვიცით მტერია თუ მოყვარენიო? სულ კი ადამიანთა ჯარი არისო. მაშინვე ხელმწიფენიც და საპყირანიც თავიანთის ფალევნებით კარში გამოვიდნენ და იმათაც ყურება დაუწყეს და თუმც ამათაც გაარჩიეს რომ ადამიანთა ჯარები იყვნენ, მაგრამ კიდევ ვერ გაიგეს თუ რომელ სახელმწიფოს ჯარები იყვნენ. ამისთვის ქურუკმა თავის საყვარელ და ერთგულს ანდუზ დევს უბძანა: ჩემსა მზესა ეხლავე შემიტყეო, რომლის ხელმწიფის ჯარნი არიანო?! მაშინვე მადუზ დევი ჭაერში აფრინ-

და, ჯარს წინ მიეგება და ჰკითხა, ეს ამდენი ჯარი ვისი არის ან საით მიდიხართო? იმათმა მოწინავე კაცმა უპასუხა: მდევო, ჩვენ თურქმანის და ჩინელეთის სახელმწიფოების ჯარნი ვართო, — თითონ ხელმწიფენიც აქ ბძანდებიან, არდევანშაჰსა და ქუჩუკის სანახავათ მობძანდებიანო...

რა მათუზ კოჭლმა დევმა ამათ ვინაობა შეიტყო, მივიდა ამათ ხელმწიფეებთან, თაყვანი სცა, მუხლთ აკოცა და მოიკითხა. ამათ მაშინვე სცნეს ვინც რომ იყო და უთხრეს: მშვიდობა შენი ნახვაო, მერე შვილის იყლიმის ხელმწიფის და სააჯიარანის ამბავი იკითხეს. მათუზ დევმა მადლობა მოახსენა და ყოველივე თავიანთის სახელმწიფოს ამბავი მოახსენა. შემდეგ ამათ დაეთხოვა და მსწრაფლათ უკან წამოვიდა. რა ქუჩუკს ეახლა, მოახსენა: სააჯიარანო, ეგინი ჩინელეთის და თურქმანის ხელმწიფის შვილები გახლავანო და თქვენთან გიახლებიანო, სამასის ათასის კაცით.

რა არდევანშაჰმა და სააჯიარანმა ესე მოისმინეს, დიდათ იამათ, მაშინვე ბეგზადშაჰს, ხოსროვშაჰს, გორშარაბს და ბარზინს უბძანეს რომ, ორმოცის ათასის კაცით მიეგებნათ. ამათაც ისე მოიქცნენ. რა ესენი წავიდნენ სტუმრების წინ მისაგებებლათ, ისინიც ჰაერიდან ძირს ჩამოვიდნენ და რა ნახეს ეს ოთხნი მშვენიერნი ახალგაზდა ფალევანნი, მაშინვე იცნეს რომ, ყოვლიბანის, ხოსროვშირის, ყათრანის და ბარამჯაბილის შვილები იყვნენ, მსწრაფლად მიუახლოვდნენ, მკლავებ გადაშლილნი გადაეხვივნენ და დიდხანს ერთმანერთის ჰკოცნეს. რა სალმობა გაათავეს, შემდეგ ამ ხელმწიფეების ბძანებით, ოთხი ტაბაკი მარგალიტი ამ ახალ ფალევანთ თავს გადააყარეს და ამასთან დიდი მადლობა მოახსენეს. მერე ერთათ წამოვიდნენ. რა ცოტა მოახლოვდნენ, ქუჩუკმაც არ მოითმინა და თავის ამხანაგებით ამათ წინ მიეგებნენ. რა ერთმანეთი იცნეს, აქაც სწრაფლათ მოეხვივნენ და დიდხანს ჰკოცნეს. შემდეგ ხელმწიფეებმა კიდევ უბძანეს თავიანთ კაცებს და ხუთი ტაბაკი ალმასი ქუჩუკს და იმ უცხო ფალევანთა თავს გადააყარეს. ამათ ერთმანერთის ნახვა დიდათ იამათ, ამ დროს თურქმანის და ჩინელეთის ხელმწიფეების შვილებმა ქუჩუკს ვაჟიანობა მიულოცეს, გამობრუნდნენ და რა ნახეს არდევან შაჰა, ინდოეთის ხელმწიფე, როვშანბახტი და ფაშკუნჯი, მსწრაფლათ მივიდნენ, არდევან შაჰს თაყვანი სცეს და მუხლთ აკოცეს. ეს ხელმწიფემ არ ინება, მაშინვე აყენა და ხუთთავე პირზედ აკოცა; მერე მივიდნენ და როვშანბახტს მიესალმნენ, ფაშკუნჯს ფრთაზედ აკოცეს, ფარვან დევს, თეთრ დევს და საჰმან-ადამზადს ამათაც მიესალმნენ, ბურჯუზარი და კარდანქეშანიც მოიკითხეს, შემდეგ ერთათ წამოვიდნენ და დიდი მეჯლისი გამართეს.

ლხინის დროს ქუჩუკმა უბძანა გამოეყვანათ თავისი შვილი მახუჩარშაჰი.

რა ამ ხუთმა ხელმწიფეებმა შეხედეს, ნახეს რომ ქრთი მინის ოთახიდამ გამოიყვანეს ყმაწვილი, ასეთის მრისხანე სახისა რომ, მტერსა ზარს დასცემდა. ესენი ჰკვირობდნენ და კითხულობდნენ, ნეტარ ეს ყრმა ფალევანი ვინ უნდა იყოსო? ამ დროს ერთმა აიარმა მოახსენა: ხელმწიფენო, ეს არის ქურუკ ყარამანის შვილი მანუჩარშაჰი. ამათ რა ეს გაიგეს, მაშინვე ფეხზე წამოდგნენ, ქურუკს ხელახლად მიულოცეს ვაჟიანობა, მერე გატრიალდნენ და ოცი ტაბაკი ლალი, ზურმუხტი და მარგალიტი მოიტანეს. როცა ის ყმაწვილი მოვიდა და მამას გვერდზედ მოუჯდა, მაშინვე ყულებმა შემოიტანეს და ის მარგალიტი მანუჩარშაჰს თავზედ გადააყარეს. ხელმწიფენიც მივიდნენ, პირზედ აკოცეს და დალოცეს, შემდეგ გამობძანდნენ და თავიანთს ალაგებზე დასხდნენ. ამათგან ესეთი პატივის ცემა ქურუკს დიდათ იამა და ამანაც სამაგიერო მადლობა გადაუხადა, შემდეგ დიდი სიამოვნებაში შევიდნენ.

ესენი ამ სიამოვნებაში რომ იყვნენ, ამ დროს ერთი აიარი შემოვიდა და მოახსენა, სააპყირანო, ყულუნ ჯადო გიახლათ ორმოცი ათასი ჯარითაო. მაშინვე ფარვან დევი წინ მიაგება და დიდის პატივით შემოიყვანეს. ამან რა ხელმწიფე და სააპყირანი დაინახა, მაშინვე თაყვანი სცა, მივიდა და ოთხთავ მუხლთა აკოცა, აგრეთვე დანარჩენებსაც ისე მოექცა. რა გამობრუნდნენ და დასხდნენ, იმ დროს ყულუნ ჯადომ მოახსენა: სააპყირანო, მოგვილოცავს თქვენის დედოფლის მშვიდობით განთავისუფლება და ღვთისაგან თქვენის ვაჟის მოცემაც. ამაზედ ქურუკმაც დიდი მადლობა გარდაუხადა. შემდეგ ყულუნ ჯადო გაბრუნდა და ერთი ტაბაკი ალმასი შემოიტანა და მანუჩარშაჰს თავზედ გადააყარა და ამასთან მუხლზედ კოცნას ლამობდა, მაგრამ მანუჩარშაჰმა ხელი სტაცა,ააყენა და პირზედ აკოცა. ამ დროს ყოველივე სული შინაურნი თუ გარეულნი, ვინც კი მანუჩარშაჰს უყურებდნენ, ყველანი დიდათ ჰკვირობდნენ მისი საფალევნოთ მოყვანილობაზე და სიმშვენიერეზე. იგი ჯერ რვა წლისა იყო და მამასთან სიმაღლით ბევრი აღარა აკლდა რა. ამაზედ ყველანი ხარობდნენ და სულ ლხინში ატარებდნენ დროს.

## ესენი აქ დაუტეოთ და ეხლა ამიან, სილან და მუხთალ დევების და ამათ ფალევან დევების ამბავი მოვიხსენიოთ.

როდესაც ამიან დევმა თავისის ბილწ́ს რაჯაბთან ლაპარაკი გაათავა და ყულუნ ჯადოს, ბნელეთის და თურქმანის ხელმწიფეებსაც წერილები გაუგზავნა, შემდეგ ამისა თითონაც მოემზადა და ყიჩან დევი, საყანჩუნ

დევი და ბაქირ დევნი დაიბარა და უბძანა: თქვენ სამნივ თქვენის გამორჩენილის ფალავნებით აიყარენით, ათჯერ ასი ათასის კაცით და ორმოცი ათასის ჯადოს ლაშქრით, ზარბაქ დევის ქალაქს და ციხეებს მოადექით, ამასთან ეცადენით რომ ზანგ დევი და ანბირ დევი კარგის ლაპარაკით როგორმე დაიყოლიოთ და იქნება როგორმე ციხე და ქალაქი დაგვანებონ; და თუ უარი გითხრან, მაშინვე თქვენის ძრიელის ჯარებით შეუტიეთ, ან სულ ამოიხოცენით, ან არა და ციხე-ქალაქი უნდა აიღოთ და თუ ცარიელი გამობრუნებულხართ, იცოდეთ, უსიკვდილოთ ვეღარ მომრჩებით. რა წამს ციხე აიღოთ, ამბირ და ზანგ დევნი შეიპყარით, დიდროვანი კაცებიც სულ დაიჭირეთ, რა ეს საქმეც გაათავოთ, ციხე და ქალაქები ძრიელ გაამაგრეთ და აკრეთვე გზებიც სხვა ჯადოებით და მანქანებით გააწყეთ, რომ არავის არ შეეძლოს იქ შემოსვლა, გარდა ჩვენის ჯარისა. რა ამან გაათავა თავის ბძანება, ყიჩან დევი, საყანჩუნ დევი და ბაქირ დევი აიყარნენ თავიანთის სარდალ-ფალავნებით და ჯადოს ლაშქრით, ამას გარდა ცხრა ასის ათასის დევთა ჯარებით გზას გაუდგნენ. იარეს მრავალი დღე და ღამე, ბოლოს ზარბაქ დევის ქალაქებს მიუახლოვდნენ და იქ ერთი დიდი გორა იყო, იმ გორის ძირში დაბანაკდნენ.

## ამათ აქ თავი დავანებოთ და ეხლა ისევ ამიან და სილან დევების ამბავი მოვიხსენიოთ.

რა ამათ ის სამი გამორჩენილი დევთა სარდლები მძლავრის ჯარებით ანბირ და ზანგ დევების სახელმწიფოებისაკენ გაისტუმრეს, მაშინვე სილან და მწვანე დევებიც დაიბარეს და უბძანეს: დევნო! თქვენც დღესვე აიყარენით თქვენის სარდალ-ფალავნებით და სამ ჯერ ასის ათასის კარგის შეომრის დევთა ლაშქრით და სამოცი ათასის ჯადოს ლაშქრით წადით ჩქარის სიარულით და თეთრი დევის ქალაქზე და ციხეზე მიდით, ყველანი ამოსწყვიტეთ და თეთრი დევიც დაატუსაღეთ, რაკი მაგას შეასრულებთ, შემდეგ მაღრიბში გადით, ქალაქი და ციხე იქაც აიღეთ, ახირ ჯადოც და დიდროვანი კაცებიც დაიჭირეთ, იქ კოჭლი მანდუს დევი ხელმწიფობს ის მაგრად შეიპყარით და დაატუსაღეთ. ამასაც რომ მორჩებით, მერე თეთრი დევის ქალაქში დაჯექით და ჩვენ ბძანებას ელოდეთ.

რა ესენიც გაისტუმრეს, შემდეგ შომან დევი და საფჩიბაშ დევიც ინდოეთისაკენ გაგზავნეს. რა ამასაც მორჩნენ, მერე თითონ ამიან დევი, სილან დევი და ჯან დევი, ხუთასის ათასის დევთა ჯარებით და ასი ათასის ჯადოს ლაშქრით სამთავისისაკენ დააპირეს წასვლა. მაგრამ ჯერ რომ წამოვიდა

ზარბაქ დევის და თეთრი დევის საშუალსა ერთი დიდი მთა იყო, რომელიც ყოველის ფერით შემკობილი იყო, თუ მწვანით და თუ წყლით. ესენი სწორეთ ამ მთის კალთაში დაბანაკდნენ და წერილების პასუხების ელოდნენ რომლებიც დაუგზავნეს თურქმანის და ბნელეთის სახელმწიფოებს და აგრეთვე ყულუნ ჯადოს ამბავს და თვალი მათ გზისაკენ ეჭირათ.

## ესენი ამ ლოდინში დაუტეოთ და ეხლა ამათი გაგზავნილ-კაცების ამბავი მოვიხსენიოთ.

რა ამ დევებმა წიგნები ჩაიბარეს, მაშინვე ჰაერში აფრინდნენ და თურქმანის და ბნელეთის ხელმწიფეების ქალაქებში შევიდნენ, აგრეთვე ყულუნ ჯადოს საბძანებელშიაც. პირველად ბნელეთის ქალაქში შევიდნენ და პირდაპირ სასახლისკენ გასწიეს, კარზედ მსხდომთა შეხედეს, ნახეს რომ, ხუთი დევი ჩქარის სიარულით მოდის, ამათ ფიქრს მიეცნენ და ნეტარ ეს დევნი ვინ უნდა იყვნენო! მაშინვე შევიდნენ და ვინც ხელმწიფის მეჯლიბის მოალაგენი იყვნენ და სახელმწიფოს გამგენი, მათ მოახსენეს: ხუთი დევნი სისწრაფით მოფრინდნენო, მტერნი არიან თუ მოყვარენი, არ ვიცითო. ამათ მათი შემოყვანა უბძანეს. მაშინვე კარის დევებმაც შემოიყვანეს. ამათ წინ წარუდგნენ და თავიანთის ხელმწიფეების წიგნები მიართვეს. რა წიგნები გახსნეს და გადიკითხეს, მაშინვე ერთმანერთს ყურება დაუწყეს, შემდეგ ადგნენ, ხალვათში შევიდნენ და დიდხანს ჩაფიქრდნენ. ამ ფიქრის შემდეგ, სჩქაროდ ჩქარი მატარებელი ფაიკები მოიხმეს, და ესე უბძანეს: ნურც დღე მოისვენებთ და ნურც ღამე; სჩქაროდ უშანგბათში ჩადით და ეს წიგნები სჩქაროდ ხელმწიფეებს მიართვით. შემდეგ ხალვათიდან გამობრუნდნენ და გამოგზავნილ დევებს უთხრეს: ხელმწიფეები აქ არა ბძანდებიან და თქვენ მოტანილ წიგნებს იქ უგზავნით, თუ გნებავთ აქ მოიცადეთ პასუხის გასაგებათ და თუ არა გსურთ, მაშინ თქვენც იქ წაჰყევით და პასუხს იქ მიიღებთ... რა ამ დევებმა ხელმწიფეები ვერ ნახეს, თითონაც თან გაჰყვნენ და პირდაპირ თურქმანის სახელმწიფოში მივიდნენ. აქაური უფროსნიც, ვინც მოადგილენი იყვნენ, ამათაც წერილები დაწერეს და ეს დევებიც უშანგბათისკენ გაისტუმრეს.

## ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და ეხლა ყულუნ ჯადოს ამბავი მოვიხსენიოთ.

როდესაც ამიან და სიდან დევებმა ერთი წიგნიც ყულუნ ჯადოს სახელმწიფოში გაგზავნეს, ამ წიგნის წამღები ადგილს მივიდა თუ არა, მაშინვე

ოკითხა, ყულუნ ჯალით ხელმწიფე შინ ბძანდებაო? კარის კაცთა ჰკითხეს, დევნო, თქვენ ვინა ხართ, ან საიდამ ბძანდებით, რომ ესრე თამამათ ამ სასახლეში შემოხვედითო? მათ უპასუხეს: ჩვენ ამიან და სილან დევების მსახურნი ვართო და წიგნები გვაქვსო ჩვენის ხელმწიფეებისაგანაო. ამათ მაშინვე შიგნით შეიყვანეს და ყულუნის ვეზირს მოახსენეს: ჩვენის სახელმწიფოს ნაიბო, ხუთნი დევნი გახლავან და ესე მოგახსენებენ: სილან და ამიან დევების დევნი ვართო და თქვენ ნახვას ლომულობენ და ეხლა რას გვიბძანებთ, გახლოთ თუ არა? მაშინვე შემოყვანა უბძანა.— რა შემოვიდნენ, თავები დაუკრეს, წიგნები ამოიღეს და მიართვეს. რა წიგნები ჩამოართვეს, მაშინვე გახსნა და წაიკითხა. რა ყოველივე ამბავი შეიტყო, მაშინ იმ დევებს უთხრა: დევნო! ამიან და სილან დევნი ამ ჟამათ სად ბძანდებიანო? მათ მოახსენეს: სილან და ამიან დევნი დიდროვანი ჯარები გაისტუმრეს თითო დევის სახელმწიფოშიო და აგრეთვე მაღრიბზედაც, ინდოეთზედაც და ანზირ დევზედაც. თითონ კი ზღვის პირზედ დაიბანაკეს. ამის გარდა, შაგი დევის და ხაზარან დევის შვილებიც თავიანთ სახელმწიფოში წავიდნენ, ჯარების შესაკრებათაო და ისინიც ამათ მოელიანო, აგრეთვე ყულუნს, ბნელეთის ხელმწიფეს და თურქმანის ხელმწიფის შვილებსაც ელოდებიანო. რა ესენიც მოვლენო, და ერთათ შეიყრებიან, მერე სულ ერთათ სამთავისსა და ყაფის მთისაკენ წავლენო.

რა ამათ გაათავეს ლაპარაკი, ყულუნის ნაიბმა უთხრა: დევნო! ყულუნი აქ არ არის; დღეს შვიდი კვირა არის რაც უშანგიბათში წავიდაო, თქვენ აქ მოიცადეთ და მე საჩქაროდ ამ წიგნებს იქ გაუგზავნი და თუ გნებავთ, კაცებს გამოგაყოლებთ იქ თქვენვე წადით. მაშინ დევებმა მოახსენეს: ძალიან კარგი იქნება, კაცები გამოგვაყოლეთ, ჩვენვე წავალთ და წიგნსაც ჩვენვე მივართმევთო. მაშინ ნაიბმა ხუთი მარდი მატარებელი ჯალდო გამოართვა, წიგნები მისცა და უშანგიბათისაკენ საჩქაროთ გაისტუმრა! შემდეგ ერთი წერილიც ანდროეთში მისწერა, როვშანბახტის სახელმწიფოში და ყოველივე ამბავი დაწვრილებით შეატყობინა, კიდევ ერთი წიგნიც თეთრ დევთან და მაღრიბში გაგზავნა და შეუთვალა რომ ყოველივე ციხეები გაამაგრონ. ბოლოს ერთი წერილიც ანზირ დევის და ზანგ დევის საბატონოში გაგზავნა და ამათაც აცნობა საქმის ვითარება. რა ამათ მორჩა, შემდეგ მოჰყვა და ყულუნის ციხე და ქალაქები ისე გაამაგრა, რომ ბუზიც ვერ შეუვიდოდათ.

რა თეთრი დევის ნაიბს და მაღრიბში, აგრეთვე ანზირ და ზანგ დევებსაც წერილები მიუვიდათ, მაშინვე სამი და ოთხის დღის სიმორეს ყარაულები დაუყენეს და თითონ ციხეები გაამაგრეს, ჯარებიც შემოიკრიბეს

და მრავალი ქვები ციხეების ბანებზე დააგროვეს, მერე თითო წინკანაც საჩქაროდ თავიანთ ხელმწიფეებს მისწერეს. როცა ინდოეთის ნაიბს წერილი მოუვიდა ყულუნის ნაიბისაგან, მაშინვე ამანაც ერთი წერილი მისწერა როვშანბახტს და თითონ ჩქარა ციხე და ქალაქი გაამაგრა, ჯარები შემოიკრიბა და შემდეგ მოსვენებას მიეცა.

## ესენი ამ მოსვენებაში დაუტეოთ და ახლა სხვა ამბავი დავიწყოთ.

შანგბათში, მეიდის იელიმის ხელმწიფე არდევან შაჰა და ქურუკ ყარამანი სულ შექცევაში და ლხინში ატარებდნენ დროს. ესე განვლო დიდმა ხანმა და წელიწადმა და ამათ აღარას ზრუნავდნენ სახელმწიფოსთვის.

ამ ჟამად ქურუკ ყარამანის შვილი მანუჩარშაჰიც წამოიზარდა. თითქმის ათი წლისა შესრულდა. მანუჩარშაჰი ისეთი ძრიელი ფალავანი გამოვიდა, რომ ვერც ყარამანი და ვერც ქურუკი სჯობდნენ. ისეთი მრისხანე სახე ჰქონდა, რომ შიშით თვალს ვერავინ გაუმართავდა. იგი სულ მამას ეხვეწებოდა და ეუბნებოდა: ესე სულ შინ ჯდომა როგორ იქნება? ან საომრად წავიდეთ სადმე, ან სანადიროთ. ამნაირათ ლაპარაკი ვისაც კი ესმოდათ დიდათ უკვირდათ. ჯერ ათი წლისა ძლივს იყო, უცებ შემოსწყრებოდა მამას, აიყვანდა ხოსროვშაჰს, ბეგზადშაჰს, გორშარაბს, ბარზინს და თავის შუთურ აიარს, წაიყვანდა და ორ-სამს კვირას სულ სანადიროთ მთებში და ტყეებში დადიოდა. ერთ ჟამათ ერთს დიდს ხეობას შეჰყვა, ნახა რომ ერთი საშინელი და უძლეველი ვეშაპი წევს, იმის თვალები დიდს საკირესავით ანათებდა, ოცი მწყრთა სიგანე ჰქონდა და ას ოცი მწყრთა სიგრძე, ისეთი ჯაგარი ესხა რომ, გაფოთლილ ტყეს მიემსგავსებოდა. მანუჩარშაჰმა დიდხან ყურება დაუწყო, ის წყეული ისეთი საძაგელი რამ იყო, რომ მეტის ხედვით თავმა ტკივილი დაუწყო.

რა იმ ვეშაპმა ამ ყმაწვილს შემოხედა, მაშინვე ერთი უშველებელი ენა წამოაგდო და მანუჩარშაჰს შეტევას ლამობდა. ამ დროს მანუჩარშაჰმა მაღალის ხმით ღვთის სახელი ახსენა, ისე რომ, თითქმის დედამიწა სულ მთლად შეიძრა, მერე თავის მშვილდისარი მოიმარჯვა. ამ დროს ის ოთხნი ფალავანნი და შუთურ აიარი, კარგათ მოშორებით ნადირობდნენ. რა მაი მანუჩარშაჰის ძრიელი ხმა გაიგონეს, საჩქაროდ იმისკენ წამოვიდნენ, როცა მოახლოვდნენ ნახეს რომ, ერთი ისეთი უშველებელი ვეშაპი გდია, რომ ყაფის მთას ძირს დასცემს, მანუჩარშაჰსაც მშვილდისარი ხელთ უჭირავს და ის არის — სროლას უპირებს. ამ ვეშაპს ხუთი მწყრთა

ქნა გამოუგდია და მანუჩარმაჭას შეტევას უშარებს. რა მანუჩარმაჭამ ის ოთხნი თავლუვანნი დაინახა, გული ერთი ათათ შექმნა, ერთი კიდევ მაღალის ხმით ღმერთი ახსენა და ისარი შესტყორცნა, სწორეთ მარჯვენა თვალში ჰკრა და მარცხენას თვალში განვლო. რა ვეშაპმა თვალით ვეღა-



რა დაინახარა, ბოლოს ისეთი ცემა დააწყებინა კუდს, რომ იქაურობა სულ მტვრითა აავსო და ვეშაპს ვეღარ ხედავდნენ. როგორც იყო, მეორე ისარიც გასროლა და თავში ჰკრა და ტვინში განვლო, მაგრამ ვეშაპმა მანუჩარს კიდევ ერთხელ მაინც შემოუტია. იმ დროს ამ ოთხთა გმირთა ფალავანთა თითო ნარი გაწვიეს და ვეშაპს შეუტიეს. რა მანუჩარმაჭამ იმათკენ ვე-

შაპის შემოტევება ნახა, სიჩქარით ხმალი მოწვდილი მივარდა და ხმალი
შემოჰკრა და თავი სრულებით მოსწყვიტა. მაშინ ეს ოთხნი ფალავანნი
მიუხტნენ და სულ ლუკმა-ლუკმა აკუწეს ეს უშველებელი ვეშაპი. შემდეგ
მოვიდნენ და მანუჩარშაჰს პირს აკოცეს და გამარჯვება მიულოცეს. აგ-
რეთვე მანუჩარშაჰმაც გადახვია და ოთხთავეს შუბლზედ აკოცა. შუთურ
აიარიც მივიდა, გამარჯვება მიულოცა და მუხლებზედ აკოცა, შემდეგ მი-
ვიდა ვეშაპთან, მარჯვენა ყური და ფეხი მოსჭრა, ხელმწიფეების საჩვე-
ნებლად, თითონ ყველაზე წინ წამოვიდა. რა შევიდა სასახლეში, ნახა რომ
შვიდის იკლიმის ხელმწიფე, ქურუკ ყარქმანი, ბნელეთის ხელმწიფის შვი-
ლები, თურქმანის ხელმწიფის შვილები, როგმანბასტი და მრავალნი სხვანი
უცხო მეჯლისი აქვთ. ამათ შეხედეს, ნახეს რომ შუთურ აიარი იყო, ამ
დროს ქურუკმა ხმა მისცა მშვიდობა შენი ნახვით! შუთურ აიარი მივიდა,
არდევანშაჰს, ქურუკს, ნარიმანს, როგმანბასტს, შაქშალს და იმ ოთხთა
ფალავანთა მუხლთ აკოცა, ფამკუნჯსაც კლანჭებზე აკოცა, დანარჩენებსაც
მდაბლად თავი დაუკრა, შემდეგ გამობრუნდა და გამარჯვება მიულოცა. ამ
დროს ორითა ფალავანთა ძლივს შემოიტანეს იმ მოკლულ ვეშაპის ყური და
ფეხი, მოიტანეს და ხელმწიფეს მოართვეს. რა ეს ქურუკმა დაინახა, სთქვა:
მე მკვდრისაც შემზარდათ, ეს უშველებელი ვეშაპი ვის მოუკლავსო? მაშინ
შუთურ აიარი წადგა წინ და როგორც მომხდარიყო, სულ დაწვრილებით
მოახსენა.

რა არდევანშაჰმა ეს ნახა და გაიგონა, მაშინვე ძირს ჩამოვიდა ტახ-
ტიდამ, დაემხო და ღმერთს მადლობა მისცა და მოახსენა: ვმადლობ შენს
მოწყალებას, რომ ათი წლის უმაწვილისათვის ასეთი ძალა მიგიცია, რომ
ასეთს უძლიერესს ვეშაპს მორევია, — ვმადლობ შენს მოწყალებას. ამ
დროს დანარჩენნი ფალავანნიც დაჰყურებდნენ ამ ყურს და ფეხს, თან ჰკვი-
რობდნენ და ამბობდნენ: არასოდეს არ შეგვყრილვართ ამისთანა ვეშაპსო.
ფოლადიბანმა სთქვა: პაპიჩემის მუდმივი სანადირო ვეშაპი იყო, მაგრამ ამის-
თანა ძლიერი და დიდი ვეშაპი ამბავშიაც არა მსმენია, არამც თუ, გუშინ-
დელი უმაწვილისაგან ესეთი მძლავრი ვეშაპის სიკვდილი, ამ დროს ქალე-
ბიც შემოცვივდნენ; რა დახედეს, დიდათ გაოცდნენ და მაშინვე შუთურ
აიარს ამბავის კითხვა დაუწყეს. მაშინ აიარმა როგორც მომხდარიყო, ყო-
ველივე თავიდან ბოლომდის მოახსენა. ამისთვის შუთურ აიარს მრავალი
საჩუქარი უბოძეს, მერე მსწრაფლად აიშალნენ და მანუჩარშაჰს წინ მისაგე-
ბათ გამოვიდნენ. რა მანუჩარშაჰმა ბანოვანნი დაინახა, მაშინვე ცხენიდამ
გადმოხტა და იმ ოთხ ფალავანთან ერთად დაქვეითებულნი წამოვიდ-
ნენ. რა გულიჯანმა თავისი შვილი მანუჩარშაჰ მომავალი დაინახა, მკლა-

მეტ გაშლილი გაქანა და კისერზედ მოეხვია. შემდეგ ბანოვანნიც ერთმა შემოეხვივნენ და მრავალი თვალ-მარგალიტი გადააყარეს მანუჩარმაჰას და აგრეთვე იმ ოთხთა ფალევანთა. რა სალმობას მორჩნენ, მოიხედეს, ნახეს რომ ფაშაკუნჯი წინ მოუძღვის და ხელმწიფე არდევან შაჰა, ქურუკი, ნარი-მანი და დანარჩენნი სულ ერთად მოდიან. ესენი საჩქაროდ ცხენებიდან გად-მოხტნენ, ესენიც წინ მიეგებნენ, შემდეგ ამათაც გადაეხვივნენ ერთმანერთს და დიდი სალამობა შექმნეს. მერე ქურუკმა უბძანა: სამხიარულო ნაღარას ჰკარითო! ამ ამბავით მოვიდნენ სასახლეში, დასხდნენ და დიდი მეჯლისი გამართეს.

რა მეჯლისი მოიშალა, ხელმწიფემ ბურჯუვეზირს რამლის ყრა უბრ-ძანა და მანუჩარმაჰას საქმე გამოიკითხა. ბურჯუვეზირმა მოახსენა: ხელმწი-ფეო და ფალევანნო, მანუჩარმაჰას ძრიელებს წინათვე მოგახსენეთ, რომ ამისთანა ფალევანი ჯერ არ დაბადებულა და არც დაიბადება, მხოლოდ ეს ოთხნი ახალნი ფალევანნი და მეთერ აიარი, ყოველთვის განუყრელათ უნდა იყვ-ნენ მანუჩარმაჰასთან, ამიტომ რომ, ესენი მუდამ სისხლში უნდა იყვნენ.— რამლი ესე მიჩვენებს. შემდეგ განაგრძო: ხელმწიფენო და ფალევანნო, ყოველის მხრიდან დევნი, ქაჯნი, ჯადონი და დევთა ხელმწიფენი დიდი ჯარებით თქვენზედ მოდიან და ამ ორ-სამ დღეზედ კიდეც გაიგებთ. რა ეს ამბავი ფაშაკუნჯმა გაიგონა, მაშინვე თავის მარჯვენა ფეხის ფრჩხილში გაიხედა და ყოველივე სწორეთ სცნო, მაშინ ბურჯუვეზირს ქება დაუწყო და მისი მეცნიერება ადიდა. შემდეგ ამისა მოახსენა: შვიდის იკლიმის ხელმწიფენო და უცხო ფალევანნო, რაც ცასა და ქვეშეთ, ზღვაში და ხმე-ლეთზედ—დევნი, ჯადონი და ქაჯნი არიან, ყველანი თქვენზედ საომრად წამოსულან, ამასთან უნდა ვსთქვა რომ მეტად ძრიელნი მტერნი არიან და დიდს მწუხარებასაც ნახავთ ამ ომში, მაგრამ ბოლოს კი მათ ყველას, მა-ნუჩარმაჰა და ეს ოთხნი ფალევანნი დაიმორჩილებენ და მაშინ დაგერქმევათ ცათაქვეშეთის ყოვლის სახელმწიფოს მპყრობელი...

## აქ ამ ლაპარაკს თავს დავანებოთ, ახლა თურქმანის და ინგლეთის სახელმწიფოების, აგრეთვე ყულუნ ჯადოს ამ-ბავი მოვიხსენიოთ და ამასთან წივნების წამოღება—ამიან, სილან და მეხთალ დევებისაგან.

რა ორმა დღემ განვლო, ესენი ფიქრობდნენ თუ საიდან რა მტერი უნდა გამოგვაჩნდესო? ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, გარეთ მყოფთა აიართა ახილეს რომ, აღმოსავლეთის მხრიდან ცოტაოდენი დევნი და ადამიანნი

მოდიან. მაშინვე აიარო უხუცესს გარდანქემანს მოახსენეს: აიარით სარდალო, აღმოსავლეთის მხრიდამ დევნი და ადამიანნი ჩქარის სიარულით მოდიან. ესენი მანამ სიტყვას დაასრულებდნენ, ისინიც ჭიერიდან ძირს ჩამოვიდნენ. რა გარდანქემანმა ესენი ნახა, ჩქარა შევიდა და მოახსენა: შვიდის იქლიმის ხელმწიფენო და სააჰყირანო, აღმოსავლეთის მხრიდან ცოტაოდენი დევნი და ადამიანნი გამოჩნდნენ და თქვენს ნახვას ინატრიანო... ამათ მაშინვე შემოყვანა უბძანეს. რა შემოიყვანეს და ამ დევებმა ამათი ფალევანნი ნახეს, შიშით გულები დაუსკდათ, ამათ როგორც იყო, ხელმწიფეების თავანი სცეს. ამათ ვერ იცნეს, თუ საიდან იყვნენ ეს დევები, ამათ დასხდომა უბძანეს, რა დასხდნენ, შემდეგ ადამიანთა წიგნები ამოიღეს და თავიანთ ხელმწიფეებს მიართვეს, მერე ერთი ჯადოც წამოდგა და იმანაც წიგნი ამოიღო და ქულუნ ჯადოს მიართო. რა ამ ხელმწიფეებმა ეს წიგნები წაიკითხეს, საშინელს ფიქრში შევიდნენ და ცოტაოდენი როგორღაც ფერი ეცვალათ. რა ქურუკმა იმ ხელმწიფეების და ქულუნის შეხედა, შეატყო რომ, არა სასიამოვნო წიგნები იყო, მაშინ უბძანა: ხელმწიფენო მაგ წიგნების წაკითხვით რატომ ეგრე ფერი გეცვალათ? ამათ წარმოდგნენ ფეხზედ და წერილები მიართვეს. რა ქურუკმაც წაიკითხა, ასეთი მრისხანე სახე დაედვა, რომ ვინც შეხედეს ამას ამბობდნენ, „უთუოდ ქვეყანას გაათხრებსო". რა ქურუკის ისე განრისხება მანუჩარშაჰმა დაინახა, შევიდა და მოახსენა: მამაჩემო და სააჰყირანო ხმელეთისა, ისეთი რა ამბავი მომხდარა, რომ თქვენ ეგრე გაანჩხლდით? თან წერილები გამოართო და არდევანშაჰს მიართო. რა იმანაც წაიკითხა, დიდათ შეწუხდა, შემდეგ ბურჯვეზირს გადასცეს. მაშინ ბურჯვეზირი ფეხზედ წამოდგა და სახალხოთ წაიკითხა და როგორც ბურჯვეზირმა და ფაშუნჯმა გამოიცნეს, სწორეთ ისინი ეწერა. რა ეს ამბავი იმ ოთხთა გმირთა და ყოველთა უმჯობესთა გაიგონეს, ისინიც ძლიერ გაჯავრდნენ და ყველანი მარჯვნივ და მარცხნივ გრეხა და დაზმორება დაიწყეს. მერე ხოსროვშირი ფეხზედ წამოდგა და მოახსენა: შვიდის იქლიმის ხელმწიფენო და სააჰყირანო ხმელეთისა, დიდათ უცხო ამბავი მომხდარა—ამდენი შინ ჯდომა და მეჯლისში ყოფნა მომბეზრდა და მადლობა ღმერთს რომ საომარი გაგვიჩნდათ...

ხოსროვშირის სიტყვა ყველამ მოიწონეს და მადლობა უთხრეს, მეტადრე ის ოთხი ახალნი ფალევანნი და უმეტესათ მანუჩარშაჰ ასე გამხიარულდნენ, რომ თითქო ცათაქვეშეთი ყოველი სახელმწიფო იმათ მისცემოდეთ. ამათ მივიდნენ არდევანშაჰსთან მუხლით აკოცეს და სთხოვეს შემდეგის სიტყვებით: ხელმწიფეო, იმ დევთა ხელმწიფეების კაცნი ჩვენ მოგვეცი რომ ყოველივე გარემოება დაწვრილებით მათგან შევიტყოთ და

ან სად იმყოფებიან, ან წამოსულან თუ არა, და თუ წამოსულან—ჩვენ დროიანათ გვინდა მიტანება.

რა მანუჩარშაჰისაგან და იმ ოთხთა ფალავანისაგან ამ გვარი ლაპარაკი გაიგონეს, დიდათ შეშინდათ და ღმერთს ავედრებდნენ. შემდეგ ამ დევთ უბძანეს: თქვენ ვისი მსახურნი ხართ, და ან ის დევნი ვინ არიან? ახლა ყოველივე წვრილათ გვიამბეთ. დევებმა ყოველივე ამბავი წვრილათ მოახსენეს: როგორც ბაუბაუ დევისა, შავი დევისა და ხაზარან დევის შვილები მისულიყვნენ, ამიან და სილან დევებისთვის შეეჩივლათ, მერე რამდენი ასი ათასი დევთ სარდლები რომელ მხარეს გაეგზავნათ, ყოველივე უამბეს. რა ფამპუნჯმა და ფარვან დევმა ამიან, სილან, და მუხთალ დევების ხმელეთზე გადმოსვლა და ჯარების შეყრა გაიგონეს, ერთმანეთს შეხედეს და დიდათ შეწუხდნენ. მაშინ ქუჩუკმა უთხრა: ფრინველთა ხელმწიფევ და ფარვან დევო! ესენი რომ ამბობენ სილან დევი, ამიან დევი და მუხთალ დევი, ესენი ვინ არიან, და ან სად სცხოვრობენ? ფარვან დევმა მოახსენა: ოკიანის ზღვაში ერთი დიდი კუნძულია და ეგ სამნივე იქ სცხოვრობენ, დიდის ქალაქების და ხაზინების პატრონნი არიან და მრავალი ჯარიც ჰყავთ. სილან დევი შავი დევის ბიძაშვილია და მუხთალ დევი ბაუბაუ დევის ბიძაშვილი არის, ამიან დევიც ზარბაქ დევის ძმისწულია. ამ სამთავეს თავიანთ დღეში ხმელეთი თვალით არ უნახავთ; მხოლოდ უნდა მოგახსენოთ რომ ეს დევნი დიდი მებრძოლნი არიან; ესრედ იფიქრეთ რომ, ვერც ბაუბაუ დევი, ვერც ზარბაქ დევი და ვერც ჰაზარიქ დასტი აჯობებდნენ მაგათ. ამას გარდა ამიან დევს ერთი თეთრი მხეცი ჰყავს რომ, იმისთანა მეომარი არც ზღვაში და არც ხმელეთზე დაიბადება. ახლა დიდი სიფრთხილე გვმართებს. რა ამან გაათავა ლაპარაკი, შემდეგ ქუჩუკმა უცნობ ჯადოს კაცს უბრძანა: რამდენი დღეა რაც შენ წამოხველი? მან მოახსენა: საპატიოსანო, ჩემი წამოსვლა დღეს ოცი დღე არის, მე უფრო ადრე მოვიდოდი მაგრამ, ჯერ პირველათ ანბირ და ზანგ დევების საპატრონოში მივედი და რადგანაც ესენი იქ არ მეგულებოდნენ, მათ ნაიბებს უამბე ყოველივე ამბავი, ციხე გავამაგრებინე, მერე იქიდან ერთი კაცი საჩქაროდ სამთავისისაკენ საცნობლათ გავუგზავნე და ყოველივე ამბავი მალე შევატყობინე, შემდეგ საჩქაროდ თეთრ დევთან მაღრიბშიაც მივედი და ისინიც გავაფთხილე, იქიდანაც ინდოეთში მივედი, ორი დღე იქ დავრჩი და მესამეს დღეს ეს არის აქ გიახელით. რა ამ ჯადოსაგან ესეთი ერთგულება შეიტყეს, მრავალი ხაზინები აჩუქეს. დანარჩენ დევებსაც ხალათები უბოძეს და უბძანეს: დევნო თქვენ წადით და თქვენ ხელმწიფეს მოახსენეთ: ბნელეთის ხელმწიფის შვილები, თურქმანის ხელმწიფეები და

ფულოუ ჯანდი თავიანთის ჯარებით თქვენთან ვერასოდეს ვერ მოვლენ და არც თქვენ ბიდუ რაჯაბ ღმერთის თაყვანის სცემენ და რაც ხელიდგან გამოვიდეთ ის ეცადენით.

რა ესენი გაისტუმრეს, მაშინვე ანბარ დევი და ზანგ დევი თავიანთის ჯარებით საჩქაროთ გაგზავნეს თავიანთს ალაგს და სიმართლე უბძანეს, მანამ ჩვენც მოგეშველებითო. მაშინ თეთრი დევი ფეხზე წამოდგა და მოახსენა: შვილის იელიმის ხელმწიფევ, მეც დროიანათ ნება მიბოძე წასასვლელათ და აგრეთვე მათუნ დევსაც რომ დროიანათ საქმეს მოვეპატრონოთ, თორემ ძრიელ შეჩვენებული დევნი არიან და დიდის ხელოვნების მომქმედნი, ჩვენ იმათთან იმით ვერაფერს გავხდებით და მხოლოთ ჩემის გაკეთებული გზების დიდი იმედი მაქვს, რომლიც ინდოეთიდან მაღრიბში და მაღრიბიდან ერანზამინს ესე იგი ყოველსავე თქვენს საბძანებელში, სათვალთვალიანო ქალაქებში მაქვს გაკეთებული. საჩქაროთ თეთრი დევი და მათუნ კოჭლი დევი, დიდის ჯარებით გაისტუმრა. ბიჟენისა და თურქმანის ხელმწიფეებს უბძანეს: თქვენ საჩქაროდ წაბძანდით და თქვენი ციხე-ქალაქები ძრიელ გაამაგრეთო, მრავალი ჯარი გარს შემოარტყით და დამზადებულნი იყავით, ჩვენც ე. ი. მე და ფაშკუნჯი ყოველთვის მზათ ვიქნებით, სადაც გაჭირება გექნებათ იქ მოგეშველებითო. რა ესენიც გაისტუმრა, მაშინ ინდოეთის ხელმწიფე რომშანბახტმა მოახსენა: ჩვენ რადას გვიბძანებთ? ამ საკითხზე, ქურუკის შვილი მანუჩარშაჰა და იგი ოთხნი ახალნი ფალავანნი თავიანთის შუთურ აიარით უცებ ფეხზედ წამოდგნენ და მოახსენეს: შვილის იელიმის ხელმწიფევ და საპეირანო ხმელეთისავ, გთხოვთ რომ, ჩვენ ეს ხუთნი ფალავანნი და ჩვენი აიარი შუთურით ნება გვიბოძოთ, ინდოეთის ხელმწიფე რომშანბახტს და დედოფალს რუჰხანარას ვიახლებით და არა თუ მარტო ინდოეთსა და თეთრის დევის საბატონოს, არამედ მაღრიბსაც ჩვენ ვიქნებით პასუხის გამცემი, და იმედიც გვაქვს ღვთისაგან რომ მტერი დავამარცხოთ—და თუ ნებას არ გვიბოძებთ წასასვლელათ, მაშინ ჯავრი მოგვკლავსო. რა ქურუკ ყარამანმა და არდევან შაჰმა ესე მოისმინეს, დიდათ ჩაფიქრდნენ, მხოლოთ უარი ვეღარ უბძანეს და ფაშკუნჯს რჩევა ჰკითხეს. ფაშკუნჯმა მოახსენა: საპეირანო, ყოველივე დიდი ძალა ამ დევების სულ ინდოეთის და თეთრი დევის მხრივ არიან, რასაკვირველია, ეს ახალნი ფალავანნი რომ იქით გაისტუმრო, დიდ შემწეობას მისცემენ, და თუმც ისეც მოხდეს რომ ჩვენ ვერ მივსწვდეთ, მაინც ესენი ინდოეთის მხრივ არას წაახდენენ და სამაგიეროთ დიდ გამარჯვებას მოახდენენ, ამასთან გირჩევთ რომ, სიროვანჯა აიარი და სხვანიც თან გაატანოთ. რა ფაშკუნჯმაც ესე რჩევა მისცა, ამათ დიდხანს

ადარ იფიქრეს და მაშინვე ნება უბოძეს წასასვლელათ, გარდა ამისა. სირ-ფანჯა აიარი და ხუთიც სხვა აიარი რომელნიც საკვირველნი ხელოვანნი იყვნენ, თან გაატანეს (ესენი გარდანქეშანისაკენ დახელოვნებულნი აიარნი იყვნენ). ზოარაბ დევი თავისის ასის ათასის დევის ჯარით, ესენიც რო-შანბახტს გაატანეს, ანუშირვან დევი და ოჭყალის სულთანი თავიანთის ხუ-თასის ათასის დევით ლაშქრით, ესენიც ამათ გაატანეს და თან ქურუმა დაავალა: ვინიცობა, მაღრიბის ხელმწიფე მათუზ დევს გაუწყრეს, საჭი-როდ მიეშველებით თქვენ ან ორნი თქვენის ჯარითო.

რა ესენიც ინდოეთისკენ გაისტუმრეს, მაშინ ყოვლიბანს, ხოსროვ-შირს, ყათრანს და ბარამგიბილს უბძანა: თქვენ ჩემნო საყვარელნო და ჩემს სახელმწიფოის სვეტნო! თქვენ თქვენის ჯარებით ჩემთან უნდა ბძან-დებოდეთ, მაშ რადგანაც ეს ასე უნდა იყოს, ამისთვის თქვენ ეხლავე წა-ხვალთ და თქვენს სახელმწიფოებზე ერთგულნი ნაიბები უჩინეთ, შემდეგ კარგი ჯარი შეკრიბეთ და ამ ცოტა ხანში სამთავისში ფარვან დევის სახელმწიფოში მობრძანდით. მაშინვე ესენიც აიყარნენ და თავიანთის სა-ხელმწიფოებისაკენ გასწიეს. რა ესენიც წავიდნენ, შემდეგ ნარიმანს მოახ-სენეს, თქვენ როგორღა იქნებით? მაშინ ნარიმანმა უპასუხა: შვილთ ქე-ნუ, როგორც შვილის იელიმის ხელმწიფე იქნება მეც ისრე მოვიქცევი. მაშინ ფაშკუნჯი, ბურჯვეზირი და არდევან მაჯა დასხდნენ და იფიქრეს— თუ უმანგბათის, ქაბულს და ყარამანია ქალაქებისათვის ნარიმანი დატოვათ, არც თუ უნარიმანოთ წასვლა უნდოდათ.—ბოლოს გადაწყვეტით ესე მო-იქციენ: სამასი ათასი კარგი მოლაშქრე ადამიანთა ჯარები და ორასი ათას-ნი ხვადნი დევნი თავისის კარგის აიარებით ბურჯვეზირს ჩააბარეს, მიუ-ჩინეს ყარამანია ქალაქში და ხელმწიფეთ დასვეს, თავიანთი ქვეყნებიც სულ ბურჯვეზირს ჩააბარეს, შემდეგ კიდევ ფარვან დევის ჯადოს ლაშქრიდან სამი ათასი ასეთი ჯადონი დაუტოვეს, რომ ზღვიდან ნიანგებს გამოიყვან-დნენ. რა ამასაც მორჩნენ, ახლა თითონაც წასვლის თადარიგს შეუდგნენ. ბარველად ფარვან დევი და საჭმან ადამზადი გაისტუმრეს, ამასთან საჭმანს უბძანა: შენ საჩქაროდ ყოველივე ჩვენი სახელმწიფოები მოიარე, დევთა ჯინთა, ფერიათა, ადამიანთაგან კიდევ მრავალი ჯარები შემოაგ-როვე: და როცა ზოარაბშაჰი თავისის ნაზუქჯინით და ლაშქარ-ფადლევანებით ყაფის მთაში იყვნენ, ეს ყველანი შემოიკრიბე და რა სრულიად მორჩე, მაშინვე სამთავისში მიდი ფარვან დევთან, შემდეგ იმანაც თავისის სახელ-მწიფოდან კარგი ჯარები: დევნი, ჯადონი და ფერიანი შემოიყარონ და ესე ერთად გასწიეთ ანბარ და ზანგ დევებთან მიდით, ჩვენც ეს არაბ ავიყრებით და უკან დაგედევნებით.

რა ესენიც გაისტუმრეს, მაშინ არდევანშაჰამ ბრძანა: ფალავნებო! ხვალ უთუოდ უნდა ავიყარნეთ. ბარდანქეშანმა რა ესე გაიგონა, მაშინვე თავისი ამხანაგნი ჯარნი ასით და ჩაბუქ შემოიყარა, ამათ გარდა კიდევ სხვა ძმისი ასეთი კარგი ჯარი რომ, ციდამ ვარსკვლავს ჩამოიღებდნენ. ამას გარდა ბარდანქეშანს კიდევ ორმოცი ათასი ჯაართა ჯარი ჰყავანდა.

რა ბახოვანთათვის ტახტები მზად შეანახეს, და სახვალიოთ მზადება იწყეს, იმ დროს უმანგბათიდან ხუთასი ათასი ადამიანთა ჯარი მოუვიდა არდევანშაჰს (ეს ჯარი უმანგ ხელმწიფის დაწერთნილნი იყვნენ), მაშინვე ნარიმანს ჩააბარეს. რა დილა გათენდა და მზემ თავისი სხივით ქვეყანა მოჰფინა, მაშინ ხელმწიფე არდევანშაჰაც კარში გამობრძანდა, ამას გამოჰყვნენ: ქურშა ყარამანი და ნარიმანი, შემდეგ ფაშკუნჯი და ამათთან ბახოვანნიც გამოვიდნენ ქ. ი. სალვისურამანი, მაჰნაზდუხტი, უსნაარა, ბულჩინი და ბულიჯანი თავიანთის ქალთა ფალავან ჯარებით და ტახტებზედ დასხდნენ. ამ დროს მოვიდნენ ფერიები, ასწიეს ტახტები, აღსხნეს ღვთის სახელი და სამოყვასთავკენ გასწიეს. ქურშის სამსურ ცხენი და ყარამანის შემოვაიბარი დევებმა წამოასხეს.

## ამათ აქ ამ მიმბვლობაში თავი დავანებოთ და ახლა ამირან და სილან დევების ამბავი მოვიხსენიოთ.

რა ამირან და სილან დევებმა თავიანთი დევები ბრილეთის და თურქმანის ხელმწიფეებთან მოსაწვევად გაისტუმრეს და იმათ ამბავს მოელოდნენ, ამასთან ყულუნ ჯადოს ამბავიც უნდოდათ შეეტყოთ, ამასობაში დიდმა ხანმა განვლო. ამათ ამ ლოდინში ვეღარც აიყარნენ და ვერთის ადგილს იდგნენ და მანამ ამათ თავიანთ გაგზავნილი კაცები მოუვიდოდნენ, ამ ხანობაში ყოველივე ხელმწიფენი თავიანთ სახელმწიფოში მივიდნენ და ციხექალაქებიც ძალზე დაამაგრეს.

რა როვშანბახტა თავისის დედოფლით, მანუჩარშაჰა და როსხია ახალნი ფალავანნი, შუთურ აარი, სიროვანჯა თავისის ამხანაგებით, და ამათთან დევთა ფალავნები ინდოეთს დაუახლოვდნენ, მაშინვე თავიანთ მისვლა თვისსა ნაიბს აცნობეს, დიდის ყოფით და სიხარულით წინ მოეგებნენ და თავის ხელმწიფეს და დედოფალს რუიზანნარას თაყვანი სცეს და მუხლის კოცნას ლამობდნენ, მაგრამ მათ არ ინებეს და პირზედ აკოცეს, მერე გამობრუნდა და იმ ხუთიას გმირთა ფალავანთა მიესალმა, ამ დროს მანუჩარშაჰა ვერ იცნა და სთქვა; ღმერთო, ეს ფალავანი ნეტავ ვინ უნდა იყოსო? რა რუიზანარამ შეატყო რომ იგი მანუჩარშაჰა ვერ იცნო, მაშინვე უბძანა

ილუმალ: ეს ჩემის ძმის ქურუკ ყარამანის შვილი არის. რა ნაიბმა მაჩუ-ჩარმაჯა ქურუკის შვილათ იცნა, მაშინვე გაექანა და მუხლებზედ მოეხვია, მაჩუჩარმაჯამ მხრათველათ აიყვანა და პირზედ აკოცა, შემდეგ დასხდნენ და როვშანიასტომა ინდოეთის ამბავი ჰკითხა და იმანაც ყოველივე ამბავი და-წვრილებით მოახსენა, თუ როგორ ყულნუჯალის კაცს გამოექცა, ან ჯა-რები როგორ წამოსულიყვნენ ინდოეთზედ, ან თითონ როგორ მოემზა-დებულიყო, ან ციხე ქალაქები როგორ გაემაგრებინა, ყოველივე მოახსენა. მაშინ როვშანიასტომა დიდი მადლობა უთხრა და მრავალი ხაზინებიც აჩუქა. შემდეგ აოვარნიც და ინდოეთის სატახტო ქალაქში შევიდნენ. ამათ ყველა დიდებულნი თავიანთის ცოლშვილებით წინ მოეგებნენ და დიდის პატივით შეიყვანეს. როცა როვშანიასტო და რუიზანი თავისს ტახტზედ დასხდნენ, მაშინ ეს ხუთი ფალავანნიც თავიანთის განწესებულის სკამებზედ დასხდნენ და ხუთი მეჯლისი გამართეს. შემდეგ გამოვიდნენ და ციხე ქალაქები სულ სრულებით დაიარეს და თუ რომ სადმე რამ აკლდა, ყოველივე გააწყეს და დიდი ძალი ჯარები შემოიკრიბეს და განსვენებას მიეცნენ. მხოლოდ ეს ხუთნი გმირნი ფალავანნი მეტათ ჩქარობდნენ, როდის იქნება რომ ვინმე მტერი მოსასვლელიყოს, დროით მოვიდეს. ზორაბ დევმა მოახსენა, ინდო-ეთის ხელმწიფევ, თუ თქვენი ნებაც იქნება ანუაბუზ დევი და ანდიალის სულთანი, სურხავ დევი თავიანთის ჯარებით და ფალევნებით მაღრიბში გავისტუმროთ, ამას იმისთვის მოგახსენებთ რომ, მათუზ დევი მარტო არის, თუმც დიდი ძალი ჯარებიც ჰყავს მაგრამ ვაი თუ უეცრათ დაეცნენ და მარტო საქმე გაუჭირდეს, თავს ვერ მოვიდეს და სანანური გაგვიხდეს. მაშინ როვშანიასტომა უბძანა: ეგ აზრი ძალიან კარგი იქნება და ამ ხუთთა გმირთა ახალთა ფალავანთაც ურჩიეს, აქ ჩვენც ვეყოფით და ესენი გა-ვისტუმროთო. სიჩქაროდ ანუაბუზს და სურხავ დევს უბძანეს რომ, თქვენ ჩქარავე აიყარენით და მაღრიბში მიდით მათუზ დევთან და თქვენ იცით როგორც გაირჯებით, ამას გარდა ორი კარგი ფალავან დევნი ყოველთვის მზად გყვანდეთ და საითაც მტერი გამოჩნდეს, მაშინვე გვაცნობეთ. რა ესენი გაისტუმრეს და ეს ორნი გმირნი დევნი თავიანთი ჯარებით წამო-ვიდნენ, მესამე დღეს მაღრიბში მივიდნენ მათუზ დევთან და რა ყრით შეიყარნენ, დიდათ ისიამოვნეს.

## აქ ესენი თავიანთ სიამოვნებაში დაუტევოთ და ახლა სხვა ამბავი მოვიხსენიოთ.

როცა ამან და სიღან დევებმა თავის სარდლები დაღეროვანის ჯა-რებით გაისტუმრეს, ესე იგი უიზან, სანჯუჩარ და მაქარ დევნი. ზარბაჭ

დევის ქალაქისაკენ, სოლან დევი, მწვანე დევი და კახან დევი დიდროვა-ნის ჯარებით თეთრ დევზედ და მაღრიბზედ გაისტუმრა, შეხთალ დევი შაშახ დევი და სავრასპ დევი ინდოეთზედ გაგზავნა, თითონაც ემზადე-ბოდა რომ ინდოეთის მხარეს წასულიყო და იქიდანაც სამთავისისაკენ. ამ ფიქრში რომ იყო, სწორედ იმ დროს, ზანგის დევის, ხუზარან და მისი დევების შვილებიც დიდის მძლავრის ჯარებით და ფალევნებით მოვიდნენ. რა ამისი დევმა ესენი დაინახა, მაშინვე წინ მიეგება, ერთმანერთს მოეხ-ვივნენ და კოცნა დაუწყეს, შემდეგ სანქართო ჯარების დაბინავება უბძანეს, თითონ კი მეჯლისი გამართეს, მოიწვიეს ყველა დიდებულნი და უცხოთ მაქეცნენ. ამ ლხინში რომ იყვნენ, ამ დროს ამათი გაგზავნილი კაცებიც მოვიდნენ, შევიდნენ მეჯლისში, ხელმწიფეების წინაშე დაემხნენ და უფე-ლის მუხლით აკოცეს, მერე სანქართოდ წიგნები ამოიღეს და მიართვეს.

ამათ რა წიგნები გახსნეს და გარდაიკითხეს, დიდათ იამაყრეს და დიდის ხმით მუქარება დაიწყეს. ბოლოს ამისი დევმა ბძანება გასცა, რომ ხუთი დღეზედ ყველანი მზად ყოფილიყვნენ და მეექვსე დღეს სულ მთლად ჯარებით ინდოეთის და თეთრი დევის მხარეს გზას გასდგომოდნენ.

## ესენი ამ სამზადისში დაუტევოთ და ეხლა თეთრი დევის ამბავი მოვისმინოთ.

შანგბათიდან და ყარამანიას ქალაქიდან თეთრი დევი როცა გამოვი-და და თავის ქალაქში მოვიდა, მაშინვე თავის გაკეთებული გზების სანა-ხავათ წავიდა დიდის ჯარებით და სხვა რაც საჭირო იყო, ყოველივე თან წაიტანა. (ამ გზებიდან ერთი, ჯერ ზარბაქ დევის ქალაქში იყო გაყვანილი, იქიდან სამთავისში, მერე სამთავისიდანაც ნაკბულში და ყარამანია ქალაქში იყო გაყვანილი, შემდეგ ინდოეთში და მაღრიბში). თეთრმა დევმა ჯერ ასი ათასი უცხოთ მომზადებული ჯარი ზარბაქ დევის და ზანგ დევისაკენ გაისტუმრა და უბძანა, ათი წელიწადი რომ ამ გზებზე იაროთ, თქვენ არაფერი დაგაკლდებათ, ჩქარა მიდით ქალაქის სიახლოვეს და ერთი წიგნი ახირ და ზანგ დევთა მისწერა შემდეგის შინაარსით: „მე თეთრი დევი მოგიწვევთ თქვენ, ჩვენთან ერთად საბრძოლველადაც მძლავრ მტრებთან, გარდა ამისა გიცხადებთ რომ, იდუმალის გზები არის გამოყვანილი, ხელმ-წიფე არდევან მაჭას ყველა სხვის ქალაქებში; ამ გზებიდან ერთიც, თქვენ ქალაქში გამომიყვანია და ეხლა ხუთი კარვი სარდალი, ასი ათასიც მეომა-რი ჯარი თქვენკენ გამომიგზავნია, ვინაცობაა თუ ძალიან არ გაგიჭირდეთ, მაგ გზას ნურავის აჩვენებთ და თუ ძრიელ გაგიჭირდეთ, მაშინ თქვენის

ყოვლის ხაზინეითა და ჯარებით პირდაპირ ჩვენ ქალაქში წამოხვალთ და რა ხანიც აქ იმყოფებოდეთ, არაფრისაგან არა დაგაკლდებათ რა. ამ წიგნს ჩემის საკუთარის კაცის ხელით გიგზავნით და სანამდის ჩამოსვლელი გზა არის, ეს თითონ გიჩვენებთ".

რა თეთრმა დევმა ესენი გაისტუმრა, შემდეგ ერთი წიგნიც ინდოეთის ხელმწიფეს მისწერა და იმდენივე ჯარი, რამდენიც ჰიირ და ზანგ დევებს გაუგზავნა, იმდენივეც ამას გაუგზავნა. აგრეთვე სამოვგისისაკენ, ქაბულისაკენ და სხვა ქალაქებშიაც სადაც კი ეს გზები გადიოდნენ, ყველგან ასი ათასი ლაშქარი გაისტუმრა და თავისის სანდო კაცების ხელით წერილებიც დაუგზავნა. რა ეს საქმე დაასრულა, თითონ გამოვიდა და თავის სასახლეში მივიდა, აქ ახირ ჯადო დაიბარა და უბძანა: ჩემო საყვარელო ახირ ჯადოვ, შენ ხომ კარგათ იცი, რომ არც ზღვაში და არც ხმელეთში ამიან, სადან და მუხთალ დევებისთანა ძლიერნი და მებრძოლნი არავინ გამოჩენილან, ესეც ხომ შენდაშენ კარგათ ვიცით, რომ ზარბაზ დევიც და მაზბაი დევიც ორივე ამიან, სადან და მუხთალ დევებმა დაამორჩილეს. მეტადრე ამის თეთრ მხეცს რა გაუძლებენ მე ისე მგონია რომ, ვერც ხმსურ ცხენი და ვერც ქურუკის ფალევნები მოერევიან და ამიტომ შენ ისეთი ჯადოები უნდა გააწყო, ამ ახალ გაყვანილ გზებში რომ, არც ერთ სახელმწიფოს ჯარს არ შეეძლოს აქ ჩასვლა, მხოლოთ მეიდას ეულიმის ხელმწიფის და ქურუკის ფალევან-ჯარების გარდა. რა ახირ ჯადომ ესე ბძანება თეთრის დევისაგან მოისმინა, მაშინვე რაც კი შეიძლო ყოვლივე ჯადო გააკეთა. მანამ ამ ჯადოების საქმეებს თეთრი დევი მოათავრებდა და ახირ ჯადოს ბძანებას გასცემდა, მანამდის ფარვან დევმა ყოველს არდევან მეფის სახელმწიფოზედ ასეთი ჯადოები გააწყო, რომ ფრინველსაც ვეღარ შეეძლო, არამც თუ ქვეყნის მიწაზედ, არამედ ზემოდანაც ვერ გაივლიდა. რა ახირ ჯადომაც ამ გზებზე ჯადოების კეთება დაიწყო, ნახა რომ, ყველგან ფარვან დევის ჯადონი იდგნენ და ასეთი ნაირათ ჰქონდა გაკეთებული გზები რომ, თუ ახირ ჯადო არ ეცნათ მაშინვე ქვათ აქცევდნენ. ახირ ჯადომ ძალიან გაიკვირვა, გამობრუნდა და სთქვა: თუ ვინმე ჯადოს მქმნელი, ფარვან დევისთანა, შემდეგ მივიდა და თეთრ დევს მოახსენა: ხელმწიფევ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემზე ამაგზა და შორიდამ სულ უქმათ ჩაიარა. ფარვან დევს ამ თქვენს სახელმწიფოსთამდისან ყველა მხარეს ასეთნაირი ჯადო გაუწყვია, რომ თუ არ არდევან მეფის ჯარები, სხვას არავის შეუძლიან იმ გზაზედ გავლა. რა თეთრმა დევმა ესრეთ მოისმინა, დიდათ ამა, ფარვანის დიდი ქება დაუწყო და სთქვა, ღმერთს მაგაზე უმჯობესი მეჯადოე არ გაუჩენია და მგონია დიდი იმედიცა მაქვსო.

ახლა ამათ აქ თავი დავანებოთ და მოვიდეთ ქუჩუკთან.

რა ქუჩუკი თავისის გამორჩენილის ჯარებით წამოვიდა, ისეთი განრისხებული იყო, რომ ქვეყანას ბუზათ მიაჩნდა. როცა მოვიდა სამთავისშია, ნახა რომ სამთავისის მთა და ბარი სულ მდევით და ადამიანით ჯარებით იყო სავსე. მაშინვე გასწია პირდაპირ და ფარვან დევის სასახლეში ჩამოხტა. რა კარის კაცებმა ქუჩუკი ნახეს, მისწრაფელ შევიდნენ და ფარვანს მოახსენეს: შვიდის იქლიმის ხელმწიფე ადრევან შაჰი, ქუჩუკი, ნარიმან ხელმწიფე და ბანოვანნი თავიანთ ლაშქარ-ფალავნებით მობრძანდნენ.

რა ფარვან დევმა ამბავი და იმ ოთხის გმირის ფალავნებისა მობრძანება შეიტყო, მაშინვე წინ მიეგება და ერთმანერთს გადაეხვივნენ. რა სალამობა გაათავეს, მაშინვე შიგნით შევიდნენ და უცხო ლხინი გამართეს. რა ლხინმა და შექცევამ თავი მოაბეზრა, შემდეგ მოსვენებას მიეცნენ.

რა დილა გათენდა, და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ თავის სხივები ქვეყანას მოჰფინა, ესენიც ადგნენ და მოედანზედ გამოვიდნენ. მაშინ ადრევან შაჰმა უბძანა: ფარვან დევო! ანბირ და ზანგ დევისა არაფერი ხომ არ იცითრაო? ან სიღან და ამან დევების ჯარების ამბავი, ან ხომ არ მოსულან და ან თეთრი დევის ანბები ხომ არ გაგიგონიათრაო? ფარვან დევმა მოახსენა: შვიდის იქლიმის ხელმწიფევ, ანბირ და ზანგ დევებისა ჯერ არაფერი არ ვიცი, მხოლოდ სიღან და ამან დევების სარდლები და ფალავნები რამდენისამე ათასის ჯარებით გამოუსტუმრებიათ და კიდეც მოსულან—ამ ჟამათ ანბირ დევის სხატონის ქალაქებზედ ცოტა მოშორებით დგანანო, მხოლოდ ჯერ ომს არ ჰპირებენ, ამიტომ რომ, როგორც მესმის: რადგანაც ჯერ იმათი დევები რომელნიც თურქმანის და ბნელეთის ხელმწიფეებთან გაგზავნა და წიგნები გატანა, ჯერ არ მოსულიათ და იმათ ამბავს მოელიან გარდა ამისა, მავი, ხაზარან და ბაუბაუ დევების შვილებს ელოდებიან, რომელნიც დიდი ჯარების პატრონნი არიან და ჯარებს აგროვებენ. მე ისე მგონია, მანამ ესენიც არ მოვიდნენ და თავიანთ გაგზავნილი კაცებისაც სწორედ არაფერს შეიტყობენ, მანამდე არაფერს გაბედავენო. დღეს ათი დღე იქნება რაც მე ათი ჯადო გავგზავნე აფთარ ჯადოსთან, რომ ყველაფერი შეგვატყობინოს და ვგონებ რომ, ამ ორს დღეზედ ამბავი მოვერთოსთაო. გარდა ამისა თეთრ დევს იდუმალის გზით კაცი გამოუგზავნა ჩემთან და წიგნიც მოუწერა. მაშინვე ამოიღო ის წიგნი და მიართვა. რა ეს წერილი ამოიკითხეს, დიდათ იამათ. როგორც ზევით იყო მოხსენებული, ისევე ამ წერილში იყო დაწერილი ეს იყო რამდენი ასი ათასი კაცი ჩაეგზავნა ან გაუსტუმრებინა სამთავისისაკენ ან

ახირ და ზანგ დევებისაგან და ან ინდოეთისაგან. ყოველივე მოეწერათ. ამაზედ თუმცა დიდათ იამათ მაგრამ, ქურუმმა მოახსენა, ფერინველთა ხელმწიფევო, ეტყობა რომ თეთირ დევს ცოტა რამ შიში შესვლია, რომ ისე გაუმაგრებია ის თავის გაკეთებული გზები. მაშინ ფამუშურაშმა მოახსენა: საპატრონო, ამ მოხსენებას ნუ კი მიწყენ, თეთრი დევი ძრიელ ჭკვიანათ მოქცეულა, იმისთვის რომ, ის ძრიელ კარგათ იცნობს ამიან დევსაც და სიდან დევსაც, მეტადრე მუხთალ დევსაც, რომელნიც იმათთანა მებრძოლენი და მეომარნი დევნი, ცათა ქვეშეთა და არც ზღვაში იქნებოდნენ. გარდა ამისა, ამას ერთი თეთრი მხეცი ჰყავთ, სწორეთ ერთს მომცროს მთის ტოლა არის და შუბლზედ ისეთი რქა ადგია, რომ დიდს ჭანდრის ხეს ჰგავს და მთას იალბუზისას რომ დასცეს, შუაზე გაარღვევს. თითონ ის სამნი დევნიც ისეთი მეჯაჯღონი არიან, რომ ცას დედამიწაზედ დასცემენ. აბა იმათ მცოდნელს მამ გაფრთხილება არ უნდა? რომლებსაც ვერც ცეცხლი გაუძლებთ და ვერც ჯარები—ასი ამიტომაც ის იდუმალი გზები გაუმაგრებია ჩვენ თეთრ დევს და ბევრ შემწეობასაც აჩვენებენ იგი გზები, მაგალითად ერთს დღეს რომ ნახავ აქ იომობს თქვენთან, ორ საათს შემდეგ ინდოეთში ამოჰყოფს თავს, მერე ნახავ იქიდამაც სამთავისში გადასდა და იქ იომობს, ასეთივე მოგონებით ჩვენ დევთ და ჯართ დიდს შემფოთს მისცემს ჩვენი ფარვან დევიც. ამათ გარდა რასაკვირველია უფრო დიდი იმედია ის ხუთთა ახალთა ფალევანთაგან, ესე იგი მანუჩარშაჰისაგან, ხოსროვშაჰზადასაგან, გორშარაბშაჰისაგან, ბეგზადშაჰისაგან და ბარზონისაგან. ამათ გარდა როგორც ფარვან დევს ჯადოთი იდუმალი გზები მაკრა და მგელგან ჯადოთი დაუმზადებიან, ყოველივე მოახსენა. ქურუმმა გაიცინა და თან მოახსენა: ფერინველთა ხელმწიფევო, რაკი თუ საბათო ღმერთი მე მწყალობს? იმათგან მე არაფერი მეგნება. ამ დროს ყოფლიაანი, ხოსროვშაჰი, ყაირანი და ბარამჯაბიდი ფეხზედ წამოდგნენ და მოახსენეს: ხელმწიფევ შეიდის იღბლის და სახელიანო, გთხოვთ რომ დროით წავიდეთ და მათაც ვნახვეთ ჩვენი ფალევნობა... საჰმანმა მოახსენა ფერინველთა ხელმწიფევო, მე მიყვრს ჩემის კოირომეტის დევებით რა დღე დაგვადგებ,—თუ ამიან და სიდან დევებს ხმელეთზედ ამოსვლა არ შევაჩვიეთ, მე საჰმან ადამიანთა მონათესავე აღარ ვიქნებით.

## ამათ აქ თავი დავანებოთ და ახლა მოვიდეთ აფუთარ ჯადოსთან.

როდესაც აფუთარ ჯადოს ფარვან დევის ამბები მოუვიდა, რომ ყოდა წასულიყო და ყოველივე შეეტყო თუ სიდან დევი და ამიან დევ-

როდის აყრებოდნენ და სხვა. ერთის სიტყვით იქაური ამბავი ყოველდღე სჩქაროდ ოპარვან დევისთვის უნდა მოეტანა. ჰოკთარი რა მიდიდა, ნახა რომ, რაც კი ქვეყანაზედ ჯარები იყვნენ, თუ ადამიანთაგანნი, თუ ჯინნი და ჯადონნი, ყველანი იქ იყვნენ შემოკრებილნი, ამათთან ბაჰმე დევის მეფე-ლი, ხაზარან და სხვა დევების შვილები იქვე გვერდით ჰყავდათ და სახა-ლათი ჯურის ემზადებოდნენ და ამაზედ დიდი მოლაპარაკება ჰქონდათ. ამ დროს ჰოკთარმა ნახა რომ, ათი დევნი სჩქაროდ მოვიდნენ და პირდაპირ ამან და სიდან დევებთან შევიდნენ, მიწა გაერთებით თაყვანი სცეს, შემდეგ წამოდგნენ და მოახსენეს: ხელმწიფევო, თქვენის ბძანებით ყაფის დევებთან წავედით და თქვენი წიგნები ყველას იქაურ მცხოვრებლებს გამოუცხადეთ, იმათაც ეს გვიპასუხეს: ჩვენ ყარამან ქაითლის და შეიდის ილიმის ხელმწიფის არდევან შაჰის მონანი ვართ და თუნდა ათასი ამან და სიდან დევისთანა რომ გამოჩნდნენ, მაინც ჩვენ არ შეგვიძლიან რომ სხვათა ღმერთს და ჩვენს ხელმწიფეებს უღალატოთ. გარდა ამისა გამოგვიცხადეს კიდეც: თუ კიდევ მოსულხართო, შეგჭამდეთ ცოცხლებს დაგწვამთო. ჩვენც მაშინვე გამოვბრუნდით და ეს არის ეხლა გიახელით.

რა ესეთი ამბავი ამან და სიდან დევებმა მოისმინეს, დიდათ გაანჩხლდნენ და შექმნეს საშინელი ყვირილი, ისე რომ იმათ ხმაზე დედამიწა იძვროდა. ამ ყვირობის დროს, თავიანთი ბიძწი რაჯიბ ემშაკი თეთრის ტანისამოსით თან თავის რყევით და ანპარტავნობით მოუჩვენათ და უბძანათ: ჩემო გულის ნაწილნო და საყვარელნო! რაზედ ჯავრობთ?—ეგ ჯავრობა ძრიელ შეგაწუხებსთ, მე ჩქარა მითხარით თქვენის ეგრე გაანჩხლების მიზეზი რა არის? ესენი მაშინვე ფეხზედ წამოდგნენ და თავიანთ რაჯიბ ღმერთს, დიდის კრძალვით და მოწიწებით ფეხზედ აკოცეს, შემდეგ როგორც ყაფის დევებთან კაცები გაეგზავნათ, მზღვეთის და თურქმანის ხელმწიფეებთან და უფლებ ჯადოსთან წიგნები მიეწერათ და რა პასუხი მოუთვალათ ეს ყოველივე უამბეს. რაჯიბ ემშაკმა რა ეს მოისმინა, შემდეგ უბძანა: მაგაზედ რათა სწუხართ? არც ერთი საჭირონი არ არიან, მე ეხლავ იმათს ფალავნობას დავთრგუნავ, თქვენ ეხლავ აჩქარეთ ჯარები და ინდოეთის მხარეს წადით თქვენის ძლიერის ფალავნებით, ამასთან რადგანაც მეხითაც, მოშან და სარჩიბაშ დევიც იქით გავგზავნით, ამისთვის თქვენც იმათკენ წადით. მე არდევან შაჰსა და მის ფალავნებისა უკვლავერი კარგათ ვიცი, ჯერ ინდოეთის ხელმწიფე თავისის ჯარებით ისევ უშანგიასთში არის და ყველა არდევანშაჰს ფალავნები და სარდლებიც იქვე არიან და მათი სახელმწიფოებიც თითქმის უჯაროთ არის, ეხლა უფრო მარჯვე დრო გაქვთ და დაუყოვნებლივ ეხლავე ინდოეთზედ მიდით.

როცა რაჯაბ ეშმაკმა დაასრულა ლაპარაკი, ამათ მაშინვე ერთი კაცი გაგზავნეს ყირხ დევთან, ჩუგაჩიჩუხ დევთან და მაქარ დევთან და [illegible] აცნობეს, ამათაც საჩქაროთ ანბარ, და ზანგ დევებზედ მივიდნენ, გარდა ამისა ერთი კაციც ჯან დევთან გაგზავნეს, რომ ისინიც თეთრის დევის ქალაქებზედ მისულიყვნენ. რა ამას მორჩნენ, რაჯაბ ეშმაკმა კიდევ უთხრა: როცა ერთიანათ ყოველის მხრიდან შევუტევთ, მაშინ ისინი უიმედოთ დაგვნებდებიან, იმიტომ რომ, წასავალ გზა აღარსაით ექნებათ. ეს სიტყვა და მაშინვე ყიჟინით შეიქმნა. რა ამათ თავიანთის რაჯაბისაგან ამისთანა იმედიანი სიტყვები გაიგონეს, მაშინვე ერთი მარდი კაცი საჩქაროდ თავიანთის ჯარებისაკენ გაისტუმრეს და როგორც რაჯაბ ეშმაკმა დაარიგა, ისევე ყველას აცნობა და ამასთან თავიანთ აგრა და ინდოეთზე მისვლაც შენიშნეს, ამას გარდა შეუთვალეს, რომ ისინიც ყველა მხრიდან მისულიყვნენ მტერზედ.

რა ეს ამბავი აფთარ დევმა გაიგონა და ყოველივე იმათი აზრი. ამასთან ინდოეთზე და თეთრ დევზე მისვლა შეიტყო, საჩქაროთ გამოტრიალდა და ერთი ჯარი ინდოეთისაკენ აგრისა და ყოველივე რაც რომ ეგონა, სულ დაწვრილებით მისწერა, ამასთან ერთი წიგნიც თეთრ და მაყუზ დევებთან მისწერა, შემდეგ თითონაც ანბარ და ზანგ დევებთან მივიდა და ყოველივე იქაური ამბავი დაწვრილებით გააგონა, აქედამაც ჩქარა სამთავისში ოვარვან დევისაკენ წავიდა. რა ანბარ დევმა და ზანგ დევმა ეს ამბავი მოისმინეს, ყოველივე თავიანთი ჯარები შემოიკრიბეს და მზად საომრად დადგნენ. რა თქმა უნდა ეს ამბავი თეთრ და კოჭლ დევებსაც მიუვიდათ და ისინიც დიდს სამზადისში შევიდნენ და საომრად გამოეწყვნენ. რა ერთი კაციც ინდოეთის ხელმწიფეს მიუვიდა, იგი პირდაპირ სასახლეში შევიდა. შეთურ ხაარმა ნახა თუ არა, მაშინვე ჰკითხა: ჯადოვ შენ ვინ ხარო და ან საიდან მოდიხარო? უცხო ჯადომ მოახსენა, შეთურ ხაარო, მე აფთარ ჯადოს კაცი ვარ და ხელმწიფესთან ჩქარი წიგნები მაქვს. მაშინ შეთური შეუძღვა და ხელმწიფე რაფშანბახტთან მიიყვანა. რა ხელმწიფემ შეხედა, მაშინვე უბძანა: შეთურ ხაარო! ეგ ჯადო ვინ არის? სულ უცხოს ჰგავს, ამ დროს ჯადომ გაექანა, ხელმწიფეს თაყვანი სცა და მუხლით აკოცა. შემდეგ ჩაიღო წიგნები და მიართვა. რა რაფშანბახტმა წიგნები წაიკითხა, მაშინვე იმ ხუთის გმირის ფალავანთა გადასცა. რა ამათაც წაიკითხეს, მაშინვე აიშალნენ. ამ დროს ხოსროვმაჰმა სთქვა: მადლობას ღმერთის, რომ სხვადასხვა საქმეები გვევიხსნებენ ამასთან მარჯვნივ და მარცხნივ გარეხვა და ზემორებს დაიწყეს. შემდეგ გარეთი ხალხი სულ მიგნით ციხეში შემოიყვანეს და ბანებზედ დიდი ძალი ქვები დააგროვეს.

ანდაყეთის ციხეს თოხი კარები ჰქონდა; თითო კარებზე ასი ათასი უცხომეომარნი ჯარი მოუჩინა თავისით სარდლებით და ფალავნებით. ამათ გარდა ზოჰაბ დევი თავისის ასის ათასის დევის დამჯდარით დააყენა და ჩვენთავე ის ხუთნი გმირნი ასეთნი ფალავნები ათასჯერ ასის ათასის უცხოს მეომრით და ასის ათასის ჯადოს და ფერიის დამწყრით ციხეს გარეთ მოდანზედ გამოვიდნენ, როგორსახიტი და როგორზარა ქვეყანა ათასის კაცით ცახუშა იმყოფებოდნენ. ამათ ერთი მაღალი ტახტი დაადგმევინეს და იმაზედ დასხდნენ, ისე რომ სულ ზედ დაჰყურებდნენ, ბუზს რომ გაეძლო, მაშინვე იმასაც კი ნახავდნენ. რა ამათ თავიანთ საქმე ყოველივე გაამწყვეს, მაშინ მოსვენებას მიეცნენ.

## ამათ აქ თავი დავანებოთ და ახლა ისევ ავთარ ჯადოს ამბავი მოვიხსენიოთ.

რა ავთარ ჯადომ თავის საქმეს მორჩა — და სამთავისისაკენ გასწია, ამან თავისუფურსით იარა და მესამეს დღესვე სამთავისში მივიდა. კარზედ მსხდომთა ნახეს რომ, ერთი ქაჯი საწყალით მოდის, ამათ მაშინვე კარდანქეშანს აცნობეს. კარდანქეშანმა რა წამს შეხედა, მაშინვე იცნა რომ ავთარ ჯადო იყო. ავთარ ჯადო თამამათ შემოვიდა და მეფის იუდიშის ხელმწიფეს თაყვანი სცა და მუხლთ აკოცა, შემდეგ გამობრუნდა, სააშპირანს და სხვათა თაყვანი სცა. ამ დროს ქურუმმა უბრძანა: ავთარ ჯადოვ! ზანგ და აზიარ დევებისას რა ამბავს გვეტყვი და ან ამიან და სიდან დევებისასაო? ავთარ ჯადომ მოახსენა: ხელმწიფევ და სააშპირანო, როდესაც მე ჩემის ხელმწიფის ფარვან დევის ბრძანებით მივედი, მაშინვე იმათ ჯარებში ასეთის მოხერხებით შეველი, რომ არამც თუ ენახათ, არამედ ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ მე იქ ვიქნებოდი; სრულად სამი დღე და ღამე მაგ ჯარში დავდიოდი, მხოლოდ ჯარის სამრავლისაგან ძლივს მივაღწიე ამიან და სიდან დევების კარვებს. როდესაც ახლოს მივედი, ვნახე რომ, დიდი მეჯლისი ჰქონდათ და გარდა ამისა დიდათ ემზადებოდნენ ინდოეთზე წასასვლელათ და მხოლოდ ბაყბაყ დევისა, მაგი დევისა და ხაზარან დევის შვილების ელოდნენ და ისინიც იმავე ღამეს მოვიდნენ ოცჯერ ასი ათასის დევთა ჯარებით. რა იმათ ერთმანეთი ნახეს, დიდი სიმხიარულე შექმნეს; შემდეგ ამისა ერთიც ვნახოთ, ათნი დევნიც სხვანი მოვიდნენ. თურმე ესენი გაგზავნილნი ყოფილან უავის მთის უველა დევებთან, მათ მოსწვევათ ომში დახმარებისთვის. უავის მთის დევებსაც ესე პასუხი მიეცათ: ძლიერს ჭეშმარიტი ღმერთი ვიცანით და აგრეთვე ღვთიური ხელმ-

წიგჯე და საპყროსანი ვიშოვნეთ და ჩვენთვის მოსვენებით ვცხოვრობთ და შემდ თუ კიდევ აქ მოსვლა ინებეთ, მაშინვე ციხეში დაგწვავთო. გარდა ამისა ისიც დაწვრილებით ჰკითხეს თუ როგორც რაჯიბ ქაშაგი მისულიყო და რა იმედები მიეცა, მერე როგორც ამიან და სიდან დევებს წერილები მიეწერათ როკშანხატისთვის და შემდეგ როგორც აყრილიყვნენ.

რა ესე ამბავი სასპყროსანმა გაიგონა, მაშინვე მარამჭობილს უბძანა ჯარების გაყენება და მომზადება. შემდეგ შვიდის იქლიმის ხელმწიფე, საპყროსანი და იგი ოთხნი გმირნი ფალავანნი და აგრეთვე მანოვანნი ყმა-გათ მოემზადნენ თავიანთის ჯარებით და აიარებით, ამასთან ფეშქეში და დიდის ყოფით წამოვიდნენ. მაშინ ფარვან დევმა სამი მსწრაფლ მარებელი ფაიკები ანუ ჯალდონი მოამზადა და ანბარ და ზანგ დევებთან გაისტუმრა, შვიდის იქლიმის ხელმწიფის, დედოფლის და სასპყროსანის მისვლას შეუთვალა და თითოსაც წიგნი სიტრფილით გასწერეს. რა ანბარ და ზანგ დევმა შვიდის იქლიმის ხელმწიფის და სასპყროსანის თავიანთ გმირის ფალავნებით მისვლა შეიტყეს, მაშინვე სამსაორფლო ნადარას შეამყრონეს და თითონ რამდენიმე ათასის კაცებით წინ მიეგებნენ და დიდის ამბით ერთაი ქალაქში შემოიყვანეს. აქ მოქალაქენიც წინ მიეგებნენ, ამათ ყველას ხელთ თითო თეფში ამბარი და მუშკი ეჭირათ აკმევდნენ, ამასთან მაღლის ხმით შესძახოდნენ: „მშვიდობით შვიდის იქლიმის ხელმწიფის მობრძანებაო“, კაცნი თუ დედაკაცნი, ყრმანი და ბერნი სულ ამას ჰყვიროდნენ. ხელმწიფეებმა და ფალავნებმაც მადლობა უბძანეს და სასახლეში ჩამოხტნენ და შემდეგ მოსვენებას მიეცნენ.

რა დილა გათენდა, ამათ ჯარები დააბინავეს და ყოველივე საქმეები მოაწესრიგეს. შემდეგ ხელმწიფემ ანბარ და ზანგ დევებს უბძანა: ამიან და სიდან დევების და იმათის ჯარების რა ამბავი იცით?! ანბარ დევმა მოახსენა: ხელმწიფევ და სასპყროსანო, აქამდის მათ შვიდის დღის სავალზედ ჩვენზედ შორს იდგნენ, ეხლა კი იმდენათ მოახლოვდნენ, რომ ერთის მანძილზედ დგანან, ამასთან დიდძალი ჯარები ჰყავთ და ფალავან-სარდლები: ერთი ყინან დევი არის, მეორე სავახრარ დევი და მესამეც მაქარ დევი, ამათ სულ სამოცის ასის ათასის დევთა ჯარი ჰყავთ და მრავალი ჯადოს ლაშქარნი, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ რომ ყველა ესენი დაბეჯით და მშვიდობიანათ მიდიან, ამასთან ჩვენს გარეშე სოფლებს და ქალაქებს სულ არაფერს ერჩიან და ეტყობათ რომ, ბძანებას ელოდებიან თავიანთის უფროსებისაგან.

## ახლა ამიან დევისა, სილან დევისა, მუხთალ დევისა და ინდოეთის ამბავი მოგიხსენიოთ.

რა ამიან დევი აიყარა თავისის მძლავრის ჯარებით და გზას გაუდგა, დღე და ღამ იარა და ინდოეთს მიახწია, შეხედა ნახა რომ, ინდოეთის სამხღვრებს ერთი მაღალი მთა იყო და თავისავე გაგზავნილი ყოველივე სარდალი და გამორჩენილი ფალავანნი მუხთალ დევი, მაშინ დევი და საუჩაბაშ დევი თავიანთის მძლავრის ჯარებით სამთ გაყოფილან და სიმრად მომზადებულან. გარდა ამის ციხეზედ ჭერიდამ აპირობენ მისვლას. შემდეგ დახედა, ნახა რომ, ინდოეთის სატახტო ქალაქში და ციხეში დიდი მძლავრი ჯარები არის და აგრეთვე ციხეს გარეთ იმდენი ჯარები დგას რომ, თვალი ვერ გადაუწვდენია. შემდეგ კიდევ ნახა რომ, ხუთნი ასეთნი ყრმა ფალავანნი არიან, რომ იმათ მოისახსენებს, მამაცი ანუ შიგ თავისი ვეშაპი ვერ გაუძლებდა, ერთი ძლიერი სავი გაუწყვიათ და სიმრად გამზადებულან. დიდათ მოუწონა ის ფალავნები იმისთანა მოძრაობაში. შემდეგ ამიან დევმა ჭერიდან დევები ძირს ჩამოგზავნა და თავიანთ მისვლა მუხთალ დევს აცნობა. ამათ სიჩქარით სამხიარულო ნაღარას შებერეს და წინ მიეგებნენ. რა ყველანი ჩამოვიდნენ, ესენი დიდის ყოფით მიიყვანეს. შემდეგ ამის ორი ასეთი ჯარები დადგეს რომ ხუთასი მხედარნი დევნი დაეტევოდნენ და ამასთანაც სამი ასეთი ფოლადის ტახტები დადგეს რომ, სიდიდეზედ ხუთი ათასი ქებული ფალავანნი დაეტეოდნენ.

რა ამათი სამხიარულოს ხმა როვშანახტს სცნობოდა, მაშინვე შეითურ აიარისთვის და სიროვანდასთვის ებძანებინა რომ იმათ ამბავი შეეტყოთ. შეითურ აიარი და სიროვანდა თავისის ხუთის ამხანაგებით და უცხოს იარაღით სულ დევთა სახეთ შეიცვალნენ შემდეგ გასწიეს და წავიდნენ. რა იმათ ჯარებს მიუახლოვდნენ, ისე მოხერხებით შევიდნენ რომ მათ სულდგომ ვერ მოსცნეს. ამათ სამი დღე და ღამ სულ ჯარებში მოიარეს და ვერაფერით ვერ მიახწიეს ამიან და სილან დევების ჯარებამდის, ბოლოს, მეხუთე დღეს, ერთი ბერი დევი ნახეს, ამას წინ გადუდგა სიროვანდა და უთხრა: მე შავის დევის კაცი ვარ და დევთა ხელმწიფეები რომელ მხარეს არიან გვასწავლეო? მაშინ ბერმა დევმა ხელით ანიშნა რომელ მხარესაც იყვნენ. ამათაც მაშინვე იქით გასწიეს; სადამდისაც იარეს და ძლივს მიახწიეს. შეხედეს, ნახეს რომ, ერთი მთის ტოლა ფოლადის ტახტი დგას, ზედ ორნი უშველებელნი დევნი სხედან, ასეთები არიან; რომ გორებს გვანან, თავები დიდროვან გუმბეთებს მიემგზავსება, ხელი და ფეხი სიდიდით ყურავერს ვერ მიამსგავსეს, პირიდან ისეთი ორთქლი ამოსდით-

დათ რომ საჭმრის ბოლოს ჭკვიანდნენ და იმით პირის სიმყრალისაგან ჩუდებიი უდრონდებოდეთ. მარცხნივ მხარეს ერთი დიდი წყაროს ტარტი იდგა. ზედ ერთი დევი მოტრიალეთ იჯდა, მახვილს ატრიალებდა ერთი მარტო თითლი კლდეა ამოსულიყო—ეს იყო მუხთალ დევი. რა ქსერი ყვაგათ გასინჯეს, შეიქრ ზარმა და სირცხვინჯამ, ამოითხრეს და სთქვეს: ამათ დასტურებს ვინ უნდა გაუძლოს ღმერთო ჩვენო? შენ დაიფარე ჩვენი ახალი ოჯალეგნები ამათის ხელიდან. შემდეგ ამათ დევის მხრიდან ერთი თეთრი მხეცი ჩაჯდა დაბმული, იმის სიდიდეს თვალი ვერ გადასწვდებოდა და შუბლზედ ასეთი რქა ედგა, რომ დიდს ჭანდარს მიემსგავსებოდა, თეთრი თვალი ჰქონდა და ქქვსი ფეხი. რა ისიც კარგათ გასინჯეს, მაშინ სთქვეს: ამ მხეცის ხელიდან ჩვენი ჯარებიც და ფალავნებიც ამოწყდებიანო. ამ დროს ამათ და სილან დევებმა უბძანეს: მუხთალ დევო! ჩვენ იმასას რას იქმთ? ამდენი ხანი ჯარებს ერთის ადგის ეთვის დიდი მეწუხებს. მაშინ მუხთალმა მოახსენა: ხელმწიფეებო დევთა და ცათ ქვეყნისა, იმიტ აქამდისინაც უნდა უთვილიყო, მე თქვენ ბძანებას ველოდი და რადგანაც თქვენი ნებაც არის, ხვალვე მოისვენონ და ზეგ შევაბმევით სულ ერთიანათ შემოვერტყნეთ გარშემო და ისინი სულ ფეხ ქვეშ გავსრისოთ; ხვალ თუ თქვენი დიდებულების ბრძანებაა, ელჩი გავუგზავნოთ, ციხე და ქალაქი უომროთ დაგვანებონ, თორემ დიდი სისხლის ღვრა მოხდება და მრავალნი დევნი და ფალავნნი დაიხოცებიან, როგორც ჩვენი აგრეთვე იმათიც, მეორეც ეს რომ, მე გუშინ ღამ სახე შევიცვალე და ქქვსის კაცით იმათ ჯარებში გადავედი და სრულებით დავსინჯე. დიდი ძალი ჯარები ჰყავთ, გარდა ამისა ხუთი ასეთი კარგი ფალავანი ჰყავთ, რომ იმათთან დიდი სისხლის ღვრა მოგვიხდება. გარდა ამისა ისეთი ლამაზნიც არიან, რომ ციდამ მოწყვეტილ ვარსკვლავს გვანან. აი სწორეთ იმათაგან გვმართებს სიფრთხილე. ამას იმისთვის მოგახსენებ რომ, იმათგანს ერთს შეულოცე, მოვიტაცებდი შემეპყრა და აქ თქვენის სიმძლისთვის მომეყვანა, მაგრამ მრავალ რიგათ ვეცადე და იმათ ჩემი შელოცვა ვერ მოეკარა. როგორც ეტყობა ისინი დიდის ჯადოსაგან იყვნენ შელოცვილნი.

რა იმ ბილწის მუხთალისაგან ესე სიტყვა გაიგონეს, უბძანეს, მეძალიან გასაკვირველია, რომ შენს ლოცვას იმათზედ ვერ უმოქმედნია, გარდა ამისა იმათზედ ჩვენგან შელოცვა და ჯადოთი შეპყრობა დიდათ სათაკილო არის. მარჯვნივ და მარცხნივ რამდენიმე ათასნი დევთა ფალავნნი ისხდნენ რომ თითო დევთა ასის და ორასის მწყრთის სიმძლის მქონებელნი იყვნენ, ისინი ფეხზედ წამოდგნენ და მოახსენეს: ხელმწიფენო, ნულარ დაგვახანებთ უთუოთ ზეგ იმათ დავიწყოთ და ისინი სულ ფეხ

ქვეშ დავსხრისოთ; საწირლოს რაც შეიძლება ეჩქება ჩქარა გაიგზავნოთ.

რა შეიტყო აიარმა და სიროვანჯამ ამათაგან ესე ამბავი გაიგონეს და მუხთალ დევისაგანაც ისეთი აიარობა და შეძლება თავიანთ ფალავნებისა, ამაზედ დიდათ შეუქრიანდნენ და მისი აიარობა ძრიელ აქეს. მერე გამობრუნდნენ და თავიანთ ხელმწიფე რაზმშახბახტთან მოვიდნენ და რაც გაეგოთ და ენახათ ყოველი ამბავი სულ დაწვრილებით მოახსენეს, ამასთან ისიც დაუმატეს რომ, ზეკ ომს აპირებდნენ და ეხლავეც უნდა გამოემგზავრნენ. რა ესეთი ამბავი აქ ხუთთა ახალთა ფალავნებთა გაიგონეს, დიდათ გაეხარდათ და ფარვან დევსაც დიდი ქება შეასხეს, რომ რადგანაც თითონ ფარვანისაგან იყვნენ შეძლებულნი და მუხთალ დევის ღონესს მათზედ ვერ გაეწყრა.

## ამათ აქ თავი დავანებოთ და ახლა ამიან და სილან დევების ამბავი მოვიხსენიოთ.

რა დილა გათენდა, მაშინვე ათი დევი მორთეს, საჩქაროთ წიგნები დაწერეს და ამათ გაატანეს. ეს წიგნები იყო დაწერილი შემდეგის მიხარსით: „შენ ინდოეთის ხელმწიფევ და ფალავნნო! მოგწერთ რა ამ წერილს ჩვენ ყოვლად განთქმულნი სახელოვანნი ამიან და სილან დევნი და ამით გაცხადებთ რომ ჩვენ ჩვენის ძლიერის ჯარებით და ფალავნებით მოვსულვართ თქვენის ახლოთ და გვსურს მთელი ინდოეთი ხელთ ჩავიგდოროთ და რადგანაც თქვენც ხელმწიფენი ხართ, ამის მიზეზით არ გვინდა რომ, ჩვენის ხელით თქვენ დაიხოცნეთ, ამისთვის ჩქარა ჩაგვაბარეთ უბრძოლველათ ყველა ციხე-ქალაქები მთელის ინდოეთისა, გარდა ამისა წლითრათ რამდენიმე ასს ყათარს თვალს და მარგალიტს ხარჯათ გვაძლევდით რომელიც უნდა მუდამ გადიხადოთ. გარდა ამისა თქვენც უნდა ქმნით არ დაგტოვებთ; თქვენ ერთს კარგს ქალაქს მოგცემთ და იქ იცხოვრებთ თქვენთვის. რა ინდოეთს ჩავიბარებთ, შემდეგ უნდა ფრანგისთანში გადავიდეთ და ფრანგისთანისაც ყარამანის ქალაქში. ესენი სიმან დევს უნდა ჰქონდეს და ქაჩულიც მუხთალ დევს. რადგანაც ჩვენ რაზმიბ დმერთის ასრე უბრძანებია, ჩვენც უნდა აღვასრულოთ, დანარჩენნი ქვეყნები კი სულ ბაგბაჯ დევის მიეცეს, მაგი და ხაზარან დევების შვილებს უნდა ჩავაბაროთ ე. ი. თავიანთ მამების სასხლში. თუ ვინიცობაა ამ ჩვენს მოწერილ წერილზე არა დასთანხმდებით, მაშინ თქვენი ცოდო თქვენს კისერზედ იყოს და რაც დღეც დაგემართებათ, ამას თქვენვე ნახავთ".

რა ეს ათნი დევნი წამოვიდნენ და ციხეს მოახლოვდნენ, შეხედეს,

ნახეს რომ, დიდი ძლიერ ჯარები დგანან, ზოგნი საომრათ მომზადებულნი და ზოგნიც ემზადებოდნენ. გარდა ამისა კიდევ ნახეს, რომ ერთი მთის ტოლა დევი დგას და მასზედ ასეთი კეტი უძევს, რომ ყველის მთის ძირს დასცემს და შუაზე გაარღვევს. ამას გარდა მრავალნი ეშმაკნი და ძა-ლიანი ფალავნებიც იყვნენ. რა წამს მეფურ ასარმა ეს ამბი დევები ნახა, მაშინვე წინ მიეგებნა რამდენიმე ასპრით და ჰკითხა: დევებო, თქვენ ვინა-ხართ და ან რომელ ხელმწიფისაგან ხართ გამოგზავნილი? მაშინ იმათგან ერთმა უპასუხა: ჩვენ ამიან და სიდან დევების მსახურნი ვართ და თქვენ ხელმწიფესთან წიგნები გვაქვსო. რა ესე გაიგეს, მაშინვე სიროვანმა ასარი ამათ წინ გაუძღვა და პირდაპირ როშანისხტოსთან შეიყვანა. აქ ამათ ყველას თაყვანი სცეს, ხელმწიფეს მუხლით აკოცეს და მოახსენეს: ხელმწიფევ, ჩვენ ამიან და სიდან დევების ელჩნი გახლავართო, შემდეგ ამოიღეს წიგ-ნები და მიართვეს. მერე მარჯვნივ და მარცხნივ უყურეს და ნახეს რომ, ხუთასი ასეთი ფალავანი სხედან რომ, ერთის მეტყვით ქვეყანას დააქცე-ვენ, ამასთან ასეთი მშვენიერნი არიან რომ, მზესავით ბრწყინავენ. მაშინ ამათ იფიქრეს, და თავისთავში სთქვეს ჩვენში ამათთან შემბმელი არავინ იქნებაო, დევნიც ესენი ყოფილან და ფალავნებიცაო.

რა როშანისხტომა წერილები გახსნა და წაიკითხა, უცებ სიცილი წასკდა და რომ ველარ დაიმაგრა, წერილები იმ ხუთას ფალავნებს გადას-ცა. რაკი იმათაც წაიკითხეს, ჯავრით მარჯვნივ და მარცხნივ გრეხა დაიწ-ყეს და ასეთი მრისხანე სახე დაედვათ რომ ის დევნი შიშით პირზედ ვე-ღარ უყურებდნენ. მერე ეს წერილები ვეზირს გადასცეს და იმანაც მაღლის ხმით წაიკითხა. მაშინ დანარჩენი ფალავნები რომელნიც სკამებზედ ისხ-დნენ, ისე ფერები შეეცვალათ რომ, თითქმის უნდოდათ ის დევები იქვე ამოეწყვიტათ, მაგრამ კიდევ მოითმინეს. როშანისხტომა უბძანა, დევებო! თქვენ წადით და თქვენ ხელმწიფეებს ესე მოახსენეთ: მაგისთანა ქად-ილით ვის აშინებთო? გარდა ამისა რადგანაც გუნებაში ჩაგიდვიათ უმანკო-თის, ისლიყეთის და ქაშულის დაპყრობა, გაიხარეთ ნუღარ დაიძლით და ფიქრზე მოისვენეთ, ჩვენ აქ მზად ვართ და ჩვენ ძალასაც აქ გიჩვენებთ. რა ესე უბძანა, ამასთან თითო ხელი ხალათებიც უბოძა და გაისტუმრა.

რა იგი ელჩნი წავიდნენ, ამათ ჯერ თავიანთ ხალვათში შევიდნენ და დაემხუნენ, სამაო ღმერთს გული მხურვალეთ გამარჯვებას სთხოვეს. მერე დასხდნენ და ეშხით ლხინი გადაიხადეს. რა ლხინს მორჩნენ, შემდეგ დაწვნენ და მოსვენებას მიეცნენ.

რა დილა გათენდა და მზემ თავისი სხივები ქვეყანას მოჰფინა, ყვე-ნიც პაშალნი და თავიანთ ჯარებში მოვიდნენ. მაშინვე რაზმები გაწყვე-

გორმარაბმეჩა და ბარზიხი მოწინავენი წარდგნენ და თავიანთის უცხოს ფალავნის ჯარებით რაზმზე დადგნენ; აგრეთვე მეზობლებითურთ ბაგზადაჩა და მეფარუხზენე ჯარების ხოსროგმაგზაცა წაუძღვა; დაბარჩენ ჯარებმაც მარჯხარმაჯამ ჩაიბარა და ზარია დევიც ჯარების წინ ყვან მოექცა. ამათ უკან მოჰყვებოდნენ და შემდეგ წამოვიდნენ, საომარ ადგილს დადგნენ. მერე როუშანბახტმა ორი მორთული სპილო მოაყვანინა და ზედ მაღალი ტახტები დაადგმევინა, ერთზედ თვით როუშანბახტი ავიდა და დაჯდა, მეორეზედ რუიზანხარი დაჯდა. შემდეგ მშვენიერი გვირგვინები დაიდგეს თავზედ, და ქისრიც ჯარს გაჰყვნენ.

## ამათ აქ თავი დავანებოთ და ახლა ამიან დევის ამბავი მოვიხსენიოთ.

რა ამიან და სილან დევებმა ათასი დევი გაგზავნეს ქვეყნათ, და მათ პასუხს მოელოდნენ, ამათ დიდხან არ დაიგვიანეს და გიდეც მოვიდნენ, ხელმწიფეებს თავვანი სცეს და რაც როუშანბახტს დევებისთვის მასუხარ კოგმლავე მოახსენეს. ამის გარდა ის ხუთი ახალი ფალავნის დიდათ აქეს. როცა ხელმწიფეებმა პასუხი მოისმინეს, დიდათ გაწყრნენ და ძალლებითი ყიჟვა დაიწყეს. რა დილა გათენდა, ისინიც თავიანთის ჯარების წინ გაუძღვნენ, ამის გარდა მეხთალ დევი, მამან დევი და საფირბან დევიც დიდრიანის ჯარებით მოემზადნენ და ქისრიც საომარ ადგილს გამოვიდნენ. ამიანი და სილან დევმა ერთ ეჩხის და მაღალის გორაზედ ტახტები აადგ-მევინეს და თავიანთ სარდალ-ფალავნებით იქ ავიდნენ, გარდა ამისა ივერია ცხენიც იქ აიყვანეს. ამათ თითო ასეთი გურზები ეჭირათ წინ ...., თითო გორების ჰგვანდნენ. რა ყველანი თავიანთ საომარ ადგილს მოვიდნენ, ამ დროს მეხთალ დევმა მორიდამ დაიფალავნეს დაუწყო მტრის ჯარებს. რა შეხედა იმ ხუთის ახალთ ფალავნებს, დიდათ მოიწონა და სთქვა: ნა, თუ იყვნენ ამისთანა ფალავნებიო... შემდეგ დიდხან აღარ მოიცადა და მამან დევს უბრძანა: ერთი ფალავანი დევი გაგზავნე და იმათგან ფალავნი გამოითხოვეო! ვნახო იმ ხუთთაგანი ერთი მაინც გამოვიდეს და ვნახოთ როგორი ფალავნები არიან. მამან დევმა მაშინვე ერთი ძლიერი დევი ფალავანი მიუგზავნა. ამ დევმა ერთი დიდი გურზი გაიდო მხარზე და წავიდა. რა მოედანს მიუახლოვდა, ერთი საშინელის ხმით შესძახა: თქვენ ადამიანთა ფალავნებო! რომელიც კარგი ფალავანი იყოთ, ჩემზედ საომრათ გამოდით და ამისთანა ამაყურათ ბრძოლა დაიწყო. რა ბარამჯადოქრის შვილმა ბარზიხმა დაინახა იმ დევის ასეთი ამაყურათ ყვირილი და ქადი-

ლი, მაშინვე თვისი ლახტი ხელთ აიღო, ხელმწიფეს და დედოფალს თავი დაუკრა და მოედნისკენ გამოსწია. მაშინ რუიზანნარამ დაუძახა და უთხრა: ჩემის საბაოთ ღვთისთვის ჩამიბარიხართ. ბარზინმა მადლობა მოახსენა და მოედანზე გავიდა. რა შეხედა, ნახა რომ, ორასის მწყრთის მქონებელი ორთავი დევი იდგა, პირიდან დორბლები გადმოზდიოდა და ხელთ ერთი საშინელი ლახტი ეჭირა. რა ბარზინი ახლოთ მივიდა, სალამი მისცა იმ დევმაც სალამი ჩამოართვა, იმისთვის რომ ბარზინი ძალიან მოეწონა. შემდეგ დევმა ჰკითხა: როვშანბახტის ჯარში შენ რას გიწოდებენ და ან შენ ვინახარ? ბარზინმა უპასუხა: მე თითონ არ ვიცი ვინავარო! რა დევმა ამისაგან ესეთი პასუხი მიიღო, დიდათ ითაკილა ამას მაშინვე შემოუტია და თავის უშველებელი ლახტი თავს შამოივლო და დასაკრავათ მიიტანა. მაშინ ბარზინმა სთქვა, თუ დავდგე, მომკლავს და თუ მოვერიდო, ჩემთვის სირცხვილი არისო — გაიკრა ხმალს ხელი და იმის მოქნეულ მკლავში ასეთი შამოჰკრა, რომ ძირში მოსწყვიტა, მაშინვე მკლავი და ლახტი დევს ძირს დასცვივდა. ესე დიდათ ითაკილა, დასწვდა, მეორე ხელით ლახტი აიღო და უფრო გაჯავრებული მედგრათ დაკვრას უპირებდა. მაშინ ბარზინი სამს ფარსანგს მაღლათ შეხტა, მარცხენა ხელი სტაცა და მარჯვენის ხელით ასეთი სილა შემოჰკრა რომ, იგი დევი უკან-უკან წავიდა და ეს უშველებელი დევი დედამიწაზედ დასცა, მერე მივარდა და მაგრათ შეჰკრა, აიართ მისცა და როვშანბახტს გაუგზავნა.

რა რუიზანმა ბარზინისაგან ასეთი ვაჟკაცობა ნახა, დიდი ქება დაუწყო და მაღლიდან დიდი ტაშის კვრა გამართეს. რა ამიან და სიდან დევებმა ეს ამბავი ნახეს, გაჰკვირდნენ და ბარზინს დიდი ქება შეასხეს. ამაზედ მუხთალ დევი დიდათ გაჯავრდა და მეორეთ ასეთი სამთავიანი დევი გაუგზავნა რომ, სწორეთ ერთ დიდ მთას ჰგვანდა. ამასთან უბძანა: ეცადე როგორმე ცოცხალი დაიჭირო და აქ მოგგვაროვო! მაშინ იგი დევი დიდის სიამყით წამოვიდა, ამაზედ მუხთალს ისე ეგონა რომ უთუოდ შეიპყრობსო. რა მანუჩარშაჰმა იმ დევის მოსვლა დაინახა, ბარზინზედ დიდათ შეფიქრიანდა და ხოსროვშაჰზადას ჰკითხა: ფალევანო, ბეგზადშაჰს და იმ დევის საქმეზე რას იტყვითო? ხოსროვშაჰზადამ მოახსენა: საპყირანის შვილო და უცხო ფალევანო, ბარზინს ასი და ორასი მაგისთანა დევები ვერაფერს უზამენ, ჯერ თქვენ ბარზინს კიდევ კარგათ ვერ იცნობთ. რა ეს დევი განრისხებული წამოვიდა, ას ერთი ხელი ერთიანათ გაშალა და ბარზინის დაჭერა უნდოდა. რა ბარზინმა იმის განზრახვა გაიგო, საჩქაროდ ზედ მივარდა და ასეთი მუშტი დაჰკრა ზედ გულზედ რომ, მაშინვე თვალთ დაუბნელდა და დედამიწაზედ ასეთი დაეცა რომ, დედამიწა შეინძრა. შემ-

დეგ ისიც მაგრად შეკრეს და წაიყვანეს. ამ დროს მანუჩარშაჰა გაექანა და ბარზინის ორსავ თვალებში აკოცა და ფალევნობა უქო. შემდეგ სამხიარულო ნაღარას ჰკრეს.

რა ამათი მხიარულება ამიან დევმა გაიგო და თავიანთი ორი ფალევნის შეპყრობაც ნახა, დიდათ განრისხდა და უბძანა თავის გვერდზე მჯდომ პირველ სარდალს, რომელსაც სამასის მწყრთის მქონებელი იყო და ოთხასი ხელი ება და სამი თავი, ასეთი საშინელი და საძაგელი სანახავი რამ იყო რომ, როცა ბარზინს ყურება დაუწყო, მაშინვე თავი აატკივა. ამიან დევმა ახლა ეს გაგზავნა საბრძოლველათ. რა ბარზინმა ეს დევი ნახა, სთქვა მადლობა შენთვის გამჩენო, რომ ასეთი ბილწი გაგიჩენიაო. ეს ბილწი წამოვიდა და საშინლათ იგინებოდა. ამ დროს მანუჩარშაჰა კიდევ უფრო შეფიქრიანდა და სთქვა: ამ ბილწის ნაკრავს ბარზინი ნეტავ როგორ უნდა გაუძლოსო? საჩქაროდ ბეგზადშაჰას, ხოსროვბეგზადშაჰას და გორშარაბშაჰას უთხრა: ფალევანნო, მე ეხლა ბარზინისა დიდად მეშინიან, ვაი თუ იმ ბილწმა დევმა ავნოს რამეო. მაშინ ყოვლიბანის შვილმა მოახსენა: სააპყირანის შვილო და უცხო ფალევანო, ბარზინს ჩვენ კარგათ ვიცნობთ, მაგ დევისთანა ოციც რომ სხვანი მოვიდნენ, მაინც ვერაფერს ავნებენ. ეს მანუჩარშაჰას დიდათ იამა, მხოლოთ შუთურ აიარს და სირფანჯას უბძანა: თქვენ იმის სიახლოვეს დადექით და თვალ-ყური ადევნეთ. იმ დროს ის დევი დიდის წყრომით წამოვიდა, ბარზინმა შესძახა: შე ბილწო და საძაგელო, გინება რა ფალავანის წესია?! ჩქარა წამოდი და ფალევნურად შემები. იმ დროს დევი ძალიან განრისხდა და ბარზინისაგან დიდათ ითაკილა, წელიდან ლახტი გამოიწოდა და ბარზინს შესტყორცნა. რა ბარზინმა იმისი ლახტის ზუზუნით წამოსვლა იხილა, მაშინვე აიცდინა და ეს ლახტი სიმძიმის გამო დედამიწაში ჩაიფლა. რა დევმა თვისი ლახტის დაცდენა იხილა, კბილების კრეჭით ათის ხელით თავისი უშველებელი ლახტი აიღო და ხელმეორედ დასაკრავათ მოიტანა. მაშინ მეხუთალე დევმა სთქვა, ვნახოთ ეხლა რაღა იქნებაო... ამიან დევმაც უბძანა: ნეტავ ცოცხალი დაიჭიროს ის ადამიანთა ფალევანი და არ მოჰკლასო. სიდან დევმა სთქვა: მე რომ იმ ყრმა ფალევანს ვხედავ, ამ დევსაც დაიჭერს, აი თორემ ნახავთ. რა ამ ბილწმა ათის ხელით იმოდენა ლახტი შეუმაღლა, ბარზინმა მაღლის ხმით ღვთის სახელი ახსენა და ფარი მიაგება. მაშინ დევმა სამჯერ თავზე შემოივლო იგი ლახტი და როგორც უნდოდა რომ დაეკრა, ამ დროს ბარზინმა ხმალს ხელი გაიკრა და იმ ათსავეს ხელებში ისეთი ჩაჰკრა რომ, რვა ხელი მოსწყვიტა. დევმა იმ ორის ხელით ისეთი ძალა ველარ მოიტანა და თუმცა დაჰკრა, მაგრამ ბარზინმა ფარს აატანინა.

შემდეგ ამ დევმა რაც ხელები ჰქონდა ერთიანად გაშალა და დასაჭერათ მოსწვდა, იმ დროს ბარზინმა ღვთის სახელი ახსენა და უცებ მივარდა ერთი ხელი ფეხში სტაცა, მეორე კისერში, შემდეგ დაიჩოქა და ეს ამოადენა მთის ტოლა დევი მხარზედ შაიდო, გამოტრიალდა და თავის ამხანაგებთან მოვიდა, თან მაღლის ხმით შესძახა: ხელმწიფევ ინდოეთისა და დედოფალო! გამარჯვება მომილოცავს, თან მოიქნია და ის დევი დედამიწაზედ ისეთი დასცა რომ მისი სახე დედამიწაზედ გამოიხატა. ამაზედ ისეთი კიჟინა და მხიარულება შექქნათ, რომ ჰაერში ანგელოზებიც ჰკვირობდნენ და მხიარულობდნენ. შემდეგ ბარზინმა ფალევნები გამოითხოვა: აქედანაც ეს ოთხნი ფალევანნიც მივიდნენ და ბარზინს შუბლზედ აკოცეს. შემდეგ გამობრუნდნენ და თავიანთის ალაგს დადგნენ. რაღა გავაგრძელოთ, ამათ თითოს გამოსვლით, ბარზინმა ასორმოცი დევი სულ ცოცხალნი დაიჭირა და ციხეში შააყვანინა. ბოლოს როვშანბახტმა ესენი ერთს დიდს უშველებელს ხაროში ჩაყარა და ზედ დარაჯები დააყენა. მაშინ ბინდმაც მოატანა და ყველანი თავიანთ ბინაზედ მივიდნენ, საომარი იარაღი შეიხსნეს და სასახლეში შევიდნენ. აქ როვშანბახტი და რუიზანნარა დედოფალი მოეგებნენ და ბარზინს შუბლს დაჰკოცნეს, შემდეგ ისეთი ხალათი უბოძეს რომ ერთი ქვეყნის შემოსავლათ ღირდა. მაშინ მხიარულათ დასხდნენ და უცხო მეჯლისი გამართეს.

რა ის დევთა ჯარები გაბრუნდნენ, მაშინ სიროვანჯა აიარმა სახე გამოიცვალა და ორი აიარი თან წაიყვანა, ესე მივიდა იმათ ჯარში და იმდენი იარეს რომ ამიან და სიღან დევების კარავი იპოვეს—მივიდნენ და ერთ ალაგიდან ყურება დაუწყეს, ნახეს რომ, მუხთალ დევი შემოვიდა და თავის ხელმწიფეებს თავი დაუკრა, მერე გადაიარა და თავის ალაგს დაჯდა. მაშინ სიღან დევმა უბძანა: მუხთალ დევო, იმ დევების საქმე როგორ მოხდა, გვიამბე რომ იმისთანა ვეშაპის მსგავსნი დევები იმ ყმაწვილმა ფალევანმა ას ორმოცნი ერთათ შეიპყროვო? მუხთალ დევმა მოახსენა: ხელმწიფენო, ის ხუთნი ადამიანთა ფალევანნი ისეთი მებრძოლნი არიან, რომ მტერთ თითოდ გასულს, ვინც უნდა იყოს ამ ჩვენს დაბალს ფალევნებში სუყველას შეიპყრობენო, ამისთვის ხვალ ჩვენ უნდა რაზმით შევებნეთ, გარდა ამისა დიდრონი ჯარები უნდა შამოვახვიოთ. შემდეგ კახან დევი, შოშან დევი და საბჩიბაშ დევი თავიანთის ძრიელის ჯარებით იმ გმირ ფალევანთა შეუტიონ, შავის დევის, ხაზარან დევის და ბაუბაუ დევის შვილებიც იმ ორთა ფალევნებზედ მივიდნენ, და მეც ჩემის ჯარებით ციხეზედ მივალ, ერთის სიტყვით ეს ამდენი ჯარები სამ და ოთხ პირათ დაუყენოთ, რაკი გარს შემოვეხვევით, მაშინ ისინი ველარსად წაგვივლენ.

რა სიროვანჯა აიარმა მათი განზრახვა ყოველივე შეიტყო, მაშინვე გამოტრიალდა და თავის ხელმწიფეებთან და ფალევნებთან მოვიდა. რა სასახლეში შევიდა, მაშინვე ხელმწიფეს და დედოფალს მუხლზედ აკოცა. ხელმწიფემ უბრძანა: სიროვანჯა აიარო! სად იყავ და ან რა ამბავი იცი? ყველა გვიამბე! მაშინ აიარმა მოახსენა: ხელმწიფევ ინდოეთისა და უცხო ფალევანნო, იმათი ჯარი რომ გაბრუნდა, მეც ჩემის ამხანაგებით მათ ლაშქარში მივედით და მათი განზრახვა ყოველივე შევიტყეთ, აი მოგახსენოთ: პირველათ იმ დევთა დაჭერაზე დიდათ სწუხან, ამისთვის გადასწყვიტეს რომ რაც ფალევნები ჰყავთ, ყველანი თავიანთ ჯარებით უნდა ალყა შემოგვარტყან, მუხთალ დევმაც თვისის ჯარებით ჩვენ ციხეზედ იერიში უნდა მოიტანოს და ამიან დევიც თავისის თეთრის ცხენით ჩვენს ჯარზე უნდა მედგრათ დაეცეს. მაშინ მანუჩარშაჰმა და სხვათაც ამნაირათ სთქვეს: როცა მოვლენ, ჩვენც იქ დაუხვდებით და საბაოთ ღვთის ძლით, იმ თავიანთ თეთრს მხეცს ჩემს საჯდომათ გავიჩენო. ესა სთქვეს და შემდეგ მოსვენებას მიეცნენ.

რა დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ თვისი სხივები ქვეყანას მოჰფინა, ესენიც წამოდგნენ და თავიანთს ხალვათში შევიდნენ, დიდსან ღმერთი ილოცეს და თავიანთ თავის დაცვას ღმერთს სთხოვდნენ. რა ლოცვას მორჩნენ, მაშინვე ჯარებს გამოუძღვნენ და მოედანზედ მოვიდნენ და რაზმები დააწყეს, თითონაც ფოლადში ჩასხდნენ. რა ესე მოეწყვნენ, გავიდნენ და თავიანთ ჯარებს წინ დაუდგნენ.

ჯერ ომი არ დაწყებულიყო, ინდოეთის დედოფალმა რუიზანნარამ იარაღი შეისხა, კაცური ტანისამოსი ჩაიცვა და ორასის ათასის უცხო ჯარებით და ფალევნებით მივიდა და მარჯვენის მხარეს დადგა. ზორაბ დევიც მარცხნივ დადგა, მოწინავეთ გორშარაბშაჰა და ბარზინი დადგნენ. მაშინ მანუჩარშაჰმა სთქვა: ეს ფალევანნი რომ აქ არ მენახა და უცხო მხარეს მენახა, სულ მამაჩემს სააპყირანს მივამგზავსებდიო და ნეტავ ეს მშვენიერი ფალევანი ვინ უნდა იყოსო? მაშინ შუთურ აიარმა მოახსენა: ფალევანო ეგ ინდოეთის დედოფალი რუიზანნარა ბძანდებაო, ის მეორეც მამითქვენის საყვარელი ფალევანი ზორაბ დევი არის. მანუჩარშაჰმა რა ესე გაიგო, დიდათ იამა და ბძანა: რათ უნებებია და გამოსულა საომრად? მერე მივიდა და მოახსენა, დედოფალო რათ ინებებიათ რომ საომრად გამობძანებულხართ?—თქვენ ხელმწიფეს გვერდით, ტახტზედ დაბრძანდებოდით და ჩვენ თამაშას გვიყურებდით, ეს ამდენი ჯარებიც რომ არა გვყვანდეს, მე საბაოთ ღვთის ძლით იმედი მაქვს ჩვენის თავისაგან, რომ ამ ხუთთა ფალევნებით პასუხს გავცემთ. ამ სიტყვებზედ რუიზანნარა მივიდა და თვა-

ლებში დაჰკოცნა მანუჩარშაჰას და უბრძანა: მშვენიერო ახალო ფალევანო, მე არ შემიძლიან რომ უომრათ დავდგე და მეორეც ეს რომ, ის წყეული ამიან დევიც მოსვლას აპირებს, გარდა ამისა, იმ თავის საშინელ მხეცს საომრად ამზადებს, რომელსაც მთელს ცათა ქვეშეთა იმისთანა ძრიელი მეომარი მხეცი არსად დაიბადება და იმისაგან დიდი სივრთხილეც გვმართებს. მაშინ მანუჩარშაჰამ მოახსენა: დედოფალო, იმედი მაქვს რომ ის მხეცი მე შევიპყრო და ჩემს საჯდომათ გავიჩინო.

## ესენი ამ ლაპარაკში დაუტეოთ და ახლა მუსთალ დევის ამბავი მოვიხსენიოთ.

რა მუხთალ დევმა შემოხედა რომ, ინდოეთის მხრის ჯარები მზად საომრად დგანან, მაშინ ისინიც წამოვიდნენ და სამარს მოედანზედ დადგნენ, რაზმები გააწყეს და მოწინავეთ შავი დევის, ხაზარან დევის და ბაუბაუ დევის შვილები დააყენეს. რა ესე ჯარები გააწყეს, მაშინ მუხთალ დევმა შეტევა უბძანა. ერთის მხრიდანაც გორშარაზმა და ბარზინმა შემოუტიეს და ახალად დაერივნენ ერთმანერთს და ხან ამათ გაატრიალეს და ხან იმათ გამოატრიალეს. ამ დროს მუხთალ დევმა ძრიელ დაიძახა: სვალნო დევნო, დღეს ის დღე არის, რომ ან ჩვენ უნდა ვიყვნეთ და ან ეგენიო. ამით უფრო დიდი ბრძოლა გაიმართა, ამ დევებს გახან დევი მოეშველა თავისის ჯარებით. იქიდანაც ზორაბ დევი მოვიდა და ასეთი ომი გაიმართა რომ მეორეთ მოსვლას ჰგვანდა. გორშარაზშაჰამ და ბარზინმა ხმა მისცეს თავიანთ ჯარებს და ამათაც საშინლად შეუტიეს, გაატრიალეს და ეს ამდენი ჯარები თითქმის ბაირაღებამდის მირეკეს და იქაც დიდი ომი გადაიხადეს. რა ამიან დევმა ნახა რომ თავიანთი ჯარები უკან გამოატრიალეს და ბაირაღებამდის მოჰყევნენ, ამაზედ დიდათ ითაკილა და შომან დევს და საფჩიბაშ დევს უბძანა: თქვენის ლაშქარ-ფალევნებით მიდით. ეს ორნი ვეშაპის მსგავსნი დევნი ათას ჯერ ასის ათასის დევთა ჯარებით წამოვიდნენ გორშარაზზე, ბარზინზე და ზორაბ დევზედ, ამათ დიდი ხანი ხელჩართული ომი ჰქონდათ. შომან დევმაც გორშარაზს შემოუტია და დაუშინეს ერთმანერთს, ლახტი, გურზი, ხმალი და არ იქმნა, ვერც ერთმა ვერ აჯობეს. მაშინ შომან დევმა სთქვა ადამის შვილი ვინ და ასეთი ძლიერებო, მოუხდა უცებ გორშარაზს და ასეთი მუშტი დაჰკრა შუბლში რომ წარბი გაუხეთქა ისე რომ თითქმის ნათვაზი შააკრა და უკან-უკან წასაქცევლად წამოვიდა, მაგრამ გონება ჩქარა შემოიკრიბა და რა გონებაზე მოვიდა, წარბზედ ხელი მოისო, ნახა რომ დიდი ძალი სისხლი სდის. ამაზე

ძრიელ ითაკილა, გაჯავრებული გამოექანა და შოშან დევს ასეთი მუშტი დაჰკრა, რომ მაშინვე ნათვაში შეუკრა და უკან-უკან წავიდა. ეს უშველებე-



ლი დევი პირქვე დაეცა. ამ დროს გორშარაბშაჰა კაექანა და უნდოდა იმ ბილწი დევისათვის თავი მოეკვეთნა, მაგრამ მაშინვე დევნი მოსცვივდნენ

რამოდენიმე ათასნი, წინიდან მოსტაცეს და ძლივს გაათრიეს. ამაზედ გორშარაბშაჰმა ხელახლად ხლმით შეუტია და დიდძალი დევთა ჯარები ამოსწყვიტა. შემდეგ რა უკან მოიხედა, ნახა რომ, თავისი შუთურ აიარი და სირფანჯა თავიანთის აიარებით ნაჯახ შოკრულნი დევთა დაჭრევიან და დიდს ომში არიან. რა საბჩიბაშ დევმა ნახა, რომ იმისთანა გამოჩენილი და ძრიელი დევი გორშარაბმა ერთის სილის შეკვრით მიწაზედ დასცა, მაშინვე თავის ჯარებს ხმა მისცა და თითონ ერთი საშინლად დაიღრიალა და ბარზიმს მომართა, მერე თავის დახტი შეუმაღლა დასაკრავათ. ამ დროს ბარზინმა ძლივს ხმალი მოასწრო და ისეთი შემოჰკრა რომ, იმის გურზი შუაზე გაწყვიტა, შემდეგ მეორე ხელში ხმალი მიიცა და მარჯვენის ხელით ისეთი სილა შემოჰკრა, რომ ცხრა კბილი ერთათ ჩააყრევინა. მაშინ დაუშინეს ერთმანერთს ხმალი, შუბი, ისარი და სხვა. ერთის სიტყვით შექმნათ დიდი და ძრიელი ომები, ისე რომ, დახოცილი ჯარებისა ორივეს მხრიდან გორასავით ეყარნენ. ბოლოს ხოსროვზადშაჰმა ვეღარ მოითმინა და ერთი საშინელი ნარა გასწია, მარჯვენის მხრიდან მიუხდა და დასცა კიჟინა და თან თავისი ჯარები მიიდევნა. რა გორშარაბშაჰმა და ბარზინმა ხოსროვშაჰა დაინახეს, ამათაც ძალა მოიმატეს და ეს მრავალი ჯარები სულ გაატრიალეს და სადაც ამიან და სიღან დევები ისხდნენ, იქამდისინ მირეკეს დიდის ხოცვით. აქ, სწორეთ იმათ ტახტებ წინ, ისეთი სისხლის ღვრები შააყენეს, რომ ცხენიან კაცებს მოიტაცებდა.

რა ამიან დევმა ეს ამბავი დაინახა, მაშინ დაიძახა: სირცხვილი თქვენთვის დევთა ფალევანნო! რომ სამთა ახალთა ფალევანთა თქვენისთანა გმირი ბაირაღებიც კი დაგიგლიჯეს. ამაზედ მუხთალმა დიდათ იჯავრა, წამოხტა გაცოფებული თავის თეთრის ცხენით, დააღო პირი და ერთი ისეთი დაიღრიალა, რომ იმის ხმაზედ მრავალნი ფალევანნი, დევნი და ადამიანნი დაიხოცნენ. ამან გამოიწვია საომრად, მაგრამ ამიან დევმა დაიჭირა და არ გამოუშვა, რათა უფრო დიდის ბრძოლისათვის და გაჭირებისათვის ინახავდა. რა მუხთალ დევმა ნახა რომ, თვისი ჯარი ძრიელ დამარცხდა, იმ სამის ახლის ფალევანთაგან სთქვა: ამათ ვერა ფალევანი ვერ გაუძლებსო, მაშინვე თავისი იარაღი მოითხოვა და თან ახალი ჯარი მიიდევნა, ერთი კიდევ დაიღრიალა და ბრძოლისათვის მოემზადა. მაგრამ რა გახდებოდა? „მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო“, ამან პირდაპირ ხოსროვშაჰას მომართა, რა მანუჩარშაჰმა დაინახა, რომ ერთი საშინელი დევი, თითქმის მთას მიუმსგავსებადა სამი თავი აბია და ძრიელი დევიც სჩანს, ძრიელ შეწუხდა, მაგრამ ისევ იმედი მიეცა, ამიტომ რომ, გორშარაბი, ბარზინი, შუთურ აიარი და სირფანჯა გვერდით უდგნენ. მაშინ სთქვა: თუ ვინიცობა

გაუწირდება, ისინი უშველიან და მანამ ხომ მეც მივალ. ეს ფიქრი ბეგზადშაჰმა გაუგო და მოახსენა: საამყირანის შვილო და უცხო ფალევანო, ვგონებ რადსაც ფიქრობთო—მანუჩარშაჰმა მოახსენა: ფალევანო ხოსროვბეგზადშაჰს ფიქრი მაქვს, რომ ის უშველებელი დევი იმაზედ ელაშქრებათ, მეშინიან არა ავნოსრა, და ამისთვის მინდა წინ გადაუდგე. მაშინ ბეგზადშაჰმა მოახსენა: სახელოვანო ახალო ფალევანო, ხოსროვშაჰს მაგისაგან არა ევნება რა, თვით სიღან დევიც და ამიან დევიც რომ ზედ მოადგნენ, სამსავეს პასუხს გასცემს.

რა ხოსროვბეგზადშაჰმა მუხთალ დევი თავისზედ მისული ნახა, სთქვა- ვინც მინდოდა იგი მეწვიაო, და რა ეს დევი ღრიალით წამოვიდა და თან დიდროვანი ჯარები მოჰყვნენ, ამ დროს მაღლიდან როგშანბახტი დასცქეროდა, რა ესენი ნახა, ჩქარა რუიზანნარას ერთი აიარი გამოუგზავნა და მოახსენა: დედოფალო, საჩქაროთ ხოსროვბეგზადშაჰს აცნობეთ რომ მისი მოპირდაპირე მუხთალ დევი არის და ფრთხილათ იყოს. ამაზედ რუიზანნარამ გაიცინა და შეუთვალა: ხელმწიფეო, ჩვენი ფალევანი მუხთალ დევისთანა ათიც სხვა რომ იყოს, ისინიც არ ეყოფიანო. ამის შემდეგ, რუიზანნარა მანუჩარშაჰსთან და ბეგზადშაჰსთან მოვიდა და უთხრა: ახალო ფალევანნო და ჩემის თვალის სინათლენნო, ახლა ხოსროვბეგზადშაჰს ომს უყურეთ რა სასიამოვნო არისო. მანუჩარშაჰმა მოახსენა: დედოფალო, მე ძრიელ ვშიშობ, მერე ბეგზადშაჰმა მოახსენა: საამყირანის შვილო, უნდა იცოდე რომ, მუხთალ დევი სულ არაფრად მიაჩნიათ ჩვენ ფალევნებსაო.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, მაშინ მუხთალ დევმა მეორედ საშინლად შესძახა და ხოსროვბეგზადშაჰს თვისი მძიმე ლახტი შეუმაღლა, ამაზედ ხოსროვბეგზადშაჰმაც ერთი ისეთი საშინელი საომარის ხმით უპასუხა, რომ დედამიწამ სულ რყევა დაიწყო და ამ ხმაზედ მუხთალ დევი ცოტა არ იყოს შეფიქრიანდა და კინაღამ გონება დაეფანტა. ხოსროვბეგზადშაჰმა კიდევ ხმა მისცა: ჰეი, ბილწო და საძაგელო დევო, რას გაშტერებულხარ და მაგ ლახტს არ მოიხმარებო!? იგი რა გონებაზე მოვიდა, ლახტი თავს შემოივლო და ხოსროვშაჰს დაჰკრა, ამაზე ხოსროვბეგზადშაჰმაც თვისი მძიმე ლახტი ასეთი შემოჰკრა, რომ იმას ლახტი ხელიდან გავარდა, მუხთალ დევმა ამაზედ დიდათ იფაკილა, დასწვდა, ლახტი აიღო და მეორეთ მოუქნივა, მაგრამ ისიც ფარს აატანინა. ამაზედ ამიან და სიღან დევნი და მათი დიდებულნი ძალიან ჰკვირობდნენ მის ფალევნობას, რომ არც ზღვაში და არც ხმელეთზედ მუხთალ დევისთანა მძლავრი არ ეპოებოდათ და იმედიც ჰქონდათ რომ, ომის დროს ვინც ყოფილიყო ყველას ბოლოს მოუღებდა, მაგრამ ხოსროვბეგზადშაჰმა კი აჯობა. რა მუხთალ

დევმა ორის ლახტის კვრით ვერა დააკლორა, მესამეთაც ლახტი შეუმაღლა, ავყანდაზედ შედგა და კბილების კრეჭით ძრიელ დაჰკრა. მაშინ ხოსროვბეგზადშაჰამ ფალავნობას აღარ აკადრა, მარცხენის ხელით ფარი იფარა, მარჯვენის ხელით ხმალს ხელი გაიკრა და რა ის ლახტი ზუზუნით წამოვიდა, მაშინვე ხმალი შემოჰკრა და ოცდათოხი ბუშტი მოსწყვიტა დანარჩენი კი ფარს აატანინა.

რა ხოსროვბეგზადშაჰამ ყველაფრით აჯობა, ბოლოს უთხრა: მუხთალო დევო! დიდათ მომეწონეთ, ძრიელ უცხო ფალავანი ყოფილხარ, მოდი დამიჯერე, ჩვენი ჭეშმარიტი ღმერთი იწამე და როვშანბახტს თავი დაუკარ, მაშინ შვიდის იყლიმის ხელმწიფისა და ქუჩუკის საყვარელი ძმა იქნები. მაშინ მუხთალ დევმა ღმერთს გმობა დაუწყო და თავის მოპირდაპირეს პირზედ შემოაფურთხა. მაშინ ხოსროვბეგზადშაჰამ უთხრა: დევო, შენის ნებით რომ ჩვენი კერძი გამხდარიყავ, დიდი პატივი გექნებოდა, ეხლა კი მე ვფიცავ ჩემს გამჩენს საბაოთ ღმერთს, რომ ჩემის ხელით ან შეგიპყრობ და ან მოგკლავ. ეს უთხრა და კიდეც შესძახა: დევო, გამიფრთხილდი! მაშინვე გურზი წელიდგან გამოიღო, ღვთის სახელი ახსენა და მაღლათ შეხტა. ამ დროს მუხთალ დევმა თავისი ძრიელი ლახტი თავსა იფარა და იმისგან შველას ელოდა. მაშინ ხოსროვბეგზადშაჰამ მამისებურათ საჩქაროთ ლახტი მარცხენას ხელში მიიცა და მარჯვენის ხელით ასეთი სილა შემოჰკრა, რომ ეს უშველებელი დევი სამჯერ ყირაზედ გადატრიალდა და დედამიწაზედ დაეცა. მაშინვე მუთურ აიარი და სიროვანჯა; მისცვივდნენ, რომ მკლავები უნდა შეეკრათ, ამ დროს სამი სარდალი დევი ასის ათასის კარგის მეომარ ჯარებით მოსცვივდნენ და მუხთალ დევი გაიტაცეს; ეს აიარებიც შუაში მოიგდეს, შემდეგ გაიკრეს ჩაჯახებს ხელი და ამათაც ომი დაუწყეს. რა ამ ახალთა ფალავანთა აიარები მომწყვდეული ნახეს, მაშინვე საშინელის ხმით თითო ნარა გასწიეს (ამ დროს ზორაბ დევი უკანით ზურგს უნახვიდა), ჯარებიც მიიდევნეს და ახლად დაერივნენ ერთმანერთში. ასეთი საშინელი ომი ასტყდა მკითხველო, რომ მეორეთ მოსვლას მიემსგავსებოდა. ამ დროს რუიზანნარამ უთხრა: ჩემო საყვარელო მანუჩარშაჰ, მაღლათ ავიწიოთ და ჭაერით იმ ოთხთა ფალავანთ ომს უყუროთ, ძალიან უცხო სანახავები არის, მეტადრე ხოსროვბეგზადშაჰას ბრძოლა. მანუჩარშაჰამ მოახსენა: რას ბძანებთ? ამათ უსათუოდ მიშველება უნდათ, ხუმრობა ხომ არ არის? ამდენ ჯარებს წინ უდგანან და აიარებიც იმათ შუაში მოუმწყვდევიათ. ამაზედ რუიზანნარამ შუბლზედ აკოცა და უთხრა: ჩემის ძვირფასის ძმის შვილო და უცხო ფალავანო, ჯერ შენ მაგ ოთხთ ფალავანთ კარგათ არ იცნობ და იმიტომ ეგრე იმი-

შვილო, მე ხომ მხედავ როგორ მზათ ვარ? მაგრამ როცა ვიცი მათი სიმამაცე, მე დინჯად ვარ, ეგენი ჯერ ომით არ გამაძღარან და როცა შველის დრო იქნება, მაშინ უშველით. ამის შემდეგ მაღლათ აიწიეს და იქიდან ყურება დაიწყეს. ამათ ნახეს რომ, მარჯვნივ ხოსროვზადშაჰა და მარცხნივ ბეგზადშაჰა და აღმოსავლეთის მხრიდამ გორშარაბშაჰა და დასავლეთის მხრიდამაც ბარზიმი იბრძვიან და სმალ მოწვდილნი საშინელის ხმით ნარას სწევდნენ, ამასთან უწყალოთ დევებს ჰხოცდნენ. ამათ რომ კარგათ თვალი მოჰკრეს, ნახეს რომ, შუთურ აიარი და სიროვანჯა ნაჯახ მოკრულები ფალევანთ გვერდით უდგანან და გახურებულნი ომობენ. რა მტერთა მხრიდან ნახეს რომ თავიანთი პირველი სარდალი და გამოჩენილი ფალევანი დაამარცხეს, მაშინ შავი დევის შვილი, ხაზარან და ბაუბაუ დევების შვილები თავიანთის საშინელის ჯარებით წამოვიდნენ და ალყა შემოარტყეს, დასცეს კიჟინა და ძრიელი ომი გარდაიხადეს. მხოლოთ საით მხარესაც ეს ოთხნი გმირნი შეუტევდნენ, მაშინვე მუსრს ადენდნენ, მაგრამ მაინც ამდენ ჯარებს ვერა დააკლეს რა, და ბოლოს ძლივს უკან გაატრიალეს. მტერმა რა პირი იბრუნა, ამათაც მიჰყვნენ და უკანიდან ყლიტეს. ამაზედ როვშანბასტმა დიდათ გაიხარა და სამხიარულო ნაღარას შებერეს, ამასთან დიდი ტაშის კვრა გამართეს. დევნი დიდ სირცხვილში ჩაცვივდნენ, გულებმა არ გაუძლეს და ხელმეორეთ საპჩიბაშ დევმა თავის ახალის ჯარებით გამოილაშქრა. ესენი ძრიელ მედგრათ იბრძოდნენ და დიდი ძალი ჯარებიც ამოსწყვიტეს. ამ ბრძოლაში შოშან დევს ზორაბ დევი შეხვდა და ერთმანერთს გურზები დაუშინეს, შემდეგ ხან ხმლით, ხან ლახტით და ხან ისრით იბრძოდნენ და ვერც ერთმა ვერ აჯობეს. მოვიდნენ ახალი მრავალი დევთა მაშველი ჯარები, მაგრამ ვერ იქმნა და კიდევ ვერ დახევინეს უკან, როვშანბახტის ჯარებს. იგი ოთხნი გმირნი ფალევანნი მედგრათ იბრძოდნენ და თან გამხნევების ხმებს ჰძლევდნენ თავიანთ ჯარებს. დიდის ბრძოლის შემდეგ, უკან გამოაბრუნეს თავიანთ ჯარები.

რა მანუჩარშაჰამ თავიანთ ჯარების გამობრუნება ნახა, დიდათ იჯავრა, საჩქაროთ თავისი იარაღი შემოირტყა, მძიმე გურზი ხელში მიიცა, ლახტი წელში გაიმაგრა, ფარი მხარზედ გარდაიგდო და ღვთის სახელი ახსენა, მერე რუიზანნარას მოახსენა: შენ მაღლიდან თამაშა გვიყურე და თუ შველა გვინდოდეს, მაშინ გვიშველეთ. ეს სთქვა და წავიდა.

რა რუიზანნარამ ყურება დაუწყო, ნახა რომ ის წყეულნი უფრო და უფრო ძრიელ ემატებოდნენ და თითქმის საქმეს უჭირებდნენ. მაშინ ჰაერიდან ძირს ჩამოვიდა და გაჯავრებული ჯარებს მიუხდა, ერთი საშინელი ნარა გასწია, რომ ცის ქვეყანაზედ დაცემის ხმას ჰგავდა და საითაც იგი

ოთხნი ფალავანნი ომობდნენ, იქით შეუტია. ამ ბრძოლაში მანუჩარშაჰამ თავი დიდათ ისახელა და ვაი იმის ბრალი, ვინც იმას შეხვდებოდა და ვისაც მისი ხმალი ხვდებოდა; ცხენს და კაცს, ორივეს შუაზე სწყვეტდა, ვისაც გურზს ჰკრავდა, მტვრათ აქცევდა და ვისაც მუშტ შამოჰკრავდა ძირაზედ გადაატრიალებდა. რა იმ ოთხთა ფალავანმდის მიაწია, ერთი საშინელი ნარა იქაც გასწია. რა ამ გმირთა ფალავანთა მანუჩარშაჰას ნარის ხმა გაიგონეს, მაშინ ამათაც ასეთის საომარ ხმით შესძახეს, რომ იმათი ჯარები სულ ერთმანერთს ეცნენ. შემდეგ ორთავ მხარემ ერთმანერთს შემოუტიეს და ისეთი სისხლის ღვრა შაექმნათ, რომ სწორეთ მეორეთ მოსვლას ჰგავანდა. ესენი ერთმანერთს უძახდნენ: ჰკარ, მოჰკალ, შეჰკარ და ნურც ერთს ცოცხალს ნუღარ გაუშვებთ! სისხლი ისე მიდიოდა, რომ სწორეთ ადიდებულ მდინარეს მიემსგავსებოდა. ამ დროს დევთა შეხედეს რომ, გარდა იმ ოთხთა ფალავანთა, ერთი სხვა ურმა ფალავანიც დევთა დარევია და უწყალოთ ხოცავს, ისე რომ, ვისაც წიხლს ჰკრავდა, ხუთნი და ექვსნი იხოცებოდნენ და ვისაც ხმალს შემოჰკრავდა იქვე ათავებდა. ამაზედ ამ დევთა სთქვეს: განა იმ ოთხთ ფალავანთ გარდა სხვაც ჰყოლიათო? შემდეგ შესძახეს ერთმანერთს, დევნო! ეცადენით რომ ეგებ ქამანდები გადააყაროთ და არ გაუშვათო. ამ დროს საბჩიბაშ დევიც იქვე აღმოჩნდა და ამანაც შეჰყვირა: მანუჩარშაჰას ქამანდები გადააყარეთო. რა ქამანდები ესროლეს, მაშინ ეს ქამანდები ზოგს კისერში მოხვდა, ზოგს წელში. მანუჩარშაჰამ ღვთის სახელი ახსენა, ეს ამდენი ალყები ერთად შამოკრიბა და ქამანდები ძალზე გამოსწია, ისე რომ, ვისაც ქამანდები ეჭირათ, სულ ძირს დასცა, მაგრამ მაინც თავის მიზანს კიდევ ვერ მიეხწია და იმდენი დევთა ჯარები სულ მანუჩარშაჰას ეხვივნენ. მანუჩარშაჰამ მესამედ ერთი კიდევ ნარა გასწია და ქამანდების წვერები ხელთაგან დაიძრო. იმ დროს შუთურ აიარიც და სიროვანჯაც თავიანთის ამხანაგებით იქ აღმოჩნდნენ, მაშინვე გაექანნენ და ქამანდების წვერები სულ ჩასჭრეს, შემდეგ მივიდნენ და მანუჩარს გამარჯვება მიულოცეს და მუხლთ აკოცეს. მაშინ მანუჩარშაჰამაც მადლობა უძღვნა და უთხრა: აიარნო! აბა მომყევით! რა თქმა უნდა, ესენიც გაჰყვნენ, ამათ კიდევ მრავალი დევთ ჯარები ამოსწყვიტეს. შემდეგ მანუჩარმა მარჯვნივ შეუტია და სადაც იგი ოთხნი ფალავანნი ომობდნენ იქამდინ მიაწია და იმათ ომს დიდი ხანი უყურა და დიდი ქებაც შეასხა, შემდეგ ხმა მისცა. რა ამ გმირთა ფალავანთა მანუჩარის ხმა გაიგონეს, მსწრაფლათ ოთხნივე მოვიდნენ, მანუჩარს გამარჯვება მიულოცეს, მერე ერთმანერთს გადაეხვივნენ და დიდი ხანი ლოშნიდნენ. ამის შემდეგ მანუჩარმა მოახსენა: ფალავანნო, დღეს მეშვიდე დღე არის

რაც ბრძოლაში იმყოფებით, ახლა გამობრუნდით დაისვენეთ და ხვალ კიდევ ომი დავიწყოთ. მაშინ ხოსროვზადშაჰმა მოასხენა: სააპყირანის შვილო, ჯერ ესენი გაბრუნდნენ და მერე ჩვენ გამოვბრუნდებით, თორემ ჩვენ რომ წინდაწინ დავბრუნდეთ, სიმხდალეში ჩამოგვართმევენ, მანუჩარშაჰმა სთქვა: როგორსაც ქებასა მამაჩემი ქუჩუკი მეუბნებოდა ხოსროვზადშაჰის ფალევნობას, სწორეთ მართალი ყოფილა. ამ ლაპარაკის დროს, ბეგზადშაჰმა სთქვა: მოდით, ერთი კიდევ მაუტიოთ და შემდეგ როგორც ღმერთმა გვაფიქრებინოს, ისრედ მოვიქცეთ. მაშინ ამ ხუთთა გმირთა, თითონარა გასწიეს, და ხუთთავემ ხუთთავეს მხარეს გასწიეს. ამათ ძალიან მედგარი იერიში მიიტანეს და დევთა ჯარები წინ წაიყარეს, შემდეგ ხოცვით მისდიეს და თითქმის ბაირაღებამდის დაახევინეს და იქაც დიდი ომები გარდაიხადეს.

რა როვშანბახტმა ნახა რომ, ბაირაღებამდის მივიდნენ, მაშინვე უბრძანა: გასაყარ ნაღარას ჰკარითო! ბრძანებისამებრ მაშინვე ნაღარას შებერეს. რა ნაღარის ხმა გაიგონეს, ეს გმირნი ფალევანნი, მაშინვე გამობრუნდნენ და თავიანთ ჯარებიც თან გამოაბრუნეს. ესენი ერთად ნაღარის კვრით თავიანთ ბინაზედ მოვიდნენ. რა ჯარები დააბინავეს, თითონაც სასახლისაკენ გამოსწიეს. აქ, ამათ როვშანბახტი წინ მოეგება და ხუთთავეს შუბლს აკოცა და თითო ხელი ასეთი ხალათები უბოძა, რომ თითო სახელმწიფოს შემოსავლად ღირდა. ამის გარდა როვშანბახტმა ხუთი ოქროს თეფშით სავსე ალმასები შემოატანინა ხუთთა კარგათ მორთულ ყულებს— და ამ ახალ ფალევნებს თავზედ გარდააყრევინა, თან გამარჯვებაც მიულოცა. ამის შემდეგ ყველამ ერთად უცხო მეჯლისი გამართეს. ამ ლხინის დროს, აიარნი შემოვიდნენ და ნაჯახ მოწვდილნი, თავს დაადგნენ. რა მანუჩარმა შუთურ და სიროვანჯა აიარები იხილა, ამათ დიდი მადლობა გადაუხადა, თავიანთის ერთგულის სამსახურისთვის. შემდეგ ამისა, ხელმწიფეს და იმ ოთხთ ფალევანთ, უამბო, როგორც დევებმა ქამანდები გადააყარეს და დიდათაც შეაწუხეს, და შემდეგ როგორც ეს აიარები იქ გაჩნდნენ და ქამანდების წვერები შეაჭრეს და როგორც თითონაც გადაარჩინეს.

რა როვშანბახტმა და რუიზანნარა დედოფალმა ესე მოისმინეს, ამაზე დიდი მადლობა უბძანა და თითო ხელი უცხო ხალათები უბოძეს. ამის გარდა რუიზანნარამ მრავალი ხაზინები უბოძა. შემდეგ უბძანეს: აიარნო! ეხლა კი დრო არის, რომ ჩვენის მტრების ერთათ შეყრის ამბავი გვაცნობოთ და ისიც, თუ ომს როდის დაიწყობენ.

ეს აიარნი, ბძანებისამებრ კარში გამოვიდნენ, დევის სახეთ შეიცვალნენ და პირდაპირ ამიან დევის კარავთან გასწიეს. აქ ერთის დაფარულს

ადაგს დადგნენ და იქიდან ყურება დაიწყეს. რა შახედეს, ნახეს რომ ამიან დევი და სიღან დევი ერთათ სხედან და წინაც ერთი მომცრო ტახტი ედგათ და ზედაც მუხთალ დევი ეჯდათ, იმის ქვევით შოშან დევი იჯდა და მის გვერდითაც საბჩიბაშ დევი. მარჯვნივ და მარცხნივ დევთა სარდლები ისხდნენ. ამ დროს, ამიან დევმა ბრძანა: ფალევანნო! როგორ შეიყარენით თქვენ და ის ადამიანთა ფალევანნიო? ამის გარდა მიიხედა და ნახა რომ, ორმოცი სკამი სულ ცარიელი იყო და სთქვა: ეს ჩემი გამოჩენილნი ფალევნები რომელმა შეიპყროვო? ეტყობა დიდი ძრიელი ფალევანი უნდა იყოსო. მაშინ შოშან დევი ფეხზედ წამოდგა და მოახსენა: ხელმწიფეო, იმ ფალევანს, რომელსაც თქვენ მკითხამთ, ბარზინს უხმობენ, იგი ძრიელი ფალევანი არის. ამ დროს მუხთალ დევმა სთქვა: ბევრი ლაპარაკი არ უნდა, ერთის სიტყვით იმ ხუთის ფალევანთაგან დიდი სიფრთხილე გვმართებსო. იმიტომ რომ, იმათთანა ძრიელი ფალევანი არსად არ იქნებიან; რაც მე იმ ფალევანმა საქმე მიყო, არას ფალევნისაგან არ მინახავსო. ამ დროს სიღან დევი დიდათ შეფიქრიანდა და ბოლოს უბძანა: იმ დანარჩენ ფალევნებსაც რა ჰქვიანთ!? მაშინ ერთი აიარი წინ წარსდგა და მოახსენა: ხელმწიფენო, იმ ფალევნებს, ერთს ბეგზად ჰქვიანო, მეორეს რომელიც მუხთალს ეომებოდა, ხოსროვზადშაჰს უწოდებენო მესამეს გორშარაბს და მეოთხესაც რომელმაც ომშივე ას ორმოცი თქვენი გამოჩენილი ფალევნები დაიჭირა, იმას ბარზინი ჰქვიანო, ეს ყველანი დიდათ ძრიელნი ფალევანნი არიანო; მეხუთეც სულ ყრმა ფალევანი არისო, რომელსაც მანუჩარშაჰს უწოდებენო, გარდა ამისა, ესენი დიდი ძრიელი ფალევანთა შვილები არიანო, მაგალითად, მანუჩარ ფალევანი ხელმწიფე არდევანშაჰს საპყირანის ქუჩუკის შვილიაო. გარდა ამისა ამ დევმა დაწვრილებით ისიც მოახსენა თუ რა ომებს გაევლო ბაყბაყ დევზე და ზარბაქ დევზე. მხოლოთ, უთხრა, ეს ყრმა ფალევანი მაშინ არ იყო და ეტყობა რომ, შემდეგ მისცემია ქუჩუკ ყარამანსაო. ამ ფალევანს ათასი ქამანდი გარდააყარეს ჩვენებმა და მაინც ვერ დაიმორჩილეს.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, იმ დროს თავიანთი რაჯიბ ეშმაკი, რომელსაც თითონ ღმერთათ სწამობდნენ, მარჯვენის მხრიდან გამოჩნდა, გადაიარა და ამიან და სიღან დევებს გვერდით მოუჯდა და უთხრა: „დევთა ხელმწიფენო და ფალევანნო! როგორი ომი მოგივიდათ და ან როგორ გაიმარჯვეთ? ამიან დევმა მოახსენა: ომი დიდი მოგვიხდა, მაგრამ ვერც ჩვენებმა ვძლიეთ და ვერც იმათ. მხოლოთ ბოლოს იმათ გაიმარჯვეს და ჩვენთაგან ას ორმოცი კარგი ფალევანი შეიპყრეს, რა რაჯიბმა ესე მოისმინა, უბძანა: ჩემნო გულის ნაწილნო! იმათი დაჭერა ჩემი ნება იყოვო,

იმისთვის რომ, როდესაც საომრათ მიდიხართ, ყოველთვის ჩემი სახელი უნდა ახსენოთ და მაშინ გამარჯვება უეჭველათ თქვენ დაგრჩებათ. აბა ეხლა ყური დამიგდეთ და ხვალ ანუ ზეგ, რაც სარდალ-ფალევნები გყავთ, ყველანი ექვს დარფათ გაიყვანეთ და რა წამს ის ხუთნი ფალევანნი საომრათ მოგიახლოვდნენ, მაშინვე ყველამ ქამანდები გარდააყარეთ და მაშინვე შეიპყრობთო. ამათ გარდა, მეექვსე ფალევანიც მანუჩარშაჰის მამიდა არის, უნდა გსიაქვათ რომ, იგი უფრო ძრიელი ფალევანი არის და მეექვსე დასტა სარდლებიც იმისთვის გაგზავნეთ; როდესაც ის საომრათ მოვიდეს, ან იმათ მოსაშველებლათ, მაშინ იმასაც ქამანდებით შეიპყრობთ. ამის გარდა, შავის დევის, ხაზარან დევის და ბაყბაყ დევის შვილებს თავიანთ მძლავრის ჯარებით უკან მიიდევნებთ და რა წამს ქამანდები გადააყაროთ, მაშინვე რაც ჯარები გყავნდეთ, სულ გარს ალყა შემოარტყით. გარდა ამისა თქვენ ამიან და სიღან დევნო! თქვენის ჯარებით მზად იყავით და როცა ისინი შეიპყრათ, მაშინ თქვენი თეთრი ცხენი ჯარს მიუსივეთ; იგი სულ ერთიანათ ფეხ ქვეშ გასრესავს და სწორეთ ამ დროს, თქვენც ციხეზედ მიდით; ამის გარდა, სადაც კი იყვეთ ყოველთვის ჩემი სახელი ახსენეთ და მე მუდამ თქვენთან ვიქნები“.—ესა სთქვა და მაშინვე უჩინო იქმნა.

რა ამ აიართა ესე ამბავი მოისმინეს, მაშინვე თავიანთის ჯარებისკენ წამოვიდნენ და ყოველივე დაწვრილებით მოახსენეს როვშანბახტს და ფალევნებს. რა ამ ფალევანთა, ამიან და სიღან დევების აზრები გაიგეს, და ამის გარდა რაჯიბ ეშმაკისაგან მათთვის იმ გვარი ქადაგება, ამაზედ დიდი სიცილი შექმნეს და ერთმანერთს უთხრეს: „ჩვენც დიდი სიფრთხილე გვმართებსო“, მერე გადაეხვივნენ ერთმანერთს და კოცნა დაუწყეს. ამის შემდეგ ბეგზადშაჰამ სთქვა: ჩვენ ჩვენს ჭეშმარიტს ღმერთს მივენდოთ და რაც იმის ნება იყვეს, ისრედ ასრულდესო.

## აქ დაწყება ახალი ომებისა, იმ ხუთთა გმირთა ფალევანთა და ამიან და სიღან დევთა შორის.

ამ ღამეს, ეს ხუთნი გმირნი ფალევანნი, რუინზანნარა და ხელმწიფე როვშანნბახტი თავიანთის სარდალ-ფალევნებით უცხოთ შექცნენ და შემდეგ მოსვენებას მიეცნენ. რა დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ ქვეყანას ნათელი მოჰფინა, მაშინ ესენიც აიშალნენ და საომარი იარაღები მოიმზადეს, მერე ეს ფალევანნი ყველანი თავიანთს ხალვათში შევიდნენ, დაემხნენ პირქვე და საბაოთ ღმერთს დიდის ცრემლით შემწეობა სთხოვეს. შემდეგ გამოვიდნენ და როვშანბახტს მოახსენეს: თქვენ ციხეში

შებძანდით და ციხე ძრიელ გაამაგრეთ. მანუჩარმა მოახსენა: დედოფალო რუიზანნარავ, თქვენ ორასის ათასის კარგის დევთა და ადამიანთა ჯარებით ჭაერში აბძანდით და იქიდან ომს უყურეთ და რა დროსაც რომელ მხარესაც მოშველება საჭირო იყვეს, იქით გვიშველეთო.

ამ მოლაპარაკების შემდეგ, ეს ხუთნივე ფალევანნი გამოვიდნენ და თავიანთს ჯარებს წინ გაუძღვნენ და მოედანზე მოვიდნენ. რა საომარს ალაგს დადგნენ და თავიანთი ჯარები მშვენივრათ გააწყეს, მაშინ ზორაბ დევს უბძანეს: შენ შენის ასი ათასის ლაშქრით ზურგი შეგვინახე და ხუთი ათასიც კარგი მეომარი დევნიც მაღლა აიწივნენ და თუ ძრიელ გაგვიჭირდეს, იქიდან მოგვეშველენით. რა ამათ ესე მოაწესრიგეს, შემდეგ შუთურ და სიროვანჯა აიარებმა ერთნაირი წამალი შეამზადეს და როცა იმ წამალს პირზედ შეიცხობდნენ, უნდოდათ დევის სახეს დაიდებდნენ და თუ სურდათ ფერიის ანუ ჯადოს სახეთ. (ეს ამათი საიდუმლოება გარდანქეშანის მეტი არავინ იცოდა), ესენი დევს დევათ ეჩვენებოდნენ და ჯადოს ჯადოთ. ეს ხერხი იმისთვის გამოიგონეს, რომ ვინიცობა მრავალი ჯარები შემოაწვეთ და ფალევნებს გაუჭირდეთ, მაშინ ეს სახის ცვლილება ბევრს შემწეობას მოგვცემსო. ამათ ოთხასი რჩეული აიარი ჰყავდათ, ამ აიართაგან ორასი სიროვანჯამ დაიკავა თავისთან და ორასიც შუთურს ჩააბარა. შემდეგ ეს აიარნი ფალევანთ უკან დაყენეს, თითონ სიროვანჯა და შუთურ აიარი მხოლოთ ათის აიარით ნაჯახ მოწვდილნი ფალევანთა წინ დაუდგნენ. რა ესე საქმენი დაასრულეს, შემდეგ მოედანზე ყურება დაუწყეს, ნახეს რომ, მუსიალ დევი წინ მოუძღვის დიდძალ ჯარს და რა მოედანზედ მოვიდნენ მაშინვე ეს ჯარები რიგზე გააწყეს. მარჯვნივ მხრიდან ის სამნი ძრიელნი დევნი დადგნენ თავიანთის სამასი ასის ათასის დევთა ჯარებით. (ეს სამნი დევნი იყვნენ შავი დევისა, ხაზარან და ბაუბაუ დევების შვილები). მარცხნივ შოშან და საფჩიბაშ დევნი დადგნენ თავიანთის მრავლის ჯარებით. ამის გარდა ერთი ფოლადის ტახტი აემართათ, რომელიც სიდიდით ერთ შენობას მიემსგავსებოდა. ამაზედ ამიან და სიდან დევნი ისხდნენ, ძირს თავიანთი ჯარები და სარდალ-ფალევნები ედგათ და თითონაც ზევიდან დაჰყურებდნენ. ამის გარდა თეთრი მხეციც ერთ მხარეს დაებათ. ამისთვის ასეთი ბარგის ტანი ჩაეცმიათ, რომ არა იარაღი არ მიეკარებოდა.

რა ცოტა ხანმა გაიარა, რუიზანმა ბძანება გასცა შუთურ აიარს, რომ იგი წასულიყო და შეეტყობინებინა იმ ჯარებისთვის რომლებსაც თეთრმა დევმა ჩაგზავნა თავის საიდუმლოთ გაყვანილ გზებზედ, რომ თუ ვინიცობა გაგვიჭირდეს, მზათ იყვნენ მოსაშველებლათ.

## ესენი ამ მზადებაში დაუტეოთ და ახლა ცოტა რამ ამბავი თურქმანის ხელმწიფის შვილებისა მოვიხსენიოთ.

ეს ხუთნი ხელმწიფის შვილები ხომ გახსოვთ მკითხველო? რომ უშანგბადითამ არდევანშაჰამ და ქუჩუკ ყარამანმა რომ დიდის ლაშქრით თავიანთ სახელმწიფოში გაგზავნეს, რომელიც დროზე უნდა გაემაგრებინათ თავიანთ ციხე-ქალაქები და მზად უნდა ყოფილიყვნენ საომრად.

როცა ეს გმირნი ხელმწიფენი თავიანთ სახელმწიფოში მივიდნენ, მაშინვე ყველა საქმები სრულიად მოაწესრიგეს, ყველა თავიანთ ჯარები შემოიყარეს და დამზადდნენ ბრძოლისთვის. შემდეგ აიარები დაგზავნეს ყველა მხარეს, ამბავის გასაგებათ, ესე იგი, რომ საითაც საჭირონი ყოფილიყვნენ, იქით მიშველებოდნენ არდევანშაჰას ჯარებს.

## ახლა ისევ ინდოეთის ამბავი მოვიხსენიოთ, ესე იგი იმ ხუთთა გმირთა ფალევანთა ომები და აგრეთვე კიდევ სხვა მხრის ამბებიც.

რა ორისავე მხრიდან ჯარები საომრად გაეწყვნენ და მოწინავე რაზმებიც წინ წამოდგნენ, მაშინ დიდის ქადილით მივიდა მუხთალ დევი, ამიან და სიდან დევებს თავი დაუკრა და მოედანზედ გამოვიდა და ერთი საშინლათ დაიღრიალა: ადამიანთ ფალევანნო! მე ვარ მუხთალ დევი და რომელსაც გსურდეთ ჩემს საომრად, გამოდითო. გარდა ამისა ის ფალევანი რომელთან ერთმანერთი გამოვცადეთ, თუ კარგი მამაცია, ნუ შაშინდება და ჩემს საომრად გამოვიდეს.

ამ სიტყვებზედ ხოსროვზადშაჰამ გაიცინა, შემდეგ მანუჩარშაჰას და ფალევანთ თავი დაუკრა, ხელმწიფეს და დედოფალს გამოეთხოვა და შემდეგ ასეთის მშვენიერის ქცევით წავიდა, რომ მტერს და მოყვარეს რომ ენახათ, დიდათ სასიამოვნო იყო. ხოსროვზადშაჰა რა ახლოს მივიდა, მაშინვე ხელით სალამი მისცა,—მუხთალმაც სალამი ჩამოართო, ამ დროს იმათ მხრივ, ვინც რომ ნახეს ხოსროვზადშაჰა, დიდათ მოსწონდათ იმის ფალევნურ მოყვანილობაზე და ფალევნობაზე. მუხთალ დევმა უთხრა, ფალევანო, მეტათ მომწონხარ, ძრიელი ფალევანიც ხარ, მხოლოთ მებრალები ვაი თუ ჩემის ხელით გევნოს რამე, ამისთვის გირჩევ, ჩვენი რჯული იწამე, რაჯიბ ეშმაკს თაყვანი ეცი და ამიან და სიდან დევებს დაემორჩილე, რომ შენისთანა ფალევნის პატივის ცემა ამათ უკეთ იციან. რა ხოსროვ-

ზადშაჰამ იმ ბილწის და მყრალის დევისაგან ამგვარი ლაპარაკი გაიგონა, ასეთი განრისხდა, რომ უნდოდა ზედ მივარდნოდა და შუა გაეგლიჯა, მაგრამ თავი მოითმინებას მისცა და უთხრა: შე საძაგელო და მყრალო დევო! შე უნდა საბაოთ ღმერთი ვგმო და შენსავით ბილწს და საძაგელს რაჯიბ ეშმაკს თაყვანი ვცე, ამას გარდა თქვენ ბილწს ხელმწიფეს უნდა ვემსახურო? რა ესე უთხრა ხოსროვშაჰზადამ, პირზედ შეაფურთხა და დაუყვირა: ჩქარა შენი ლახტი იხმარე შე საძაგელო და მე ეხლავ გაჩვენებ შენს თამაშასო! მაშინვე მუხთალ დევმა თავისი მძიმე ლახტი წელთაგან გამოიძრო და ხოსროვზადშაჰს დასაკრავათ მიმართა და თან მიაძახა: ადამის შვილო! კარგათ გამიფრთხილდი და ლახტი მედგრათ დაჰკრა. ამ დაკვრაზე, ხოსროვზადშაჰმა არათ მიიჩნივა და სვეტივით იდგა. რა მუხთალ დევმა ნახა რომ, ერთის დაკვრით ვერა დააკლოა, მაშინ გაჯავრებული ავჟანდაზედ შედგა, სამჯერ ლახტი თავს შემოივლო, დიდის ხმით შესძახა და ხოსროვზადშაჰს მედგრათ დაჰკრა. მაშინ ხოსროვზადშაჰმა თვისი გურზი თავს იფარა და იმისი დაკრული ლახტი იმას აატანინა და ისეთი ცეცხლი გამოჰკრთა, რომ იმ ცეცხლმა ხოსროვზადშაჰა დაჰფარა. მუხთალ დევმა ამ ცეცხლის შუქში თავის მოპირდაპირე ვეღარ დაინახა და ეგონა მიწასთან გავასწორეო, ამ დროს საშინლათ გაიხარხარა და უთხრა: აგი ვერ მოგკლავდიო? შე წყეულო! ამ დაცინვის დროს ნიავმა შემოუბერა და ცეცხლი უკუ იყარა. მაშინ მუხთალმა ნახა რომ, ხოსროვზადშაჰა გამოჭიმული უვნებლად იდგა. ხოსროვზადშაჰმა დაუძახა შე ბილწო მუხთალ დევო! ჩქარა მესამე ლახტიც იხმარეო. რა მუხთალმა ნახა, რომ იგი უვნებლათ გადარჩა, დიდი ქება დაუწყო. აგრეთვე ამიან და სილან დევებმა და ერთობ იმათმა სარდალ-ფალევნებმა სთქვეს ამისთანა ფალევანი არასოდეს არ გვინახავსო. ბოლოს მუხთალ დევი მიუხდა და მესამე ლახტი კბილების ღრჯჯით დაჰკრა. მაშინ ხოსროვზადშაჰმა თვისი ლახტი თავს შემოივლო და მუხთალს შემოჰკრა. ამ დროს ლახტი ხელთაგან გავარდა, ეს საჩქაროდ დასწვდა და ისევ ხელით აიღო, მაგრამ ლახტის ხელიდგან დავარდნა დიდათ ითაკილა. ხოსროვზადშაჰმა უთხრა: დევო, გამიფრთხილდი! შენ ჩემგან დაკოდილი ნადირი ხარ. ესე სთქვა და ზედ მივარდა, ერთი ხელი კისერში სტაცა და მეორით ფეხში, ასწია და თავს შემოივლო, გამოტრიალდა და იმ ოთხთა ფალევანთან მიიყვანა, შემდეგ დედამიწაზე ასეთი დასცა, რომ მისი სახე დედამიწაზედ გამოისახა. ამ დროს, აიარნი ჩქარა მოსცვივდნენ, მაგრათ მკლავები შეუკრეს და ერთს ხაროში ჩააგდეს. მაშინ როვშანბახტმა სამხიარულო ნაღარის დაკვრა უბრძანა. შემდეგ ის ოთხნი ფალევანნი მივიდნენ და ხოსროვზადშაჰს შუბლზედ აკოცეს. ამის შემდეგ

ხოსროვზადშაჰა ისევ გამობრუნდა და მოედანზე მოვიდა. მაშინ დევთა სარდლებმა ერთიანათ შამოტევა უბრძანეს და რაც დევთა ჯარები იყვნენ, ყველანი საერთოთ იერიშით წამოვიდნენ. რა ეს ხუთნი გმირნი ფალევანნი ესე იხილეს, ამათაც თავიანთის ჯარებით მივიდნენ და ერთმანერთში დაერივნენ. ატყდა საშინელი ბრძოლა და მრავალი სისხლის ღვრა, ისე რომ, სისხლი ცხენიან კაცთ იტაცებდა. ამ ხუთთა ფალევანთა ხუთთავეს მხარეს გაილაშქრეს, შემდეგ დასცეს საშინელი კიჟინა და დევთ ხოცვა დაუწყეს. მანუჩარშაჰისთვის რომ გეყურებინათ, ამას იტყოდით: „გნოლის ჯარში შავარდენი დაერიაო", ვისაც ხელს სტაცებდა; აიყვანდა და მეორეს შემოსტყორცნიდა, ამ დროს შვიდს და რვას ერთათ ხოცდა; ვისაც კი ხმალს შემოჰკრავდა, სულ შუა-შუა სწყვეტდა, აგრეთვე ცხენიან დევს აიყვანდა და საცა იმათი ყუმუმი ჯარები იდგნენ, იქითკენ შესტყორცნიდა. ერთის სიტყვით იმ დღეს მრავალი დევთა ჯარები და სარდალ-ფალევნები ამოსწყვიტა. რაც შეეხებათ იგი ოთხთ ფალევანთ, იმათ ხომ ქება აღარ უნდათ, ერთის სიტყვით ისე გაასწყალეს იმდენი ჯარები, რომ მესამედი აღარ შერჩათ. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ იმათმა სარდალ-ფალევნებმაც მრავალი ფალევნები დახოცეს, ისე რომ, საითაც კი შავი დევის შვილი და საზარან დევის შვილი მივიდოდნენ, წინ ვეღარავინ უდგებოდნენ. შომან დევი და საბჩიბაშ დევმა ხომ იქაურობა გაასწყალეს. მაშინ მანუჩარმა ერთი საშინელი ნარა გასწია და თან ჯარები მიიყოლია და სადაც იმათი ესე იგი დევთა ჯარები მრავლათ იდგებოდა იქითკენ მიუხდებოდა და აგრეთვე ბეგზადშაჰა, ხოსროვზადშაჰა, გორშარაბი და ბარზინი, ერთმანერთს უძახდნენ: დაჰკარ, მოჰკალი, შეჰკარ, შეიპყარ და ნურც ერთს ცოცხალს ნუ გაუშვებ". ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ, როგორც იყო, ეს ამდენი დევთა ჯარები გაატრიალეს და უკან ხოცვით მისდევდნენ. რა ამიან დევმა დაინახა, ძრიელ გაჯავრდა და შესძახა: დევნო, მაგ ადამიანთ ცოცხალს ნუღარ გაუშვებთ! თორემ თქვენ მე ცოცხალს ვეღარ მომრჩებით. ის ხუთნი ფალევანნი კი, ოთხკუთხივ მოიმწყვდიეს და მრავალი ჯარები, დაუწყეს საშინლათ ხოცვა; ამ საქმემ გასტანა ვიდრე სამ დღემდის, და ეს ხუთნი გმირნი ფალევანნი ვერ გაძღნენ ამდენ დევების ხოცვით. ბოლოს სიღან დევმა ნახა რომ, საქმე ცუდათ იყო, შესძახა: დევთა სარდლებო! ქამანდებით ეგების ქცადოთ, რომ როგორმე შაიმაგროთო. მაშინ რამდენიმე ათასმა დევთა ფალევნებმა ქამანდები გარდააყარეს და როგორც იყო მანუჩარშაჰას წელში მოსდეს, ამაზე მორთეს დიდი კიჟინა და მძლავრობით წევა დაუწყეს, მაგრამ ადგილიდანაც ვერ დასძრეს. ამ დროს სიროვანჯა აიარი რამდენისამე აიარებით იქ შეესწრნენ, გაქანდნენ და ქამანდების წვერები მსწრაფლათ

ჩასჭრეს. რა მანუჩარშაჰი ქამანდებიდან განთავისუფლდა, მაშინვე ერთი ნარა გასწია, ამასთან შეუტია და უწყალოთ ხოცვა დაუწყო; ამასთან ჯარიც მიიდევნა, მაგრამ რა გამოვიდა? ეს ამდენი ჟლეტა სულ ამათ მიდიოდა, იმიტომ რომ, ბევრჯელ სამი დღე გაგრძელებულა ასეთი ჟლეტა და იმდენათ მრავალნი იყვნენ ეს დევთა ჯარები, რომ ამით არაფერი დაჰკლდებიათ. გარდა ამისა, ვერც ამცნევდნენ, თუ ეს დევთა ლაშქარნი როგორ ემტუბოდნენ, მხოლოთ იმას კი ატყობდნენ რომ, თავიანთ ჯარები უფრო ნაკლებათ იხოცებოდა. რა ამ ოთხთა ფალევანთა მანუჩარშაჰას ხმა გაიგონეს, მაშინვე ამათაც ოთხსავე მხარეს გაილაშქრნენ და დიდხანაც იბრძოლეს, მაგრამ არ იქმნა და მანუჩარშაჰამდინ ვერ მიახწივეს და დიდათაც დაიღალნენ.

უნდა მოგახსენოთ მკითხველო, რომ ამ ომში აიარებმა დიდი დახმარება გაუწიეს ფალევნებს, მეტადრე მაშინ, როდესაც დევნი ქამანდებს გადმოაყრიდნენ, მაშინვე აიარები ფარულათ დასჭრიდნენ და გაანთავისუფლებდნენ.

## ესენი ამ საშინელს ბრძოლაში დაუტეოთ და ახლა თურქმანის ხელმწიფის შვილების იბრეიმ ხანისა და მეით ხანის ამბავი მოვიხსენიოთ.

რა იმათ ჯარები შამოიკრიბეს ოცჯერ ასი ათასი სული, შემდეგ დადგნენ ერთ ალაგს და ამბავს ელოდნენ. ამიტომ რომ, ამათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ საით უნდა წასულიყვნენ. ამ ფიქრში რომ იყვნენ, შეხედეს ნახეს, რომ ინდოეთის მხრიდამ ოციოდე ფერიანი გამოჩნდნენ და სწრაფლათ მოფრინავენ და რა ხელმწიფის სასახლეს დაუახლოვდნენ, მაშინვე ძირს ჩამოვიდნენ და საჩქაროთ სასახლისაკენ წავიდნენ. რა კარის კაცთ შეხედეს, რომ ათნი ფერიანი არიან, მაშინვე ხელმწიფეს მოახსენეს: ხელმწიფენო, თქვენი გაგზავნილი ფერიანი გიახლნენო.—ამათ შემოყვანა უბრძანეს. რა ფერიები შემოვიდნენ, პირ მიწას გაერთებით თაყვანი სცეს და შემდეგ ხელთა აკოცეს, გამობრუნდნენ და დადგნენ. ხელმწიფეებმა უბრძანეს: ფერიანო! ინდოეთისას რა ამბავს გვეტყვითო და ანუ იმ ხუთთა გმირთა ფალევნებისა რა იცითო, ყველა გვიანბეთ?! მაშინ პირველ-დაწყებიდან რაც მომხდარიყო, ყველა სულ დაწვრილებით უამბეს. აგრეთვე ისიც მოახსენეს, თუ იგი გმირნი ფალევანნი რა მდგომარეობაში იყვნენ.

რა ამათ იგი ფალევანთა მწუხარება მოისმინეს, მაშინვე ჯარებს აყრა უბრძანეს, თითონაც სამამაცოთ შეიჭურვნენ და ინდოეთისაკენ წავიდნენ.

ესენი აქ მომავლობაში დაუტეოთ და ისევ მანუჩარშაჭას და იმ ოთხთა ფალევანთა ამბავი მოვიხსენიოთ.

რა მანუჩარშაჭამ იმოდენა ჯარებს შუა თავისის ჯარებით შემწყვდეული ნახა, და ვერც იმ ოთხთა ფალევანთა თან მიახწია, ამისთვის ძრიელ შეწუხდა. მაშინ ერთს ხალვათს ალაგს მივიდა, დაიჩოქა და მხურვალის გულით ღმერთს თავისი და იმ ოთხთა ფალევანთა განთავისუფლება სთხოვა და რა ღვთის ვედრება გათავა, აიართა ხმა უყო. საჩქაროთ სიროვანჯამ გრძნეული ორმოცდა ათის აიარით მანუჩართან მოვიდნენ და მუხლს აკოცეს. მანუჩარშაჭამ უბრძანა: აიარნო! აბა მე მომყევით და ერთი საშინელი ნარა გასწია და დევთ შეუტია. ამის ნარის ხმა რა ხოსროვზადშას, ბეგზადშაჭას და ბარზიმს შეესმათ, მაშინვე ამათაც დიდის ხმით შესძახეს და მანუჩარის მხრისაკენ შაუტიეს. ამ დროს ჭაერიდამ რუიზანმა გადმოხედა ნახა, რომ მანუჩარშაჭა მარტოთ ერთის მხრისკენ ომობს და სიროვანჯა აიარი და ცოტაოდენნი სხვა აიარნიც ზურგს უნახვენ და იგი ოთხნი ფალევანნიც ცალკეთ დიდს ბრძოლაში არიან. მხოლოთ მანუჩარამდის ვეღარ მიუხწევიათ. რუიზანმა მაშინვე თავისის ორმოცის ათასის ჯარებით ძირს ჩამოვიდა და საითაც მანუჩარი ომობდა, იქით წავიდა, შემდეგ ერთი ნარა გასწია და მრისხანეთ შეუტია. ამ დროს, რა ზორაბ დევმა რუიზანის ომის ხმა გაიგონა, ისიც საჩქაროთ თავისის ჯარებით რუიზანთან მივიდა და რა ერთმანერთი ნახეს, დიდათ იამათ. შემდეგ ერთათ დასცეს ყიჟინა და შეუტიეს. მედგარი ბრძოლის შემდეგ, დევთა ჯარები გაპესა და ამდენი ეცადნენ, რომ მანუჩართან მიახწიეს. რა მანუჩარმა რუიზანნარა და ზორაბ დევი დაინახა თავიანთის ფალევნებით, გული ერთი ათათ შეექმნა და დაუძახა: რუიზან დედოფალო და ძმაო ზორაბ! აბა მომყევით. ამათ მაშინვე გაიკრეს ხმლებს ხელი და დაუწყეს უწყალოთ ხოცვა. ამათ ნარის ხმაზედ იმ ოთხთა ფალევანთაც შაუტიეს და გაპეს ეს ამოდენა ჯარები და სადაც მანუჩარშაჭა და რუიზანნარა ომობდნენ, იქამდის მიახწიეს. რა ამათ ერთმანერთი დაინახეს, გულები ერთი ათათ შეექმნათ და ერთმანერთს დიდი მხნეობა მისცეს. ამათ რაკი ერთმანერთი ერთად დაიგულეს, მაშინვე შვითთავემ ზურგი ზურგს მისცეს და ერთი მოედნის ტოლა ალაგი დააგდებინეს, შემდეგ მივიდნენ ეს შვიდნი გმირნი ფალევანნი და ცოტას ხანს მოსვენებას მიეცნენ. მხოლოთ ამათ სარდალ-ფალევანნი თავიანთის ჯარებით ისევ ომობდნენ: აიარნი წინ უძღოდნენ და საითაც საშჯობინო იყო, იქითკენ მიუტევდნენ. მაგრამ რა ექნათ საწყლებს? ერთხელ ასი და ორასი მოდიოდნენ და შვიდ კეცათ გარს ჯარი ეხვიათ.

ამათ აქ თავი დავანებოთ და ისევ თურქმანის ხელმწიფის იბრეიმ ხანის და მეით ხანის ამბავი მოვიხსენიოთ.

რა იმ გმირთა ხელმწიფეთა, ინდოეთის ხელმწიფის და უცხო ფალავანთა დევთაგან გაჭირვება შეიტყეს, მაშინვე ოცჯერ ასი ათასის უცხოს ჯარებით და სარდალ-ფალავნებით აიყარნენ და ჩქარის სიარულით წამოვიდნენ და მეთხუთმეტე დღეს, ინდოეთს მოახწიეს. აქ ერთი მაღალი მთა იყო და იმას მოადგნენ, იქიდან გადმოხედეს ნახეს, რომ მთელი ინდოეთის მინდვრები სულ დევთა ჯარებით არის სავსე და ერთს მხარესაც საშინელი ომები არის. ერთ ხანათ კარგათ გასინჯეს, ნახეს რომ, ის ხუთნი გმირნი ფალავანნი, რუიზან დედოფალი და ზორაბ დევს ერთი დიდი მთელის ტოლა ალაგი დაუგდებინებიათ და იქ შესასვენებლათ დამდგარან; ამათ ლაშქარ-ფალავნებს კი, დიდი ომები აქვთ, შვიდ პირათ დევთა ჯარები ახვევიათ და ფალავნებამდისინ ვერ მიუსწევიათ.

რა ყველა ესე ნახეს, იბრეიმ ხანმა უთხრა მეით ხანს: ხელმწიფეო, შვილის იელიმის ხელმწიფეს და საამპირან ქუჩუკ ყარამანს ერთგულობა ჩვენის მხრივ ესლა უნდა გამოუჩინოთ. რა ესე სთქვა, მაშინვე ორნივე ფოლადში ჩასხდნენ და ათჯერ ასი ათასის კაცით, მარჯვნივ მხარეს საითაც იგი გმირნი ფალავანნი ომობდნენ, იბრეიმ ხანი იქით გაილაშქრა, მარჯვენა მხარესაც მეით ხანი წავიდა. ამ დროს ერთი აიარი როშანბახტს აახლეს და თავიანთ მოსვლა აცნობეს. როშანბახტმა ერთ ხანათ შეხედა ნახა, რომ აღმოსავლეთის მხრიდან დიდი ძალი ჯარები მოაწვა; ამაზედ დიდათ შეწუხდა, ეგონა რომ დევთა ჯარები იყვნენ, ამ მწუხარებაში რომ იყო, იმ დროს ერთი ჩქარი აიარი შევიდა და ხელმწიფე როშანბახტს მუხლსა აკოცა და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ, თურქმანის ხელმწიფის შვილები იბრეიმ და მეით ხანები, გიახლდნენო ოცჯერ ასის ათასის მოლაშქრის ჯარებითო. როშანბახტმა რა ესეთი სამხიარულო ამბავი გაიგონა, დიდათ იამა და მახარობელს ერთი კარგი ხალათი უბოძა და მრავალი ხაზინებიც. ამის შემდეგ საჩქაროთ ერთი აიარი იმ ფალავნებთან გაგზავნა და ხელმწიფეების მოსვლა შეატყობინა. რა იმ გმირთა მათი მოსვლა შეიტყეს, დიდათ ისიამოვნეს.

მეით და იბრეიმ ხანები, როგორც ზემოთ ვსთქვით, მარჯვნივ და მარცხნივ როცა გაილაშქრეს, იმ დროს თითო ისეთი ნარა გასწიეს, რომ იმათს ხმაზედ დედამიწა შეინძრა და შეუტიეს გიდეც. რა ამათი ხმები იმ ხუთთა გმირთა გაიგონეს, ამ დროს იმათაც საშინელი საომარი ხმები აღმოახდინეს და ხუთთავემ ხუთსა მხარეს მიმართეს, მეექვსე მხარესაც რუი-

ზანნარამ და ზორაბ დევმა მაუტიეს. ერთის სიტყვით როგორც იყო, ეს ამდენი მძლავრი დევთა ჯარები უკან გააბრუნეს, მეორის მხრიდანაც ამათი სარდალ-ფალევანნი გაბრუნეს. ბოლოს ესენი ერთს ალაგს შეღგნენ და ისევ წინააღმდეგობა გაუწიეს, აქ ასეთი ომი აუტყდათ, რომ მეორეთ მოსვლას დაემსგავსა. როცა დევთა მოპირდაპირეებს ვეღარ შეუძლეს, ჩქარა პირი იბრუნეს, ესენიც უკან ხოცვით თან მისდევდნენ, მაგრამ კიდევ ვერაფერი გააწყეს. რადგანაც იმათ შვიდ პირათ შემორტყმული ჯარი ჰყვანდათ. ამათგან მხოლოთ ორი პირი გააბრუნეს და დიდი ძალი დევთა ჯარიც ამოუწყვიტეს. ამ იბრეიმ და მეით ხანების ომისთვის რომ გეყურებინათ, მართლაც უცხო მოსაწონი იყო; დევებს ხელს სტაცებდნენ და მეორეს შემოსტყორცნიდნენ, ამით შვიდს და რვას ერთათ ხოცდნენ. ამათი სარდალ-ფალევანთაც, ხომ უფრო შავი დღე დააყენეს იმ საძაგელ დევთა ჯარებს. ერთის სიტყვით, ამათ იმდენი ეცადნენ, რომ ეს უძრავი დევთა ჯარები სრულებით გააბრუნეს. ამის შემდეგ ერთათ შეიყარნენ, ერთმანერთ დიდი მილოცვები უძღვნეს, რა სიხარული, რა მადლობები და სხვა; შემდეგ მეჯლისი გამართეს და კარგათაც შეექცნენ, ცოტა ხანსაც შეისვენეს და მერე ახალათ ჯარები გააწყეს. რა ამასაც მორჩნენ, ხელახლად დაიწყეს საშინელი ბრძოლა. ამ დროს ნახეს, რომ ერთი პირი დიდ-ძალი დევთა ჯარი მოდის დიდის სისწრაფით და წინიდანაც ას ორმოცი ასეთი სარდლები მოუძღვიან, რომ თითო მთებს ჰგვანან, იმათ წინაც ერთი სამთავა დევი მოუძღვის; ესენიც რამდონისამე ასის ათასის დევთა ჯარებით. ამ დროს ეს ხუთნი გმირნი ფალევანნი შეღგნენ და გაკვირვებულნი ყურება დაუწყეს. რა ხოსროვზადშაჰმა კარგათ გასინჯა, მაშინვე იცნა და სთქვა ეს ხომ მუხთალ დევი არის, მე ეს შევიპყარ და ხაროში ჩავაგდეო, და ვის გამოუშვიაო?! ამაზედ დიდათ ეწყინა. მაშინ ბარზინმა უთხრა: ძმანო, ეს ასორმოცი დევნი ჩემი დაჭერილნი სარდალნი არიან და უთოოდ აშვებულანო და როგორც ეტყობათ საომრათ წამოსულანო.

ბევრი აღარ ილაპარაკეს, ამიტომ რომ, აღარაფერი ეშველებოდარა და ჯარების მოწყსრიგებას შეუდგნენ:—ერთს მხარეს თურქმანის ხელმწიფის შვილები მიუჩინეს თავიანთის ჯარებით, მეორეს მხარესაც ხოსროვზადშაჰა და რუიზანნარა მივიდნენ; მესამეს მხარეს გორშარაბ და ბეგზადშაჰა მივიდნენ და მეოთხე მხრიდანაც მანუჩარშაჰა და ზორაბ დევი მივიდნენ. ამათ თითო ნარა გასწიეს და განრისხებული მაუტიეს, ერთის სიტყვით ღვთის რისხვა დასცეს, თან ერთმანერთს ხმას აძლევდნენ: მოჰკალი, დასჭერ და სხვ. ამ საშინელს ბრძოლის დროს, მუთურ აიარი და სიროფანჯაც თავიანთის აიარებით ფალევნებს ზურგს უნახვიდნენ და რომელს

ფალავანსაც დევნი ქამანდით შეპყრობას უპირებდნენ და ქამანდებსაც გადმოაყრიდნენ, მაშინვე ეს აიარნი ელდასავით ეცემოდნენ, თოკებს ჩაუჭრიდნენ და გაანთავისუფლებდნენ. ამ გვარათ ეს აიარნი დიდ შემწეობას აძლევდნენ ფალავანთ, ბრძოლის დროს.

## ესენი ამ ომში დაუტყოთ და სხვა ამბავი მოვიხსენიოთ.

რა თეთრმა დევმა თავის გაკეთებულს გზებზე რამდონიმე ასი ათასი ჯარები ჩაყენა და უბძანა: რომ საით მხარესაც გაუჭირდეთ, იმ მხარეს მიეშველნენ. ამ გზებიდან ერთი, რომელიც ინდოეთში მივიდოდა, აქ ინდოეთის სიახლოვესაც ხუთჯერ ასი ათასი ჯარი იდგა. რა იმათმა სარდლებმა ინდოეთის მწუხარება და ფალავანთა შემწყვდევაც შეიტყეს, მაშინვე ფარულის გზიდან ამოვიდნენ, რომელიც შიგ ციხეში ამოვიდოდა. ამ გზით საჩქაროთ როვშანბახტს აცნობეს, რომ ფარულის გზით დიდძალი ჯარი მოვიდაო. როვშანბახტი საჩქაროთ მივიდა ნახა, რომ მართლაც ხუთჯერ ასი ათასი უცხო ფალავანთა ჯარები მოსულან და გარდა ამისა, ექვსი ათასიც სარდალ-ფალავანნი არიან. როცა ამ სარდალთა როვშანბახტი დაინახეს, სალამი მისცეს და მოახსენეს: დიდო ხელმწიფევო ინდოეთისა, ჩვენ თეთრის დევისაგან ვართ გამოგზავნილიო და საითაც საჭირო იქნება, იქით უნდა მოგეშველნეთო და ეხლა საით გვიბძანებთ გალაშქრებასო? როვშანბახტმა მათგან რა ესეთი საიმედო სიტყვები მოისმინა, მადლობა უბძანა და შემდეგ ასი კარგი სარდალი მიუჩინა და უბძანა: ნახევარი თურქმანის ხელმწიფის შვილების მხრივ მიდით და ნახევარიც მანუჩარის და ამ გმირთა ფალავნების მხრიდანაო.

რა ესენი ციხიდან გამოვიდნენ, მაშინვე გაიყვნენ შუაზედ და დასტა-დასტად წავიდნენ ორსავ მხარეს. რა მივიდნენ დანიშნულს ალაგს, მაშინვე დასცეს საშინელი კიჟინა და დევთა ჯარებს მიესივნენ. გარდა ამისა აიარებიც გაგზავნეს ფალავნებთან და თავიანთ მოსვლა აცნობეს. ამათ დიდათ ესიამოვნათ მათი მოსვლა და ცოტა არ იყოს ჯარებს გული გაუკეთდათ. მაშინ ყველანი ერთათ აღფრთოვანებულნი, ყველა მხრიდან იერიში მიიტანეს, ისე რომ, აქედან ამდენი მრავალი ჯარი, იქიდამაც ისინი, დაერივნენ ერთმანერთში და უწყალოთ ხოცვა შეიქმნა. ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ, ისევ ამათ გაიმარჯვეს და ამოდენა მრავალი დევთა ჯარები უკან გაატრიალეს და თითქმის ბაირაღებამდის ხოცვით მიჰყვნენ. იქაც დიდი ბრძოლა გარდაიხადეს. ამ დროს მანუჩარი გარდმოხტა და თან ზორაბ დევი მიჰყვა და რაც ბაირაღები იყო სულ მილეწ-მოლეწეს, ამასთან მრავალი გამოჩე-

ნილნი დევნი ამოსწყვიტეს. როცა დანარჩენი დევთა ნახეს, რომ საქმე ცუდათ მისდიოდათ და მათაც საფრთხე მოელოდათ, მაშინვე ყველანი ერთათ გაიქცნენ. ესენიც უკან კივილით და ხოცვით მისდევდნენ დიდს ალაგამდის. ამის შემდეგ გამობრუნდნენ და მოვიდნენ სასახლესთან.

რა როშანბახტმა მანუჩარშაჰი და იგი ოთხნი გმირნი ფალევანნი, თავისი საუკუნოთ საყვარელი რუიზანნარა, ზორაბ დევი და თურქმანის ხელმწიფის შვილები გამარჯვებული მომავალი, მაშინვე წინ მიეგება და დიდრონის სინებით თვალ-მარგალიტი გარდააყარა და თითო ხელი ასეთი ხალათები უბოძა, რომ თითო სახელმწიფოს ფასი იყო. ესენი მხიარულათ შევიდნენ სასახლეში და თავთავიანთს ალაგას დასხდნენ. როშანბახტმა ჯარების დაბინავება უბრძანა და დიდიძალი ხაზინები და საჩუქრები მისცა თუ ფალევნებს და აგრეთვე ჯარებსაც. ამის შემდეგ რუიზანმა საფალევნო სკამები გამართა. სახელმწიფო ტახტზედ როშანბახტი ავიდა და დაჯდა, გვერდითაც რუიზანნარა მოისვა ისე რომ, თავ-გვირგვინოსანნი რომ გენახათ, ამას ბრძანებდით: „მზეები სხედანო“. შემდეგ როშანბახტმა მანუჩარშაჰს ხელი დაუჭირა და საამპირანის სკამზედ დასვა, მაგრამ მანუჩარშაჰი არ დაჯდა, მაშინვე გაექანა და ხოსროვზადშაჰს ხელი დაუჭირა და უთხრა: უცხო ფალევანო და გმირთა-გმირო, აქ მამიჩემის ტახტზედ გარდა შენ, არავის არ ეკუთვნის დასაჯდომათო, ეს სთქვა და წამოიყვანა. მაშინ ხოსროვზადშაჰმ პირ მიწა გაერთებით როშანბახტს და მანუჩარსაც თაყვანი სცა და დიდი მადლობა მოახსენა, შემდეგ სთქვა: ჩვენ ოთხნი, შვიდის იყლიმის ხელმწიფისა და თქვენიც მონანი ვართო და გარდა ამისა, მანამდის მამა ჩვენნი ცოცხალნი ბძანდებიან — ჩვენ საამპირანის ტახტზედ ჯდომა არ გვეკუთვნისო და მეორეც ის, რომ როცა შვიდის იყლიმის საამპირანი აქ ბძანდებაო, ჩვენგან არ შეიძლება მაგ სკამზედ ჯდომაო და ისევ თქვენ გვერობსთო. ამ სიტყვებზედ აღარც მანუჩარშაჰა დაჯდა მამის ალაგს, მაშინვე გადაიარა და ხელმწიფის სიახლოვეს მარჯვენის მხარეს დაჯდა, გვერდითაც ორნივ ბიძა-ძენი თურქმანის ხელმწიფის შვილები იბრეიმ და მეით ხანები მოისხა, იმათ ქვემოდან ზორაბ დევი და მარცხნივაც ხელმწიფის სიახლოვეს იგი ოთხნი გმირნი ფალევანნი დასხდნენ. ერთის სიტყვით ვინც კი სხდომის ღირსნი ფალევანნი და სარდალნი იყვნენ, ყველანი თავ-თავიანთს ალაგს დასხდნენ. ამის შემდეგ უცხო მეჯლისი გამართეს და დიდსა ქეიფსა შინა განისვენებდნენ. რა ლხინში თავები მობეზრდათ, მაშინ როშანბახტმა ტუსაღების გამოყვანა ბრძანა. ამის გარდა შუთურ აიარს და რამდონიმე ფალევანთ უბრძანა: მუხთალის და იმ ასორმოცის ფალევნების შემოყვანა. რა ხელმწიფის ბრძანება მოის-

მინეს, მაშინვე მოახსენეს: ხელმწიფეო ინდოეთისაო, ჩვენ დღეს მუხთალ დევი და იგი ასორმოცდაათი ფალევანნი დევნი დიდძალს ჯარს მოუძღოდნენ და საომრად მოვიდნენო, ომი კი აღარ დასცალდათო. რაკი მანუჩარმა და ამ ოთხთა ფალევანთა და ამ გმირთა ხელმწიფეთა შეუტიეს, ესენი მაშინვე გაბრუნდნენ. რა როვშანბახტმა ესე გაიგონა, მაშინვე ტუსაღხანაში ჯიარნი გაგზავნა და ნახა, რომ რაც ტუსაღების მცველნი იყვნენ, სულ დაეხოცათ და თითონ წასულიყვნენ. ამაზედ როვშანბახტი დიდათ შეწუხდა მაგრამ რაღას უშველიდა? მაშინ ხოსროვშაჰზადამ მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ, იგი ნადირი ჩვენი დაკოდილი არისო და მევე ვიპოვიო,— ვფიცავ მაღალს ღმერთს, რომ იგი ჩემის ხელიდგან არსად წავაო და აგრეთვე იგი ასორმოცი სარდალ-ფალევანნი ბარზიმს უნდა მოვსთხოვოთ და კიდეც ხელში შევიპყრობთო...

## ახლა ამიან და სილან დევთა და მათი ჯარების ამბავი მოვისხენიოთ.

როდესაც ამიან დევმა შვიდ-პირათ ჯარები შამოახვია როვშანბახტის ჯარებს, მაშინ დიდი იმედი ჰქონდა, რომ სულ ფეხქვეშ ამოსრესდა. გარდა ამისა, უფრო დიდი იმედიც ჰქონდა თავიანთის წუწკის და ბილწის რაჯიბ ეშმაკისაგან. მაგრამ ჩვენმა ყოვლის მპყრობელმა ღმერთმა ხელი არ მოუმართა და დამარცხდნენ კიდეც. ამასთან დიდძალი ჯარებიც ამოუჟლიტათ. ამის შემდეგ ამიან და სიღან დევებმა დაიბარეს თავიანთ სარდალ-ფალევნები და უბრძანეს: არა გრცხვენიანთო, რომ ცათა ქვეშეთ რაც დევთა ჯარები და გამოჩენილნი ფალევანნი იყვნენ, სულ აქ ხართო და იმათ ერთს კაცზედ თითქმის ათი კაცი მიდიოდით და სირცხვილი არ არის თქვენთვის, რომ ისე დამარცხდითო?! გარდა ამისა რომელნიც გამოჩენილნი იყავით, ცოცხალნიც შეგიპყრეს! (ამ დროს მუხთალმა თავისთვის სთქვა: „ნეტავი ისრე არ მოვკვდე, რომ იმათ ხელში შენც არა გნახოვო"). ამიან დევმა განაგრძო — ეს ერთი მიპატიებია და ამის შემდეგ კი აღარ მოგითმენთ ამის შემდეგ. თქვენგან რომელიც სარდალი ანუ ფალევანი გამობრუნდება, მაშინვე მოუკლავს აღარ გაუშვებო, ეხლა თქვენ როგორც გერჩიოთ ისრე მოიქეცით... კიდევ დაუმატა: დღეს ათი დღე არის, რაც რომ მე ათი ჯადო გამიგზავნია და ხვალ ანუ ზეგ ოცჯერ ასი ათასნი დევნი და ფალევანნი მოვლენო და აგრეთვე ხუთჯერ ასი ათასნიც ჯადონიო. როდესაც ისინი მოვლენ, მაშინვე უნდა ათს რიგათ გარს შამოეხვივნეთ და აგრეთვე ჯადონი თავიანთის ხელოვნებით ეცდებიან, რომ

იგი ფალევანნი შეიპყრან და თუ როგორც მუხთალ დევმა მიამბო, რომ იმათ ჯადო არ მოეკიდებათ, მაშინ ჩვენ ხომ ერთხელ ორასი მეტნი ვიქნებითო? უთუოდ სულ ფეხქვეშ გავსრესავთო და მათ ჯარებსაც ჯადოსა შეიპყრობენო.

როდესაც ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ, ამ დროს ასიმ აიარი იქ იყო. ამან თავის გუნებაში სთქვა: თქვენის მრავალ დევთა ჯარებით და ჯადოებით ჩვენ არა გვევნებარაო და კიდეც იმედიც მაქვს, რომ ჩვენმა ფალევნებმა შეგიპყრანო. ეს აიარი მაშინვე გამობრუნდა და თავიანთ ჯარში მოვიდა და რაც გაეგონა, ყოველივე ამბავი დაწვრილებით როფშანხანხტს მოახსენა. მაშინ ბეგზადშაჰამ სთქვა: უკეთუ საბაოთ ღმერთი ჩვენი მწყალობელი არისო, მაგათი ქადილი და ჯართა სიმრავლე ჩვენ ვერას გვიზამსო. მაშინვე კარში გამოვიდნენ — ნახეს, რომ იმდენი დევთა ჯარები შეყრილან, რომ ადგილი აღარა აქვთ დასადგომათ. ამათ გარდა დიდძალი ჯადოს ლაშქარნი სხვა მხრით დაეყენებიათ. ერთის სიტყვით, რაც რომ ქვეყანაზედ ჯარები ანუ ჯადონნი თუ ქაჯნი არიან, სულ იქ შეყრილან. იმათ ორთქლისაგან ჰაერი სულ შეკრულიყო და იმათის კიჟინისა და ყვირილისგან, ყურთ ხმა აღარ ისმოდა. რა ესე ნახეს, მაშინ ფალევანთ სთქვეს: მადლობ შენ დამბადებელო, რომ ამდენი დევთ ჯარები, ჯინნი და ჯადონი გაგიჩენიაო. ბარზინმა და გორშარაბშაჰა წამოდგნენ და მოახსენეს: ხელმწიფეო ინდოეთისა, ამათი სიმრავლით ჩვენ არა გვევნებარაო და რამდენიც მეტნი იქნებიან იმდენათ მომეტებული ნადავლი დაგვრჩებაო. ამისთანა იმედიანი სიტყვისთვის როფშანხანხტმა დიდი მადლობა უძღვნა, რადგანაც ამათმა ლაპარაკმა ბევრს ფალევანს გული მოჰგვარა. ამის შემდეგ ყველამ აღფრთოვანებულნი საერთოთ ხელმწიფეს სთხოვეს, რომ ჩქარა ომი დაეწყოთ. ხელმწიფეს ძრიელ იამა, ამათი ესრე გულადათ ომის სურვილი და მაშინვე შეუდგა საქმეს. თურქმანის ხელმწიფის შვილები თავიანთის კარგის ჯარებით, მარცხენის მხარეს გააყენა და ათი კარგი აიარიც მიუჩინა, ამის გარდა ზორაბ დევი თავისის ასის ათასის კარგის მეომრის ჯარებით, ესეც ამათ გაყოლა, გარდა ამისა, ხუთჯერ ასი ათასის დევთა ჯარებით თეთრი დევის გაკეთებულის ფარულის გზებით მოვიდნენ, ესენიც ზორაბ დევს ჩააბარა. იბრეიმ და მეით ხანებს უბრძანა: ჯადოსი ნუ გეშინიანთო, იმიტომ, რომ ფარვანისაგან ასეთ ნაირათ არის შელოცვილნი რომ ჩვენს ჯარებს არა ჯადო არ მიეკარებაო. მხოლოთ ყოველ შემთხვევისთვის ისმიაზამი შეილოცეთ და ტანზედ გაიკეთეთო. ამის შემდეგ გორშარაბი და ბარზინი თავიანთის ჯარებით მოწინავეთ დაყენა, ხოსროფშაჰზადა და ბეგზადშაჰა თავიანთის ჯარებით მემარჯვენეთ და მემარცხენეთ

დაადგინა, მუთუჱ აიარიც თავისის აიარებით ამათ მიუჩინა. მანუჩარშაჰა და რუიზანნარაც დიდის ჯარებით მზად იდგნენ. შემდეგ ამათ ყველამ როვშანბახტს მოახსენეს: ხელმწიფეო, თქვენ დიდროვანის ჯარებით ციხეში შებძანდით და რაც რომ დედანი და ხაზინები არის, სულ ფარულის გზებში ჩავზავნეთ, ამას იმისთვის მოგახსენებთ, რომ დიდძალი ჯარები მოსვლიათ ჩვენს მტრებს და ვინიცობა ციხეს გარს შემოევლონ და რადა თქმა უნდა, რომ იერიშს მოიტანენ და მაშინ დიდი სიფრთხილე გინდათო, შემდეგ განაგრძო, ეს კარგათ ვიცი, რომ ჩვენზედ დიდძალ ჯარებს მოგვისევენ და მაშინ ჩვენ ვეღარას გარგებთ, მაშინ თქვენის ხაზინებით ფარულ გზებში ჩაბძანდებით. მაშინ როვშანბახტმა რაც რომ ხაზინა იყო, სულ ჩაზიდინა, აგრეთვე დედანი მთელის ინდოეთის ქალაქებისა და თვით ხელმწიფეც დიდის ჯარებით ციხეში შევიდა და ძრიელაც გამაგრა, ამის გარდა მრავალი ქვებიც ციხის ბანებზედ დაგროვებინა. რა ამას მორჩნენ, მაშინვე ხალვათში შევიდნენ; დიდი ხანი ილოცეს და თავიანთი თავნი და ჯარები ღმერთს შეავედრეს.

## ესენი ამ ღვთის ვედრებაში დაუტევოთ და ახლა ბნელეთის ხელმწიფის შვილების ამბავი მოვიხსენიოთ.

როცა ბნელეთის ხელმწიფის შვილებმა ისმეილ ხანმა, მამად ხანმა და უსეინ ხანმა ჯარები შემოიკრიბეს — სამოცჯერ ასი ათასი სული და მზად დადგნენ, მხოლოდ ბრძანებას ელოდნენ. ამაში რამოდენიმე ხანმა გაიარა. ერთს დღეს ამათ მეჯლისი ჰქონდათ, სწორეთ ამ დროს, ათნი აიარნი შემოვიდნენ და ინდოეთის ჯარების შეყრა და დიდრონი ომების ამბავები მოახსენეს, ამის გარდა რა საქმებსაც გაევლო, ყოველივე უამბეს და ან დღეს რა მომზადებაში არიან, ყველა შეატყობინეს. რა ამ გმირთა და დიდთა ხელმწიფეებმა და აგრეთვე უცხო ფალევნებმა ესე ამბავი მოისმინეს, მაშინვე ჯარებს აყრა უბრძანეს და ოითოხაც თავიანთის სახელმწიფოების გამგენი მიუჩინეს, შემდეგ დიდის ლაშქარ-ფალევნებით და ჯარებით ინდოეთისაკენ ჩქარის სიარულით წამოვიდნენ.

## ესენი ამ მომავლობაში დაუტევოთ და ახლა ამიან და სიღან დევების ამბავი მოვიხსენიოთ.

რა მუხთალ დევს და დევთა ხელმწიფეებს ჯარები მრავალი მოემატათ, ესენი დიდათ გამაგდნენ. ამიან დევმა უბრძანა თავის სარდლებს და

უმეტესათ მუხთალ დევს: რომ ხვალ ჯარები უნდა გადგნენო. შემდეგის წესითაო: ერთი პირი სულ ერთიანათ ინდოეთის ხელმწიფეს და იმათ ფალევან-ჯარებზე უნდა მიხვიდეთო და მრავალ რიგათ უნდა გარს შემოურტყათო და სულ ქამანდებით უნდა შეიპყრათ, დანარჩენნიც სულ ფეხქვეშ უნდა გასრისოთო, დანარჩენის ჯარებითაც სიდან დევი ციხეზედ უნდა მივიდეს, ესე ყოველივე ამ ორს დღეზედ უნდა გათავდეს, რომ მეც თეთრს დევზედ და მაღრიბზედ მინდა წავიდეო. რა ამ ბილწმა ესე სიტყვა დასრულა, მაშინვე ჯარების აურა უბრძანა და წინ წამოყენება დაიწყო, ამათ მაშინვე დასტები დაწყეს და რვა პირათ წამოვიდნენ. წინიდან მუხთალ დევი და დიდრონნი სარდალ-ფალევანნი მიუძღოდნენ. ამათ რა მიუახლოვდნენ, მაშინვე შადგნენ, აქ სიდან დევი მძლავრის მეომარის დევებით, ციხის სიახლოვეს მივიდა. თითონ ამიან დევიც თავისის ჯარებით ერთს საყურებელს ალაგს მივიდა, თავის თეთრ მხეცზედ შეჯდა და იქიდან ყურება დაუწყო. ამ დროს საომარს ნაღარას შეუბერეს და წამოვიდნენ, აქედანაც ესენი მივიდნენ და რაზმით შაიბნენ. რადგანაც ამიან დევს სურდა, რომ ქამანდებით მაინც დაეჭირა, ამიტომ რაზმით ომი მოიწადინა. ამათ დასცეს კიჟინა იშიშვლეს ხმლები და დიდის ყვირილით წამოვიდნენ. იმათ ყვირილი ქვეყანას მოეცვავდა. რა ამ გმირთა ფალევანთა თავიანთ თავზედ ამოდენა დევთა ჯარები წამოსული იხილეს, გარდა ამისა ამიან დევიც ციხეზედ მისული, ღმერთს შეხვეწნენ და მშვიდობით განთავისუფლება სთხოვეს. შემდეგ გაიკრეს ამათაც ხმლებს ხელი და დაერივნენ. ასეთი წაღებ-წამოღება შეიქნა, რომ ამს ბრძანებდით ოკიანის ზღვა გადმოვარდნილაო. რა ამათ ფალევნები და იმათი ერთმანერთს შეხვდნენ, მაშინვე დაუშინეს ხმლები, ლახტები და გურზები. იმათ გურზების ჯახა-ჯუხი სწორეთ ქვის სეტყვას და მეორეთ მოსვლის ნიშანი გეგონებოდათ. ბრძოლის დროს ისმოდა ფალევანთა განუწყვეტელი და დაუსრულებელი ღრიალი და ზახით კიჟინის ხმა: დაჰკარ, მოჰკალ, შეჰკარ, შეიპყარ და სხვა. სამი დღე და ღამე გაუყრელი ომი იყო და არ იქნა, ვერც ამათ გატრიალეს და ვერც იმათ, განუწყვეტლივ დამდგარი ომი იყო და მრავალი ჯარებიც იხოცებოდა. მაშინ ხოსროვშაჰზადამ და ბეგზადშაჰამ ერთის მხრიდან იერიში მიიტანეს და დასცეს კიჟინა, გაპეს დევთა ჯარები და სადაც იმათი მძლავრი ჯარები იდგნენ, იქ შეუტიეს. ამ ორთა გმირთა ხმაზედ, გორშარაბმა და ბარზიმმაც შაუტიეს და სადაც ხოსროვშაჰზადა და ბეგზადშაჰა ომობდნენ, იქ მივიდნენ თავიანთის ჯარებით და მრავალი ფალევანნი და სარდალნი ამოხოცეს, აგრეთვე დევთა ჯარებიც სრულიად აქეთ იქით გაფანტეს, ვითარცა ზენაქარმა ხის ფურცელნი, მაგრამ მაინც პირი ვერ

აბრუნებინეს. ერთის მხრიდგანაც მანუჩარშაჰა და რუიზანნარა მივიდნენ, მეექვსე მხრიდან თურქმანის ხელმწიფის შვილები იერიშით სმალ და ხმალ წამოვიდნენ, მეშვიდის მხრიდან მეით ხანი და ზარაბ დევი ხუთჯერ ასი ათასის ჯარებით წამოვიდნენ (ეს ჯარი თეთრის დევის ჩუმის გზებით მოვიდნენ), როცა ესენი მოვიდნენ, ძლივს მაშინ შესძრეს ეს ამოდენა ჯარები ალაგიდან. რა ამიან დევმა დაინახა, რომ თავისი მძლავრი ჯარები შესძრეს და პირის გამობრუნებას აპირებენ, ასეთი შესძახა, რომ ცის ქვეყანაზედ დაცემის ხმას ჰგვანდა და თავის სარდლებს ჯავრობა დაუწყო. თან თითონაც დიდის ჯარებით წამოვიდა, ხელახლათ დაიწყო უფრო მწვავე სისხლის ღვრა. ერთის სიტყვით დღევანდელი ომები სწორეთ მეორეთ მოსვლას ჰგვანდა, და როგორც სპარსთაც აღუწერიათ, რომ ვითომც ზეციდანაც კი ანგელოზნი ცისანი უჭვრეტდნენო. ამ ბრძოლაში ხოსროვშაჰზადამ შეხედა, რომ მუხთალ დევი თანდათან წინ მოიწევა, თავის ჯარები წამოუყრია და უკან ხოცვით მოსდევს. ამაზედ ხოსროვშაჰზადა ძალიან განრისხდა და სთქვა: ეს წყეული სწორეთ ჯარებს სულ ამომიწყვეტსო და საჩქაროთ წინ გადაუდგა და შესძახა: შე წყეულო დევო, მაგათგან ხელი აიღე, შენი მებრძოლი მე ვარო.

რა მუხთალ დევმა ხოსროვშაჰზადა დაინახა, მაშინვე გამოტრიალდა და ერთი საშინელი ლახტი ჰკრა. საჩქაროთ ხოსროვშაჰამ თავისსა გურზსა აატანინა და აგრეთვე მეორეც და მესამეც, ესე ხოსროვშაჰზადა დიდის ცდით გადაურჩა. ახლა სამი ლახტი ხოსროვშაჰზადამ დაჰკრა, მაგრამ ისიც დიდის მხნეობით გადურჩა, მერე მუხთალ დევმა ხმალი მოიწოდა და შემოსაკრავათ შამოუტივა. მაშინ ხოსროვშაჰზადამ თავისივე ხმალი ბედნაერის ქარქაშიდგან ამოიღო და იმის მოქნეულს ხმალს შემოჰკრა და ორათ გაუწყვიტა. მუხთალ დევს დიდათ ეწყინა და ხმლის ნატეხი ხოსროვშაჰზადას პირში შემოჰკრა და საგრძნობელათ დასჭრა. რა ხოსროვშაჰამ თავისი თავი ისრეთ დაკოდილი ნახა, მაშინ განრისხებული შესძახა: მუხთალ დევო, ხლმის შამოკვრას მე გაჩვენებ, როგორც უნდაო—მაშინვე მოიწოდა თვისი ხმალი და ავჟანდაზედ ფეხი აიდგა და დასაკრავათ მიუტანა. იმ წყეულს ეგონა ხმალს დამკრამსო და თავსა ფოლადის ფარი დაიფარა. მაშინ ხოსროვშაჰზადამ სასიკვდილოთ აღარ გამოიმეტა, რადგანაც ცოცხლათ დაჭერა სურდა, მაშინ მსწრაფლათ ხმალი მარცხენასა ხელში მიიცა და მარჯვენის ხელით ასეთი მუშტი შემოჰკრა გულში, რომ მაშინვე პირქვე დაეცა, მაშინ მივარდა საჩქაროთ, ფეხში ხელი სტაცა და თრევით წამოიღო. რა დევთა, მუხთალ დევის დაჭერა ნახეს, ერთობით ხოსროვშაჰზადას შემოუტიეს, უნდოდათ, რომ როგორმე წაერთმიათ. მაშინ ზეგზადშაჰამ რა

ს ნახა, ხოსროვშაჰზადას ქება შეასხა, მერე მობრუნდა იმ ჯართ შაუტია
ა გაბრუნდა. ხოსროვშაჰზადამ ჯაჭვებით მაგრა შეჰკრა და აიარით ჩააბარა,
მასთან უბრძანა: ფთხილათ შეინახეთო, მერე გამობრუნდა და სადაც
ეგზადშაჰა ომობდა იქ მოვიდა. ამათ ხმა მისცეს ერთმანერთს და შაუ-
ტიეს. რა იმ დევთა იხილეს, რომ თავიანთი იმისთანა ძრიელი სარდალი
ბუხთალ დევი მტრებმა შეიპყრეს, მაშინვე პირი იბრუნეს და გაიქცნენ.
ამათაც მიჰყვნენ უკანიდამ და ხოცვით მისდიეს. ამ დროს, რა ბაუბაუ დე-
ვის შვილმა ჯარები გამოტრიალებული ნახა, იკითხა: რა ამბავი მოხდაო,
რომ ესრეთ უსირცხვილოთ მორბიანო? ერთმა დევმა მოახსენა: ფალევანო,
ჩვენი დიდი სარდალი შაიპყრესო და აგერ ჩვენც უკან მოგვდევენო ხოც-
ვითაო. მაშინ ბაუბაუ დევის შვილი, შავი დევის შვილი და ხაზარან დევის
შვილიც წამოვიდნენ თავიანთ ჯარებით, კიჟინა დასცეს და შამოუტიეს,
აქედანაც ამ გმირთა ფალევანთა შამოუტიეს და ხელახლად საშინელი ომე-
ბი მოუხდათ. რაც დევთა ჯარნი და ჯადონი თუ ჯინნი იყვნენ, სულ ერთ
პირათ გარს ციხესავით შემოერტყნენ და ხმლები დაუშინეს. ესენი რომ
ამისთანა საშინელს ბრძოლაში იყვნენ, ამ დროს ამიან დევი თვისსა მხეც-
ზედ ამხედრდა და თავისის უძლეველის ჯარებით ციხეზედ იერიში მიტა-
ნა. რა ციხეს მიუახლოვდა, მაშინვე დასტაჩუბი ამოიღო და ციხის კარებს
ისეთი დაჰკრა, რომ ციხის კედლებმა რყევა დაიწყეს. მაშინ როვშანბახტმა
ხმა მისცა: ქვა დააყარეთო! მაშინვე ციხიდამ იმდენი ქვა დააყარეს, რომ
ეს მძლავრი ჯარები სულ უკან გამოაბრუნეს, მხოლოდ ამიან დევი დამაგრ-
და, არ გამობრუნდა და მეორეთ კიდევ დასტაჩუბის დაკვრას ლამობდა. აქ
ამ დროს, ერთი გამოჩენილი ინდოელი სარდალი იყო, ამან აიღო ორი
წისქვილის ტოლა ქვა და ზეიდან დაუშო, ეს ქვა მოხვდა ხელში ამ უშვე-
ლებელ დევს და მაშინვე ცხენიდან ძირს გადმოვარდა. მაგრამ საჩქაროდ
წამოხტა ეს საძაგელი დევი და თავის მხეცს ისევ შეახტა, მხოლოდ კა-
რებთან კი ვეღარ მივიდა და შორიდან ნარას სწევდა. ამ დროს იქით,
რაც დევთა ჯარები იყვნენ, სულ იმ გმირთა ფალევანთა შემოერტყნენ თა-
ვიანთის ჯარებით შუაში მოიმწყვდიეს. წინაც ჩაუდგნენ სიღან დევი, შო-
შან დევი, საფჩიბაშ დევი და აგრეთვე ბაუბაუ დევის, შავის დევის და ხა-
ზარან დევის შვილები. ამასთან დიდი ძალი ჯარებიც ამოუწყვიტეს.

რა მანუჩარშაჰჯამ ესე გარემოება იხილა, სთქვა: ამოდენა უძრავსა დევ-
თა და ჯადოთ ჯარებში ვართ, ჩვენის ჯარებით შემწყვდეულნიო, ახლა კი
შემწე ჩვენი ღვთის მეტი აღარავინ არისო, ამასთან რამდენათაც კი შეეძ-
ლოთ თან ერთმანერთს ამხნევებდნენ. ამ გასაჭირში რომ იყვნენ, მანუჩარ-
შაჰჯამ შესძახა რუიზანნარას და ზორაბ დევს: აბა, ერთიც მომეშველით! და

საშინელის ხმით ნარა გასწიეს, თან ჯარებიც მიიყოლიეს და ახალათ შაუტიეს, ერთის მხრიდანაც იმ ოთხთა გმირთა ფალევანთა შაუტიეს, სხვა მხრიდანაც თურქმანის ხელმწიფის შვილებმა შამოუტიეს და ხელახლად ისეთი ომი აუტეხდათ, რომ იმათი ხმა ცათ აღიწეოდა. იქიდანაც შოშან დევი წამოვიდა ხმალ მოწვდილი და დაიწყეს ერთმანერთის უწყალოთ ხოცვა. ბოლოს ამ წყეულმა ამოდენა ჯარი გარდვია და რუიზანამდის მოვიდა. რა რუიზანმა ეს წყეული დაინახა, მაშინვე შესძახა: ჰე, შე ბილწო! მე ვარ შენი მებრძოლიო, შაგათ თავი დანებეო. რა შოშან დევმა მოიხედა, ნახა, რომ ერთი ახალი ფალევანი, მტრის ზარის დამცემი დგას; იმისა მრისხანება მამალს ვეშაპს შეზარამდა, ამაზედ შედგა და გაკვირვებით ყურება დაუწყო.

ამ საშინელს ომში რომ იყვნენ, ამ დროს ერთის მხრიდან დიდროვანი ჯარები გამოჩნდნენ. რა მანუჩარშაჰამ ყურება დაუწყო, მაშინვე იცნა, რომ ბნელეთის ხელმწიფის შვილები იყვნენ, ისმაილ ხანი უსეინ ხანი და მამად ხანი—რომელნიც სამოცჯერ ასის ათასის უცხოს ჯარებით წამოსულ იყვნენ ინდოეთის მოსაშველებლათ.

ამ საშინელის ომის გაგრძელება და აგრეთვე სხვა უფრო დიდრონი ომების ამბები შემდეგ ნაწილში იქნება დაბეჭდილი.

დ. ლ.